საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 066 (12 441) 20 მარტი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი





## რა ხდებოდა დინამოში 2004/05 წლებში

ფრაგმენტი კარიერიდან »» 2-3

## ლონდონური დერბი: თრილერი რვა გოლით

გერმანია: ვოლფსბურგმა ბაიერნს ვერ აუსრულა »» 15

# თავისუფალს ელენე გახსნის



»» 13

ელენე გედევანიშვილი

## კოტეს თასი თბილისშია



ტურნირის გამარჯვებული თბილისის მაკაბი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

»» 11

## მილანი ხელიდან წავიდა

ბრავო ლაციო! რომამ შანსი გაუშვა



სერია A. XXIX ტური »» 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრებები ზუგდიდშიც ითამაშებენ



გასულ კვირას, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ამალით ზუგდიდს ესტუმრა. ქალაქში საფეხბურთო თვალსაზრისით დიდი წინსვლაა და პრეზიდენტიც ამას ალუფრთოვანებია.

"ზუგდიდში გრიგოლ ცაავასთან და პეტარ სეგრტთან ერთად ვიყავი", - გვითხრა ახალკაცმა და განაგრძო - "მგლები"-"ზესტაფონის" მატჩს დავესწარი. "ბაიას" საწვრთნელ ბაზასაც ვეწვიეთ, სადაც სამუშაოების ნაწილი უკვე დასრულებულია. ხელმძღვანელობა საოფისე ბლოკში ზის და პარალელურად მიმდინარეობს, საცხოვრებელი, კვების ბლოკისა და მოედნების კეთილმოწყობა. სამუშაოები სავარაუდოდ შემოდგომისთვის დასრულდება. იმით, რაც ზუგდიდში ვნახე, ალფრთოვანება ვერ დავმალე. "ბაიას" ხელმძღვანელობას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აქამდე გაწეული საქმისთვის და ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვუსურვო. ეს ნამდვილად საშური საქმეა. მთელ ამ ინფრასტრუქტურას ნამდვილად შეიძლება პრეტენზიაც კი ჰქონდეს იმაზე, რომ ამ ბაზაზე სამეგრელოს რეგიონში სერიოზული ტექნიკური ცენტრიც კი ჩამოყალიბდეს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით. რაღა თქმა უნდა, თუ "ბაიას" თავკაცებს ექნებათ ამის სურვილი."

"ბაიას" წარმატებულობაზე ისიც მეტყველებს, რომ 17-წლამდელთა ნაკრებში დასკვნით სელექციაზე გუნდის 8 ფეხბურთელია. "ბაიას" მაგალითი სამეგრელოში გადამდები აღმოჩნდა.

"რამდენადაც ვიცი, მარტვილში, სენაკსა და აბაშაშიც ამ კუთხით მიდის მუშაობა. ზუგდიდის შესასვლელში არის სტადიონი, ისეთი როგორებიც სოფლებში გვინახავს. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან, ბატონ ზაზა გოროზიასთანაც მქონდა საუბარი ამ ადგილის გადმოცემაზე. გვინდა ფედერაციის რეგიონული ოფისი ამ სტადიონთან იყოს, რადგან რეგიონული სელექციისთვის ტექნიკური ცენტრი გვქონდეს. იმედი მაქვს, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება."

ზუგდიდში სტადიონის რეკონსტრუქცია საბოლოოდ 2011 წელს უნდა დასრულდეს და დიდი შანსია ამ არენაზე ნაკრებებმაც ითამაშონ.

"მაკეტი ვნახეთ, თუ როგორი იქნება რეკონსტრუქციის შემდეგ სტადიონის საბოლოო სახე. ჯერჯერობით მხოლოდ სამუშაოების ნაწილია ჩატარებული. წლეულს დარჩენილი ნაწილის პროექტირება მოხდება, გაისად სამშენებლო სამუშაოები დაიწყება და 2011 წელს საბოლოოდ დასრულდება. ძალიან ლამაზი, კოხტა სტადიონი გამოვა, ეს დიდი ფუფუნებაა რეგიონისა და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის. ბუნებრივია, ეს რეალურ შანსს გვაძლევს საიმისოდ, რომ ჩვენმა ნაკრებმა გუნდებმა ზუგდიდში გამართონ საერთაშორისო მატჩები. როგორც კი სტადიონი მზად იქნება, ჩვენი ლიზენზირების კომიტეტთან არსებული კომისია ჩაიბარებს მას და უეფაში წარსადგენად განაცხადს მოამზადებს. უეფას კომისია ჩამოვა, შეაფასებს ამის მერე, ვფიქრობთ, რომ სტადიონს ჩვენც მაქსიმალურად გამოვიყენებთ. რეგიონებში ფეხბურთის პოპულარიცაზიას ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ბათუმის აეროპორტი უკვე საერთაშორისო სტატუსით სარგებლობს და ამ საქმეში მისი გამოყენებაც შეიძლება.

მარტის ბოლომდე ბათუმშიც ვაპირებთ ჩასვლას. "ბათუმის" საშინაო მატჩს დავესწრებით, ქალაქისა და რეგიონის ხელმძღვანელებსაც შევხვდებით. ახალი სტადიონის კონტურები ბათუმშიც იკვეთება. ზუგდიდისა და ბათუმის ახალი სტადიონები ამოქმედებისთანავე ყოველწლიურად შეგვიძლია 17, 19 და 21 წლამდელთა შესარჩევ ციკლს ვუმასპინძლოთ."

ზუგდიდში ამჟამად ორი კლუბია "ბაია" და "მგლები", რომლებიც არაა გამორიცხული, ახლო მომავალში გაერთიანდნენ.

"ეს იოლი იურიდიული პროცესი ნამდვილად არაა. მოხდება თუ არა ამ ორი კლუბის გაერთიანება, ამას დრო გვიჩვენებს. ჩემი პრეზიდენტობის მთავარი ამოცანა საფეხბურთო რუკაზე სამეგრელოს პოტენციალის წარმოჩენა იყო," - თქვა ნოდარ ახალკაცმა.

**დავით ცაბაძე**

ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან

# რა ხდებოდა დინამოში

## პატარკაციშვილსა და პეტრიაშვილს შორის სხვებიც იდგნენ

ეს რუბრიკა შარშან დავიწყეთ და რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ისევ განვაახლეთ.

ვისაც წარსული არ სწამს თავის ტვირთიანად, ის მომავალს ვერ შექმნის - უთქვამს ერთ ქართველ მწერალს და, ვფიქრობთ, ეს საკამათო არ უნდა იყოს.

ამ რუბრიკაში მწვრთნელები, ფეხბურთელები თუ ფეხბურთში მოსაქმე სხვა ხალხი თავიანთი კარიერიდან ერთ ამბავს, დიდ თუ პატარა ეპიზოდს მოგვიყვებიან.

ამჯერად, "დინამო თბილისის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი გია გაგუჩაძე მოგვითხრობს იმ პერიპეტიებზე, როცა მისი ხელმძღვანელობით "დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია და მერე რამდენიმე თვეში გუნდიდან გაუშვეს.

ყველა საინტერესო ამბავში არის აქტუალობა, განსაკუთრებით იმ ისტორიებში, როცა საქმე ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს ეხება. გეგუჩაძის მონათხრობი ვინძლო ასი პროცენტით ვერ აკმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას, თუმცა ინტერესმოკლებული ალბათ მაინც არ იქნება "დინამოს" და ზოგადად ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის.

**დავით თავართქილაძე**



გია გეგუჩაძე

2002 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები იყო. **დავით პეტრიაშვილი მერაბ ჟორდანიას** ეპაექრებოდა და დამარცხდა. იმ პერიოდში მე და პეტრიაშვილი ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ქართული ფეხბურთის პრობლემებზე ვსაუბრობდით. აღმოჩნდა, რომ ბევრ საკითხში საერთო აზრი გვქონდა.

ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პეტრიაშვილი "დინამოში" მივიდა მმართველ დირექტორად და მეც მიმიწვია. ჯერ "დინამოს" მესამე გუნდის მწვრთნელი ვიყავი, მერე - მეორესი.

"დინამოს" მთავარი მწვრთნელი მაშინ ივო შუშაკი იყო. პეტრიაშვილმა გადაწყვიტა, რომ "დინამოს" სხვა კურსი უნდა აერჩია და მეც ვეთანხმებოდი ამაში.

მიმაჩნდა და ახლაც იმავე აზრზე ვარ - საქართველო ფეხბურთელების ექსპორტიორი ქვეყანაა და არა - პირიქით. ამიტომაც, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით "დინამოს" აკადემიის განვითარებას. ჩვენი გეგმა იყო, რომ აკადემიიდან ეტაპობრივად რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი მიგვეყვანა "დინამოს" პირველ გუნდში. ეს გეგმა ავამუშავეთ კიდეც - როცა "დინამოს" მთავარი მწვრთნელი გავხდი, აკადემიიდან გამოსული ათი ფეხბურთელი მივიყვანე პირველ გუნდში.

საკლუბო პოლიტიკის შეცვლაში პეტრიაშვილს უნდა დაერწმუნებინა "დინამოს" უფროსობა. მან ეს მოახერხა, მაგრამ საკითხი მაინც არ დასმულა კატეგორიულად - საით უნდა წავიდეს "დინამო". ასეთი კითხვა სამწუხაროდ არ დაუსვამს კლუბის მაშინდელ პრეზიდენტ **ბადრი პატარკაციშვილს**.

საერთოდ, არსებობს წარმატების ორი გზა - ეტაპობრივად მოხდეს გუნდის დაკომპლექტება ახალგაზრდა ფეხბურთელებით ან კლუბმა გაიღოს დიდი თანხები ძალიან სერიოზული ფეხბურთელების შესაძენად. საქართველოში მაშინაც არ არსებობდა შესაფერისი გარემო იმისთვის, რომ "დინამოს" ძვირადღირებული ფეხბურთელები მოეწვია. ამიტომ, ავირჩიეთ მეორე გზა.

"დინამომ" **შუშაკის** დროს ასეულ ათასობით დოლარი დახარჯა შიდა ტრანსფერებში ანუ სხვა ქართული გუნდებიდან ფეხბურთელების აყვანაში, მაგრამ ასეთი პოლიტიკით "დინამომ" ევროსარბიელზე, ფაქტობრივად, ვერაფერს მიაღწია.

**ჯაბა კანკავა** კი მე გადმოვიყვანე "დინამოს" პირველ გუნდში და კლუბმა მასთან იმ მინიმალურ თანხაში გააფორმა კონტრაქტი, რასაც მოითხოვდა ფეხბურთის ფედერაციის დებულება.

2003-04 წლების სეზონის მეორე ეტაპი დაწყებული იყო, შუშაკი "დინამოდან" რომ გაუშვეს - მე ამ პერიპეტიებში მონაწილეობა არ მიმიღია, ეს არ იყო ჩემი საქმე და ვერ გეტყვით, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

როცა "დინამო 2-ის" მწვრთნელი ვიყავი, შუშაკთან ძალიან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. სულ იმას ვცდილობდი, რამდენიმე ფეხბურთელი შემეთავაზებინა პირველი გუნდისთვის. შუშაკმა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი აიყვანა მეორე გუნდიდან - **შოთა კაშია.**

მოკლედ, "დინამო" მაშინ ჩავიბარე, როცა ჩემპიონატის დამთავრებას რამდენიმე ტური აკლდა. "დინამო" მიწვეული იყო უკრაინაში ლობანოვსკის სახელობის ტურნირზე. იქ წასვლაზე უარი ვერ ვთქვით, რადგან წინასწარი შეთანხმება უკვე არსებობდა. იმ ტურნირში სამ დღეში ორი მატჩი ვითამაშეთ, მერე დავბრუნდით თბილისში და ორ დღეში გადამწყვეტი შეხვედრა გვქონდა "ვიტ ჯორჯიასთან". ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვეთ, ერთი დღით გადაეტანა თამაში, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. "ვიტ ჯორჯიასთან" 1:3 წავაგეთ და საჩემპიონო შანსი ხელიდან გავუშვით. ტიტულის მოპოვების მეორე გზა რჩებოდა და წარმატებასაც იქ მივაღწიეთ - თასის ფინალში ქუთაისის "ტორპედოს" 2:1 მოვუგეთ და უეფას თასზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ.

"დინამოში" ახალი პოლიტიკა წარიმართა. შემცირდა ხარჯები, შესაბამისად, შემცირდა კლუბის ბიუჯეტი. ცხადია, ამით "დინამოში" ბევრი უკმაყოფილო იყო. კლუბის ზოგიერთ თანამშრომელს აღარ ეძლეოდა პრემიები. ეს არ იყო ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ მე ამის მომხრე ვიყავი - პრემია უნდა ჰქონდეს მას, ვინც გუნდს ამზადებს და ვინც მოედანზე გადის. სხვა საქმეა, თუ კლუბი რომელიმე თანამშრომელს დაასაჩუქრებს.

ყოველივე ამან კლუბში ოპოზიცია შექმნა. არ გაგვაჩნდა მტკიცებულება იმაზე, რომ კლუბში კორუფცია იყო, თუმცა გვქონდა გარკვეული ინფორმაციები. მიმაჩნია, რომ მოვახერხეთ კლუბის შიგნით კორუფციის შემცირება.

"დინამოში" არცთუ ცოტა უკმაყოფილო ადამიანი გაჩნდა, რომელთაც ჩემი და პეტრიაშვილის დისკრედიტაცია აძლევდათ ხელს.

ამასობაში "დინამომ" სამი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, სადაც

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა გელაშვილი

მიმართულების რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი)
გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი)

განყოფილების რედაქტორები
პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი)
შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი)

კონცეფცია და დიზაინი
ნოდარ დუგლაძე

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი
მიხეილ ჯაში

გავრცელების სამსახური
ბაქარ გაჩეჩილაძე
დავით მაისურაძე
გივი ვეშაპიძე

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურიძე

მისამართი:
0159
თბილისი
ახმეტელის 10ა
(დიღომი, ახალი კინოსტუდია, პირველი სართული)

ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
ფაქსი: +995. 32 46 32 62.

ელფოსტა: SPORTI@SPORTI.GE
ინდექსი 66435 INDEX

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2004-05 წლებში


გეგუჩაძის განწრთნილი დინამო უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ნიუკასლს შეხვდა

ოთხივე მატჩი წავაგეთ. რატომ მოხდა ასე? რა თქმა უნდა, ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.

კლუბის ბიუჯეტი იმ სეზონისთვის ორი მილიონი დოლარი იყო. 1 250 000 დოლარი გუნდს გამოუყვეს, დანარჩენი 750 ათასი კი გუნდს ფეხბურთელების ტრანსფერებით უნდა მოეპოვებინა. იძულებული ვიყავი, ეს ფაქტორი გამეთვალისწინებინა შემადგენლობის შერჩევისას. ამან ის სიტუაცია დაგვაკარგვინა, რაც აუცილებელი იყო გუნდისთვის.

უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ბევრი ფეხბურთელი გამოგვაკლდა ტრავმის გამო - **გია ნემსაძე**, რომელზეც აწყობილი იყო გუნდის თამაში; **ლევან სილაგაძე**, ჯაბა კანკავა, **ლაშა სალუქვაძე, დავით ჭიჭველიშვილი, დავით კვირკველია** - ამ ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლა ძალიან ძნელი იყო. **ჯაბა დვალი** და **კახა მახარაძე** - მაშინ მათ არავინ იცნობდა და ასეთი ფეხბურთელებიც ვათამაშეთ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე.

ბოლო მატჩი "პანიონიოსთან" 2:5 წავაგეთ და უცხოურ პრესაშიც დაიწერა, საეჭვო თამაში იყოო. ჩემ მიმართ ასეთი ბრალდება შეურაცხმყოფელია. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ - თუ ვინმეს რამეში ეჭვი ეპარება, ნახონ ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი. რაც შეეხება ტოტალიზატორს, არასდროს დამიდევს ლარიანი ფსონიც კი. არც არავის ვურჩევ ტოტალიზატორში თამაშს. ვერც "დინამოს" ფეხბურთელებში და ვერც კლუბის ხელმძღვანელობაში შევიტან ეჭვს, რომ "პანიონიოსი"-"დინამო" ვითომდა გარიგებული მატჩი იყო.

საშუასეზონო პერიოდში "დინამოდან" ვლადიკავკაზის "ალანიაში" წავიდნენ **გიორგი შაშიაშვილი** და კანკავა, "დინამო" დატოვა კვირკველიამაც... მოკლე დროში ახალი გუნდი უნდა შეგვექმნა. "თბილისიდან" **გოგიტა გოგუას** და **ზაალ ელიავას** აყვანა გვინდოდა, მაგრამ ეს არ გამოვიდა. წარმოიშვა რამდენიმე ხელოვნურად შექმნილი პრობლემა. იმ გზას, რომელზეც მე და პეტრიაშვილი ვიდექით, ებრძოდნენ. პეტრიაშვილსა და პატარკაციშვილს შორის კიდევ რამდენიმე ადამიანი იდგა.

უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გამოსვლისას საქართველოს ჩემპიონატში "თბილისთან" 0:5 წავაგეთ. **დავით გიგაური** გააძევეს, შაშიაშვილი ტრავმირებული გვყავდა, -ყოველივე ამის გამო დაცვაში პრობლემები შეგვექმნა. თანაც ფრანგულ "სოშოსთან" თამაშის შემდეგ მოგვიწია "თბილისთან" შეხვედრა და ძალები სრულად აღდგენილი არ ჰქონდათ ფეხბურთელებს. ისიცაა, რომ "თბილისი" მართლაც ძალიან კარგი გუნდი იყო. როგორც უნდა იყოს, 0:5 წავაგეთ და ამ ხელისშემშლელი ფაქტორებით არც მაშინ მიმართლებია თავი.

სეზონის მეორე ეტაპი კი "ზესტაფონთან" 0:1 მარცხით დავიწყეთ და თასიდან გამოვვარდით. ჯერ კიდევ ამ თამაშამდე კლუბში უკმაყოფილონი იყვნენ "დინამოს" შედეგებით, მაგრამ ამ უკმაყოფილებას არანაირი ანალიზი არ ედო საფუძვლად. მიუხედავად ჯგუფში ყველა მატჩის წაგებისა, მაინც მიმაჩნდა, რომ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა უკვე მნიშვნელოვანი წარმატება იყო. "ზესტაფონთან" წაგების შემდეგ კი "დინამოდან" წამოსვლა მომიწია. ჩაფიქრებული ჰქონდათ ჩემი და პეტრიაშვილის გაშვება და გვაჯობეს კიდეც.

მწვრთნელობა ისეთი პროფესიაა, შეცდომისგან დაზღვეული არ ხარ. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ჩვენ მიერ არჩეული გეზი სწორი იყო. ვიცი, ჩემზე ამბობენ, ადამიანებთან ურთიერთობებში შეცდომები მოსდისო. თუ მართლა ასეა, მითხრან, ვისთან რა შემეშალა?

საკუთარი პრინციპები მაქვს, რომელთაც ვერ ვულალატებ - ყოველთვის ვცდილობ, სამართლიანი ვიყო. ჩემი ერთ-ერთი ნაკლი კი ის არის, რომ არ ვითვალისწინებ იმას, თუ ჩემი ესა თუ ის გადაწყვეტილება რამდენად პოპულარული იქნება. მხოლოდ მოედანზე ვიყავი კონცენტრირებული და პიარზე უარს ვამბობდი.

მოედნის მიღმაც უნდა აჯობო სხვას.

---

ზესტაფონი

# ჩვენ საქართველოში პირველი ბაზა გვექნება

## ზესტაფონი მილანელოს ანალოგს აშენებს

**ზესტაფონში** დიდი იმედებით არიან. შესაძლოა, მალე კლუბის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ საქართველოში აქამდე არნახული ბაზის და ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონის მშენებლობა დაიწყოს.

არის იდეა, არის პროექტის განხორციელებისთავის საჭირო თანხა და რაც მთავარია, საამისო ნება. რაც შეეხება ტერიტორიას, რამდენიმე ვარიანტიდან რომელი უფრო რეალურია, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ამის შესახებ გუშინ "ზესტაფონის" ვიცე-პრეზიდენტი დავით აბაშიძე გვესაუბრა.

**- როგორც შევიტყვეთ, საქართველოში ყველაზე დიდი ბაზის მშენებლობა გადაგიწყვეტიათ.**

- დიახ, ეს გადაწყვეტილი საქმეა და ადრე თუ გვიან მაინც განვახორციელებთ.

**- ანუ შეიძლება გვიან განახორციელოთ?**

- არა, რატომ? იმედიანად ვართ. ჩვენი პრეზიდენტი ილია კოკაია სერიოზული ინვესტიციის დაბანდებას აპირებს და კლუბის ევროპულ დონეზე აყვანას ცდილობს. ეს არის მყარი გადაწყვეტილება.

საუბარია თანამედროვე ინფრასტუქტურაზე, ბაზაზე მინიმუმ ხუთი სტანდარტული მოედანი მოეწყობა, ფიტნეს დარბაზი, გასახდელები, საშხაპეები, ძირითადი და სარეზერვო გუნდების ფეხბურთელთა მოსასვენებელი ოთახები. იქვე ივარჯიშებენ ჩვენი ასაკობრივი გუნდები.

კოკაიას "მილანელოს" ზესტაფონური ანალოგიის განხორციელება სურს. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ მსგავსი სავარჯიშო ბაზა საქართველოში აქამდე არავის ჰქონია. ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელობამაც აიტაცა იდეა. ბაზა რაიონს დარჩება, ზურგით არავინ მოიკიდებს და ეს ყველას კარგად ესმის. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქალაქისთვის სასიკეთო წამოწყება მოიწონეს.

არის რამდენიმე ტერიტორია, რომლებიც ბაზისთვის სასურველად მოიაზრება და მალე გადაწყდება, სად დაგვრთავენ მშენებლობის უფლებას. ფაქტია, რომ სოლიდური საკლუბო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება "ზესტაფონისთვის" მნიშვნელოვანი ამოცანაა.

**- საკლუბო ინფრასტრუქტურაში კლუბს საკუთარი საფეხბურთო სკოლაც უნდა მიებას.**

- დიახ, რა თქმა უნდა. ჩვენ ნელ-ნელა საკუთარი კადრებით უნდა გავძლიერდეთ და ესეც დიდი გეგმის შემადგენელი ნაწილია. სამი წელია ფეროს ტერიტორიაზე სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოვაწყვეთ და იქ უკვე ჩვენი სკოლის 100-მდე ბავშვი ვარჯიშობს.

პირველი შევსება უკვე მივიღეთ. 1990-91-წელს დაბადებული თაობა წამოვიდა და სარეზერვო გუნდში ადგილობრივები შარშანდელზე მეტად არიან წარმოდგენილები. მალე ისინი ძირითად შემადგენლობაშიც დამკვიდრდებიან.

**- კარგია ბაზა და აწყობილი ინფრასტრუქტურა, მაგრამ ჯერ ზესტაფონის სტადიონის მთავარ, დასავლეთის ტრიბუნაზე ინდივიდუალური სკამებიც არაა.**

- არსებობს "ზესტაფონის" განვითარების ერთიანი გეგმა და ბუნებრივია, სტადიონის რეკონსტრუქციაც უმთავრეს ამოცანებშია. სხვათა შორის, სტადიონი დღემდე არაა კლუბის საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ სკამების დადგმას ვერც დავიწყებდით.

**- კი მაგრამ საკუთრების უფლების არასებობამ ბალახის საფარის დაგებაში ხელი არ შეგიშალათ...**

- (იცინის) დღემდე კეთილი საქმეებისთვის არავინ დაუსჯიათ და რაღა კოკაიას დასჯიდნენ? ამბიციური კლუბი ვართ და ნორმალურ მოედანზე ხომ უნდა გვეთამაშა? ბალახის საფარის შეცვლა აუცილებელი იყო და კოკაიამ ეს პრობლემა მოაგვარა.

ამჟამად სტადიონი იჯარით გვაქვს იმედია, კლუბს მალე საკუთრებაში გადაეცემა. ასეთ შემთხვევაში, კოკაია დიდ ინვესტიციას დააბანდებს და ზესტაფონში ევროპული სტანდარტების შესაბამისი არენა გვექნება, რომელზეც ნებისმიერი რანგის სტუმარს ვუმასპინძლებთ.


დავით აბაშიძე

თუკი სტადიონს გადმოგვცემენ, რეკონსტრუქცია დაუყოვნებლივ დაიწყება. პირველ ეტაპზე 8-10 ათასი ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდება, შეიძლება, მერე კიდევ დაემატოს.

**მერაბ მამულაშვილი**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

# გოგი ფიფია ზესტაფონიდან წავიდა

## მიწვევდა დინამო, გერმანული ვარიანტიც გამოჩნდა

გადაწყვეტილია ამბავია - "ზესტაფონი" ერთ-ერთმა ლიდერმა, **გოგი ფიფიამ** დატოვა. მანამდე იმერული კლუბი **გიორგი ჭელიძეს** დაემშვიდობა, რომელმაც ბოლნისის "სიონში" გააგრძელა კარიერა.

მისგან განსხვავებით კი, გოგი ფიფია დროებით უთამაშებელი დარჩა. საკითხი აქამდე გაურკვევლად იყო, ფეხბურთელი და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები დელიკატურ თემაზე საჯაროდ საუბარს ერიდებოდნენ.

ფეხბურთელს გარემოს შეცვლა სურდა, კლუბს კი ერთ-ერთი ლიდერი გასაშვებად არ ემეტებოდა. 22 წლის თავდამსხმელს პერსპექტივა არ დაეწუნება და, ბუნებრივია, ყველა ნორმალურ კლუბში ასეთი ფეხბურთელის შენარჩუნებაზე ფიქრობენ. ასევე იყო "ზესტაფონიც", მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომელიც უშედეგოდ დასრულდა, ფიფიამ საქართველოში დარჩენა აღარ ისურვა და მათი გზები გაიყო.

სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, ფიფია იურიდიულად ჯერ კიდევ "ზესტაფონს" ეკუთვნის და ზეტაფონელთა თავდამსხმელი სხვა კლუბში არ გადასულა. ამის მიუხედავად, უკვე დიდი ხანია "ზესტაფონში" აღარ ვარჯიშობს.

გუშინ, კლუბიდან მისი წასვლა დაგვიდასტურეს - წასვლა სურდა, ძალით კი ადამიანს ვერ გავაჩერებთ და სხვა რა გზაა, ამ ფაქტს უნდა შევეგუოთო.

გოგი ფიფიას დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოავრთვით.

**- გოგი, "ზესტაფონიდან" წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტე?**

- დიახ, ასეა. "დნეპრიდან" გამობრუნებული, "ზესტაფონში" დავბრუნდი. აქ ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ მე ეს აღარ მსურდა.

**- ვინმესთან კონფლიქტი მოგივიდა?**

- არა, კონფლიქტი არაფერ შუაშია. პირიქით, "ზესტაფონიდან" ბევრი ლამაზი წუთი მახსენდება, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში დადგა მომენტი, როდესაც ვიგრძენი, რომ საქართველოში დარჩენა ერთი ადგილის ტკეპნა იყო. გუნდზე ნაწყენი რატომ უნდა ვიყო, ყველა ძალიან კარგად მექცეოდა, მაგრამ მეც მინდა თავი უფრო ძლიერ ლიგაში მოვსინჯო.

**- მერედა, "ზეტაფონის" პრეზიდენტმა კოკაიამ ზამთარში "დნეპრში" არ გაგიშვა?**

- დიახ, უკრაინელებმა მისი რეკომენდაციით ამიყვანეს და "დნეპრს" პირველ შეკრებაზე გავყევი. მერე მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა მითხრა, "ზესტაფონი" უკან გიწვევსო. ჩამოვედი და აქ ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს. მე "ზესტაფონზე" კი არ მჭირს ალერგია, საქართველოში თამაში აღარ მსურს. ესაა და ეს.

**- კონტრაქტი უკვე დაგიმთავრდა?**

- არა, ზაფხულში, აგვისტოში მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი გავხდები.

**- გამოდის, აგვისტომდე დაისვენებ?**

- დიახ, უგუნდოდ დავჩი და ფორმის შესანარჩუნებლად იპოდრომზე ვვარჯიშობ.

**- დავიჯერო, სხვა ვარიანტები არ გქონდა?**

- ვარიანტები როგორ არ იყო, მაგრამ ჯერ არაფერი არ გამოვიდა.

**- მართალია, რომ თბილისის "დინამო" გიწვევდა?**

- მიწვევდა და ამას არც ვმალავ, მაგრამ ბოლო დროს არავინ დამკავშირებია.

ვარიანტები უცხოეთშიც არის, ზამთარში მეორე ბუნდესლიგის კლუბიდან დამიკავშირდნენ, მაგრამ მაშინ "დნეპრი" გამოჩნდა და ეს უფრო რეალურად ჩავთვალე. გერმანიაზე საუბარი ზაფხულამდე შეწყდა. მერე ვნახოთ, არაა გამორიცხული, მაინც წავიდე.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგი ფიფია

# ნოდარის ძე ბათუმში



ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე** სეზონს "ბათუმის" შემადგენლობაში ჩაამთავრებს. შეგახსენებთ, პირველ წრეში იგი "ზესტაფონის" ღირსებას იცავდა, იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ კი რუსეთს მიაშურა. ჭელიძემ ვერც თავის კლუბში, მოსკოვის "ლოკომოტივში" შეძლო დამკვიდრება და ვერც როსტოვის სკა-ში. "ბათუმში" თამაშის ნება მას გუშინწინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა დართო. ეს კი იმიტომ გახდა საჭირო, რომ ფეხბურთელთა განაცხადში შეყვანის ვადა ამოწურულია.

"ბათუმმა" ამ ზამთარში წარმატებული სატრანსფერო კამპანია აწარმოა. ჭელიძემდე აჭარულ კლუბს **ზვიად სტურუამ, გიორგი თურმანიძემ, ზვიად ქუთათელაძემ, ლაშა ქებაძემ, გაგა ჩხეტიანმა** და **შოთა ბაბუნაშვილმა** მიაშურეს.

მეორე წრეში "ბათუმი", ჯერჯერობით, დიდად წარმატებულად ვერ გამოდის, მაგრამ წინა ტურში "ბორჯომის" სტუმრად ძლევით გუნდმა ბოლოდან ბოლოსწინა საფეხურზე გადაინაცვლა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მესხეთი. ინტერვიუ კობა ხანიშვილთან

# ბორჯომი ძალიან დამენანა

**23 წლის გორელი ფეხბურთელი კობა ხანიშვილი მიუხედავად ასაკისა, საქართველოს ჩემპიონატის უკვე სტაჟიანი მოთამაშეა. „დილა", „ცხინვალი", „მერანი", „ბორჯომი" და „მესხეთი" ეს ის გუნდებია, რომელშიც ხანიშვილს უთამაშია. მართალია ისინი ქართული ფეხბურთის გრანდები არ არიან, მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ კობა ყველა მათგანში წამყვან ფეხბურთელად მიიჩნეოდა. მნიშვნელოვანი ფიგურაა იგი „მესხეთშიც" და რამდენიმე დღის წინათ „დილასთან" პრინციპულ შეხვედრაში მოედნის ცენტრში ჩვეულებისამებრ ნაყოფიერადაც ირჯებოდა. საუბარი კობა ხანიშვილთან სწორედ დილა-მესხეთის შეხვედრით დავიწყეთ...**

- ძალიან პრინციპული მატჩი იყო გორში. სამწუხაროა, რომ ჩემი მშობლიური „დილა" ასეთ მდგომარეობაშია და სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე დაეშვა, მაგრამ ბუნებრივია, ამ შეხვედრაში ახლანდელი გუნდისთვის თავი არ დამიზოგავს. „მესხეთი" გორში მოპოვებული გამარჯვებით, სახიფათო ზონას კიდევ უფრო მოსცილდა.

**- მეორე წრის დაწყებამდე „დილას" ხელმძღვანელობას შენი დაბრუნების სურვილი ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ „მესხეთში" აღმოჩნდი.**

- კი, იყო სურვილი და საუბარიც გვქონდა ამაზე, თუმცა მაშინ „დილაში" დაფინანსების საკითხი ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო. პარალელურად „მესხეთის" წინადადება მივიღე. აღმოჩნდა, რომ ახალციხელები ჩემზე სერიოზულ იმედებს ამყარებდნენ, ფინანსურადაც უფრო მყარი იყო მათი მდგომარეობა და ამიტომაც ხელმძღვანელობასთან პირველივე გასაუბრების შემდეგ ნახევარწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. გამომდინარე გუნდში შექმნილი შესანიშნავი ატმოსფეროდან და თავად ხელმძღვანელთა სამომავლო მიზნებიდან, გამორიცხული არაა მომავალი სეზონიც ამ გუნდში დავიწყო, თანაც შესაძლებელია ახალი სეზონიდან „მესხეთს" მაღალი მიზნები დაუსახონ, რაც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის სასიხარულოა.

**- იქაური ატმოსფერო ალბათ, იმადაც გხიბლავს, რომ „მესხეთში" ხუთი გორელი თამაშობთ.**

- რა თქმა უნდა, კარგია, როცა ახალ გუნდში არაერთი ძველი ნაცნობი, მით უფრო თანაქალაქელი გვყავს. ასეთ დროს ადაპტაციის საკითხი ადვილად გვარდება. სხვათა შორის არა მხოლოდ გორელები, აქ ისინიც არიან, ვისთანაც პირველ წრეში „ბორჯომში" ვთამაშობდი.

**- პირველ წრეში „ბორჯომის" საკმაოდ კარგი გუნდი იყო.**

- ძალიან დამენანა ამ გუნდის დაშლა! „ბორჯომი" ძალიან მაგარი იყო. მართალაც რომ მსიამოვნებდა იქ თამაში. „მესხეთი", ვიდრე ახალციხეში სტადიონის რეკნსტრუქცია მიმდინარეობს, ბორჯომში თამაშობს და შესაბამისად იქ ისევ ხშირად გვხდებიან ფეხბურთის ბორჯომელი ქომაგები, რომლებიც ჩვენთან საუბრისას ახლაც სინანულით ამბობენ ხოლმე: „როგორი მაგარი გუნდი დაიშალაო"...

**- მაშინ ვლადიმერ ხაჩიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არცთუ ძლიერი ფინანსური ზურგით და მოთამაშეთა კონტიგენტით საკმაოდ ნორმალური გუნდის შექმნა შეუძლია.**

- რასაკვირველია, „ბორჯომის" მოსალოდნელზე კარგი თამაში, პირველ ყოვლისა, მწვრთნელის დასახურება იყო. საერთოდ კი, ჩემი აზრით, ხაჩიძე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. კობა თედიაშვილი ავილოთ, მისი დამოძლვრილი „მესხეთი" დებიუტანტის კვალობაზე ერთობ კარგად ასპარეზობს. თანაც თედიაშვილი პირველად წვრთნის უმაღლესი ლიგის გუნდს.

**- შენმა ძმამ დათომ, მიმდინარე წლის ზამთარში სომხეთს მიაშურა. გამართლებულად მიგაჩნია ფეხბურთელი საზღვარგარეთ არცთუ მაღალი დონის ჩემპიონატში რომ მიდის?**

- როგორ გითხრათ, დათომ ასე გადაწყვიტა. ისე კი მგონი უცნაური მას არაფერი გაუკეთებია. ფეხბურთელებმა, ცხადია, ყველაზე უკეთ ეს საქმე ვიცით და იმის გარდა, რომ თამაშით სიამოვნებას ვიღებთ, მომავალზეც ვფიქრობთ. იქნებ არც არის სომხეთის ჩემპიონატი ჩვენსაზე დაბალი დონის? რომელი ჭკუათმყოფელი წავა სხვაგან, აქ, ადგილზე შესაბამისი პირობების ან მაღალი დონის ჩემპიონატის შემთხვევაში?

**- და ჩვენი ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად რა არის საჭირო?**

- ახალს ვერაფერს გეტყვით. საფეხბურთო კლუბს მზარდი სპორტული მოთხოვნილება და სათანადო ფინანსური სახსრები უნდა ჰქონდეს. ცუდია, რომ მაყურებელიც არ დადის თამაშებზე. არადა, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის თანდასწრებით სულ სხვა ხიბლი აქვს თამაშს.

**- მაყურებელი კი ფეხბურთელმა და სანახაობამ უნდა მოიყვანოს...**

- გეთანხმებით.

**- ახალციხეში საკმაო რაოდენობით მიდის ტრიბუნაზე ქომაგი და ომახიანი შეძახილებითაც ამხნევებენ ხოლმე „მესხეთს".**

- კი, მითხრეს, რომ ძალიან მომთხოვნი პუბლიკა იკრიბება „მესხეთის" საშინაო მატჩებზე. მე ჯერ ახალციხეში არ მითამაშია. სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ კი ალბათ, ვითამაშებ და შევეცდები ჩემი საქმე ისე ვაკეთო, რომ მათ იმედი არ გაუცრუვდეთ.



**- ისევ უცხოეთისკენ ხომ არ გიჭირავს თვალი? როგორც ვიცით, რამდენიმე წლის წინათ, „კრილიაში" ირიცხებოდი...**

- 16 წლისა „კრილიას" დუბლებში ვთამაშობდი. ყველანი კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ „ც" ჰეპატიტი შემეყარა, მომიწია ნახევარი წლით ფეხბურთს ჩამოცილება და მერე უკვე ძირითადში დაბრუნება გამიჭირდა. საქართველოში, სადაც მითამაშია, ყველაგან ძირითადში ვიყავი, უცხოეთში თუ წავალ მხოლოდ ისეთ გუნდში, სადაც არა მარტო პირობები, სათამაშო პრაქტიკის ოდენობაც დამაკმაყოფილებს.

**ვასილ ბალახაძე**

# მჭედლიძე სეზონის ბოლოს დაბრუნდება


კახა კალაძე და ლევან მჭედლიძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** ტრავმირებულია და გუნდს ჩრდილოეთ ირლანდიაში ვერ დაეხმარება. თავდაპირველი ვარაუდით, ახალგაზრდა თავდამსხმელს სეზონის დარჩენილი ნაწილი უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მან მაისის დასაწყისში მოედანზე გასვლა უნდა შეძლოს. შესაძლოა, მჭედლიძის დებიუტი სერია A-ში ამ სეზონშივე შედგეს. შეგახსენებთ, ტრავმამდე იგი რამდენიმეჯერ მოხვდა "ემპოლის" მთავარი გუნდის 18-კაციან განაცხადში, მაგრამ თამაშის საშუალება არ მისცემია.

სარწმუნო წყაროს ცნობით, დიდია იმის შანსი, რომ ლევანმა ზაფხულში "ემპოლი" დატოვოს. სულ ცოტა ხნის წინათ მჭედლიძის შეძენის სურვილი გერმანულმა "ვოლფსბურგმა" გამოთქვა, მაგრამ კლუბები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ამბობენ ზაფხულში საკითხი ისევ აქტუალური გახდებაო.

დაბოლოს, ფოტო, რომელიც "ემპოლი"-"მილანის" ამასწინანდელი მატჩის წინაა გადაღებული - მჭედლიძემ და საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** ერთმანეთი გულთბილად მოიკითხეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები. აზერბაიჯანი

# ქართული დერბი აზერბაიჯანში

დღეს აზერბაიჯანში თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები შედგება. "გაბალა" დედაქალაქურ "ბაკის" სტუმრად ეთამაშება. შეხვედრაში ქართული დერბია მოსალოდნელი. თუ "ბაქიში" **ამირან მუჯირი** და **ალექსანდრე გოგობერიშვილი** თამაშობენ, "გაბალაში" ჩვენებური შუახაზელი **თორნიკე აფციაურია**, რომელიც თავის დროზე მუჯირისა და გოგობერიშვილის დარად საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული ფიგურა იყო და **ალენ ჟირესის** მწვრთნელობისას ეროვნულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული.

საინტერესოა, თუ რას ფიქრობს სათასო დერბის წინ, მისი ერთ-ერთი მონაწილე. აზერბაიჯანულმა სააგენტო "აპა სპორტმა" მეოთხედფინალური მატჩის წინ თორნიკე აფციაურის კომენტარი გამოაქვეყნა.

*"ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს. მთავარია, საბრძოლოდ განვეწყოთ და სასურველი შედეგის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლოთ.*

*რაღა თქმა უნდა, კარგად ვიცნობ მუჯირს. მასთან ჯერ კიდევ სამშობლოში ასპარეზობიდან მოყოლებული მაქვს ურთიერთობა. იმავეს თქმა შემიძლია ალექსანდრე გოგობერიშვილზე. სხვათა შორის, გოგობერიშვილი ტრავმის შემდეგ ახლახან დაუბრუნდა გუნდს და ეს ჩვენი მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს"*, - აღნიშნა თორნიკე აფციაურმა.

**კახა ცხადაძის** "სტანდარდი" ბაქოს "ნეფთჩის" ხვდება. ამ შეხვედრაში სტანდარდელების მთავარი ამოცანა მოგებაა, თუნდაც ერთი ბურთით, თორემ პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, მათი ნახევარფინალში გასვლა ფაქტობრივად გამორიცხულია.

**დავით ცაბაძე**

# კალაძემ მის რუსეთი ააფირა

ნამდვილია ამბავია და თავად **ვიქტორია ლოპირევამაც** საჯაროდ რუსულ პრესასთან საუბარში განაცხადა. "მის რუსეთი 2003" საქართველოს ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** მოუხიბლავს. "მილანის" მცველმა კი ვიქტორია გაანაწყენა.

ენ ტე ვე-მ ახალი პროექტი დაიწყო - "საფეხბურთო სალამო". გადაცემის წამყვანი სწორედ ვიქტორია ლოპირევა გახლავთ, კომენტატორი **გიორგი ჩერდანცევი**, რეზიდენტი კი "კომედი კლაბის" ცნობილი სახე **ტაშ სარქისიანია**. გადაცემის პრემიერის შემდეგ პირმშვენიერ ვიქტორიას რამდენიმე კითხვა დაუსვეს...

- მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებიდან ვინ მოგწონთ. რუსეთში რომ ასპარეზობდნენ, რომელს ექნებოდა მეტი შანსი "მისტერ რუსეთის" ტიტულის მოპოვებაზე?

- მომიტევეთ, მაგრამ არცერთის გამოყოფა არ მინდა. არ მინდა, ვინმე ამომრჩეს, მას გული დასწყდეს და მერე უარი მითხრას ჩემს გადაცემაში სტუმრობაზე. თუმცა ძალიან მომწონს კახა კალაძე ... და საერთოდ "მილანი", თუმცა "მილანმა" ბოლოს გამანაწყენა, თითქმის ავტირდი კიდეც "რომასთან" რომ წააგეს, - განუცხადა რუსულ მედიას ვიქტორია ლოპირევამ.

კალაძესთან დაკავშირებით მის ტატუზეც ითქვა. დღეს ეს არავის უკვირს, თუმცა მრავლად არიან ფეხბურთელები, რომელთა ტატუ მხოლოდ წარწერა კი არა "ნახატი-შედევრი" გახლავთ.

თუ ანდრეი შევჩენკოს მარცხენა მკლავზე დრაკონის ტატუ აქვს, მისი მეგობარი კახა კალაძე ვეფხვის ტატუირებით ამაყობს.

*"ძნელია გადაჭრით იმისი თქმა თუ რატომ ატარებს კახა კალაძე ვეფხვის ტატუირებას. "ვეფხისტყაოსანი" პოპულარული ქართული პოემაა და შესაძლოა "მილანის" მცველის ტატუს ამასთან გარკვეული კავშირი გააჩნდეს. შესაძლოა, კალაძემ დამოუკიდებლად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და "ვეფხისტყაოსანი" აქ არაფერ შუაშია.*

*მას უთქვამს, რომ მოედანზე თავადაა ვეფხვი და თამაშისას ის სწორედ ასეა შემართული და ვეფხვივით იბრძვის.*

*გარდა ამისა, კალაძეს მარჯვენა მკლავზე კიდევ აქვს ტატუ. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ის აღმოსავლურია, მაგრამ მისი შინაარსისა და მნიშვნელობის ახსნას კალაძე საჯაროდ ჯერ არ ჩქარობს"*, - ამბობენ რუსები.

**დავით ცაბაძე**

დავით ბოლქვაძე:

# შინ ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ



**დავით ბოლქვაძე აზერბაიჯანში წარმატებით ასპარეზობს. "ამერის" ყოფილმა ნახევარმცველმა ზაქათალის "სიმურგის" შემადგენლობაში უკვე სამი გოლი გაიტანა და აზერბაიჯანული პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. გთავაზობთ ბოლქვაძის ინტერვიუს.**

**- თითქმის ყველა შეხვედრაში "სიმურგს" გოლი გააქვს და შემდეგ დაცვაში ჯდება. ეს სუსტი ფიზიკური მომზადებით ხომ არაა განპირობებული?**

- არა, ფიზიკურად კარგ ფორმაში ვართ, ასეთ ტაქტიკას კი შედეგი მოაქვს და უარი რატომ უნდა ვთქვათ?!

**- მომდევნო ტურებში ჩემპიონატის ლიდერებთან გიწევთ თამაში...**

- მათ საკუთარ მოედანზე ვეთამაშებით და გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს. ვეცდებით, შინ ყველა მატჩი მოვიგოთ და ჩემპიონატი რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე დავასრულოთ.

**- ამბობენ, რომ ზაქათალის სტადიონის ცუდი გაზონი "სიმურგს" კარგ სამსახურს უწევს.**

- ვერ დაგეთანხმებით, მოედანი ხომ ჩვენთვისაც და მეტოქისთვისაც ერთი და იგივეა.

**- როგორ ფიქრობთ, აქვს "სიმურგს" ინტერტოტოს თასზე გასვლის შანსი?**

- რატომაც არა. თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად უნდა გამოვისწოროთ.

**- ყველა აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში კარგ ფორმაში ხართ.**

- დიახ, ასეა. მთელი მონდომებით ვვარჯიშობ და გუნდის წარმატებისთვის თავს არ ვზოგავ.

**- ნახევარმცველის კვალობაზე, უკვე საკმაოდ ბევრი გოლი გაიტანეთ.**

- გოლების უმეტესობა თერთმეტმეტრიანით გავიტანე, პენალტი კი საერთო შრომის შედეგია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სტაჟირება არგენტინაში!

## ვასილ აფციაური სტაჟირებიდან არგენტინის ს/კ "ნუევა ჩიკაგოში"


შუაში ვასილ აფციაური

1990 წელს დაბადებული, რუსთავის "მამულის" ფეხბურთელი ვასილ აფციაური (მწვრთნელები მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური) გასული წლის თებერვალში სტაჟირებაზე გაემგზავრა არგენტინის ნაკრების საფეხბურთო კლუბების "როსარიო სენტრალის", "სან ლორენსოსა" და "ველეს სარსფილდის" ყოფილ ფეხბურთელთან და ამჟამად მწვრთნელთან, ედუარდო ემილიო დელგადოსთან არგენტინაში.

დელგადომ, შესაბამისი მომზადების შემდეგ, ვასილ აფციაურს ურჩია საკონტროლო თამაშებით წარმდგარიყო არგენტინის პრიმერა B დივიზიონში მოასპარეზე "ნუევა ჩიკაგოს" საფეხბურთო გუნდთან, სადაც ვასილმა თავი გამოიჩინა კარგი მომზადებით და წელს ის უკვე დაიცავს ამ კლუბის ღირსებას. ვასილმა თუ ასე გააგრძელა, ერთი წლის შემდეგ შეიძლება ვიხილოთ უფრო ძლიერ გუნდში.

არგენტინულ კლუბში გადასვლის მომავალ კანდიდატად, თამაზ სამხარაძის მიერ გაწვრთნილი, 1990 წელში დაბადებული, ამჟამად დელგადოსთან სტაჟირებაზე მყოფი გიგი ტარყაშვილი მოიაზრება. აგრეთვე, 1990 წელში დაბადებული ვალერი აგაჯანოვიც. ეს ორი ფეხბურთელი შარშან ნოემბერში გაემგზავრა არგენტინაში.

მარტის ბოლოს არგენტინაში სტაჟირებაზე კიდევ მიემგზავრებიან ფეხბურთელები, რომლებიც თავად, ან მათი სპონსორები აფინანსებენ სტაჟირების, ავიაბილეთებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯებს.

17-18 წლის ასაკის ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ ჯერ გაიარონ სტაჟირება დელგადოსთან და შემდეგ მოხვდენ არგენტინულ კლუბში, შეუძლიათ მოგვმართონ ადგილზე, რათა მოხვდნენ მარტის ბოლოს არგენტინაში წამსვლელთა ჯგუფში. მსურველთა მიღება და მათთან კონსულტაციები გრძელდება ყოველდღე, კვირის გარდა, 13 საათიდან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ლეონიძის ქ. №4 (თავისუფლების მოედანთან). ტელეფონი 899-23-55-20

ის პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც გაემგზავრებიან არგენტინაში, აგრეთვე, არგენტინაში ახლადშექმნილ ქართულ გუნდ "ხეარგთან" ერთად 2009 წლის მაისში, ამხანაგური თამაშებით წარდგებიან ქართველი ქომაგების წინაშე თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

*არგენტინის "ხეარგის" წარმომადგენლობა საქართველოში*

ეროვნული ნაკრები. მეტოქე

# კვიპროსი საბერძნეთს შეხვდება

ჩვენი ნაკრების მეტოქე მომავალ შესარჩევ ციკლში კვიპროსის ეროვნული გუნდი მომდევნო ამხანაგურ მატჩს საბერძნეთთან გამართავს 19 მაისს. შესარჩევის დაწყებამდე კუნძულელებს არცერთი ამხანაგური მატჩი არ ჰქონდათ დაგეგმილი და ბერძნებს გუშინლა მოურიგდნენ. ფიფას მიერ ბოლოს გამოქვეყნებულ რეიტინგში კვიპროსმა 3 ადგილით წინ წაიწია და ამჟამად 63-ე საფეხურზეა.

**დავით ცაბაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. XVIII ტური

| აღმოსავლეთი ზონა | |
|---|---|
| გაგრა-კახეთი | 1:2 |
| ნ. დინამო/მერანი 2-ოლიმპიკი | 1:1 |
| ოლიმპი 2-დინამო 2 | 0:0 |
| ამერი 2-ჩიხურა | 1:2 |
| მეშაქრე-ვიტ ჯორჯია 2 | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 18 | 10 | 5 | 3 | 28-14 | 35 |
| 2. გაგრა | 18 | 10 | 5 | 3 | 38-28 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 18 | 8 | 5 | 5 | 26-15 | 29 |
| 4. მეშაქრე | 17 | 8 | 5 | 4 | 25-17 | 29 |
| 5. ჩიხურა | 18 | 8 | 5 | 5 | 28-24 | 29 |
| 6. ოლიმპი 2 | 18 | 7 | 5 | 6 | 25-19 | 26 |
| 7. კახეთი | 18 | 7 | 4 | 7 | 29-28 | 25 |
| 8. ამერი 2 | 17 | 6 | 2 | 9 | 28-31 | 20 |
| 9. ოლიმპიკი | 18 | 3 | 4 | 11 | 23-38 | 13 |
| 10. ნ. დინ/მერ. 2 | 18 | 0 | 4 | 14 | 17-53 | 4 |

| დასავლეთი ზონა | |
|---|---|
| მეშახტე-მაღაროელი | 1:2 |
| კოლხეთი (ხობი)- სამტრედია | 3:1 |
| ფაზისი რაჭა-უნივერსიტეტი (ქუთ.) | 0:3* |
| ტორპედო-ზესტაფონი 2 | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 18 | 16 | 2 | 0 | 41-12 | 50 |
| 2. ზესტაფონი 2 | 17 | 9 | 2 | 6 | 27-16 | 29 |
| 3. მერანი მ. | 17 | 8 | 4 | 5 | 23-16 | 28 |
| 4. მეშახტე | 17 | 9 | 0 | 8 | 29-29 | 27 |
| 5. კოლხეთი ფ. | 17 | 7 | 5 | 5 | 23-19 | 26 |
| 6. ტორპედო | 18 | 7 | 4 | 7 | 27-25 | 25 |
| 7. კოლხეთი ხ. | 18 | 6 | 5 | 7 | 23-23 | 23 |
| 8. უნივერსიტეტი | 17 | 6 | 3 | 8 | 16-17 | 21 |
| 9. სამტრედია | 17 | 2 | 3 | 12 | 17-40 | 9 |
| 10. ფაზისი* | 18 | 2 | 2 | 14 | 17-46 | 8 |

* ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია. სერია A. XXIX ტური

### ჯენოა-ინტერი 1:1

**ჯენოა:** სკარპი, დე როზა (71. ფაბიანო), კრიშიტო (52. ა. ლუკარელი), სანტოს გლეისონი (46. ბორიელო), მ. როსი, მილანეტო, დანილო, კონკო, იურიჩი, ფიგეროა, სკული.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ბურდისო, მაქსველი, მაიკონი, კივუ, პელე, ხ. ძანეტი, კამბიასო, სოლარი (46. რივასი), იბრაჰიმოვიჩი, სუასო (69. კრუსი).

**გოლები:** 0:1 სუასო (11), 1:1 ბორიელო (85)

**გაძევება:** პელე (38. ინტერი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 21-4 (6-1); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 27 624

### ემპოლი-იუვენტუსი 0:0

**ემპოლი:** ბასი, მარძორატი, პიკოლო, ჯაკომაცი (57. ვანუკი), აბატე, ანტონინი, მუზაჩი (70. ბუდელი), ბუშე, მორო (77. ჯოვინკო), მარკიზიო, ვოლპატო.

**იუვენტუსი:** ბუფონი, ლეგროტალიე, მოლინარო (29. გრიგერა), ზებინა, კიელინი, ტიაგო (61. ტრეზეგე), სალიჰამიჯიჩი, კამორანეზი (82. ნედვედი), ნოჩერინო, დელ პიერო, იაკვინტა.

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 7-8 (1-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 000

### მილანი-სამპდორია 1:2

**მილანი:** კალაჩი, ოდო, კალაძე, ნესტა, იანკულოვსკი (55. ფავალი), პირლო, გატუზო, ამბროზინი (46. ჯილარდინო), ზეედორფი, კაკა (10. პალოსკი), პატო.

**სამპდორია:** კასტელაცი, გასტალდელო, აკარდი, მაჯო, ლუკინი, დელვეკიო (88. ციგლერი), ვოლპი, პიერი (74. კ. ძენონი), პალომბო, სამარკო, ბონაცოლი (76. ბელუჩი).

**გოლები:** 0:1 მაჯო (12), 0:2 დელვეკიო (25), 1:2 პალოსკი (70)

**გაძევება:** ლუკინი (90. სამპდორია)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 15-7 (4-4); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 60 000

### ნაპოლი-ფიორენტინა 2:0

**ნაპოლი:** ჯანელო, კანავარო, დომიცი, სავინი, სანტაკროჩე, ბლაზი, გარგანო, მანინი, ჰამსიკი (80. პაციენცა), ლავეცი (89. ბოლიაჩინო), კალაიო (68. სოსა).

**ფიორენტინა:** ფრეი, დაინელი (64. პოტენცა), პასკუალი, უიფალუში, კროლდრუპი, ლივერანი (46. პაპა ვაიგო), დონადელი, კუჟმანოვიჩი, მონტოლივო, ოსვალდო (55. კაჩა), მუტუ.

**გოლები:** 1:0 ლავეცი (23), 2:0 ლავეცი (31)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 10-12 (7-3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 47 500

### ტორინო-უდინეზე 0:1

**ტორინო:** სერენი (46. ა. ფონტანა), დი ლორეტო, ლანა, კომოტო (9. მოტა), ნატალი, გრელა, ბარონე, დიანა, ლაზეტიჩი (61. დი მიკელე), როზინა, სტელონე.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, ფელიპე, ლუკოვიჩი, დოსენა, კოდა, ინლერი, ისლა, მესტო, პეპე, ფლორო ფლორესი (77. კვალიარელა), დი ნატალე (74. გ. დ'აგოსტინო).

**გოლი:** 0:1 პეპე (26)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 21-21; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 16-6 (6-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 19 700

### კალიარი-ატალანტა 1:0

**კალიარი:** სტორარი, აგოსტინი, ლოპესი, ფ. პიზანო, კანინი, კონტი, ფინი, პაროლა (58. ბიონდინი), კოსუ (74. ფოჯა), აკვაფრესკა (62. მატრი), ჟედა.

**ატალანტა:** ფ. კოპოლა, პელეგრინო, ბელერი, რივალტა, კაროციერი, გუარენტე, დე აშენტისი (46. ტისონე), პინტუ, ლანჯელა (72. ს. ინძაგი), მუსლიმოვიჩი (46. კ. დონი), ფლოკარი.

**გოლი:** 1:0 აკვაფრესკა (18-პენ)

**გაძევება:** კაროციერი (76. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 20-23; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 15 000

### პარმა-პალერმო 2:1

**პარმა:** ბუჩი, პაჩი, კასტელინი, დ. ძენონი, ფალკონე, მარიგა, მორონე, გასბარონი (58. პარავიჩინი), კორადი, ბუდანი (90. ანტონელი), რეჟინალდო (72. დესენა).

**პალერმო:** ა. ფონტანა, კასანი (56. ბრეშანო), ბარძალი, ძაკარდო, ბალცარეტი, რინაუდო, მილიაჩო, კაზერტა (56. კავანი), სიმპლისიუ, იანკოვიჩი (71. ბიავა), ამაური.

**გოლები:** 1:0 ბუდანი (53), 1:1 კავანი (69), 2:1 ბუდანი (89-პენ)

**გაძევება:** მარიგა (27. პარმა), ბარძალი (70. პალერმო)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 16-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 13 195

### კატანია-სიენა 0:0

**კატანია:** პოლიტო, სილვესტრი, ვარგასი, სილვესტრე, სტოვინი, კოლუჩი (46. პია), ედუსეი, ჯაკტედესკო (73. იცკო), ბაიოკო, სპინეზი, მასკარა.

**სიენა:** მანინგერი, ფიკანია, პორტანოვა, როსეტინი, ა. როსი, ლოკატელი (86. ალბერტო), იაროლიმი, ხარჯა, მ. კოპოლა, გალოპა, მაკარონე (90. რიგანო).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 18-30; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 16 000

### ლივორნო-რეჯინა 1:1

**ლივორნო:** დე ლუჩია, კნეჟევიჩი, გალანტე, პასკუალე, ბალერი, გრანდონი, ა. ფილიპინი, ვიდიგალი (55. ტავანო/84. დიეგო ტრისტანი), დე ვეცე, ბოგდანი, დიამანტი.

**რეჯინა:** კამპანიოლო, კ. ვალდესი, კოსტა (78. ჰალფრედსონი), მოდესტო, ლანძარო, არონიკა, კოცა (59. მისიროლი), კაშონე, ბარეტო, ბრიენცა (82. სტუანი), ამორუზო.

**გოლები:** 0:1 ბრიენცა (34), 1:1 ბოგდანი (61)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 20-25; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 24-4 (11-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 11 500

### ლაციო-რომა 3:2

**ლაციო:** ბალოტა, სივილია, კოლაროვი, კრიბარი, ბეჰრამი, ლედესმა, დე სილვესტრი (66. მუტარელი), დაბო (84. მუდინგაი), ბიანკი (72. მაური), პანდევი, როკი.

**რომა:** ა. დონი, სისინიო, მექსე, ჟუანი, კასეტი (88. პანუჩი), აკვილანი, პეროტა, დე როსი, ტადეი (66. ჟიული), ტოტი, ვუჩინიჩი (84. მანსინი).

**გოლები:** 0:1 ტადეი (31), 1:1 პანდევი (44), 2:1 როკი (58-პენ), 2:2 პეროტა (62), 3:2 ბეჰრამი (90)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 18-14 (3-3); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 68 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 29 | 20 | 8 | 1 | 55-18 | 68 |
| 2. რომა | 29 | 18 | 7 | 4 | 52-28 | 61 |
| 3. იუვენტუსი | 29 | 15 | 10 | 4 | 49-24 | 55 |
| 4. ფიორენტინა | 29 | 14 | 8 | 7 | 43-29 | 50 |
| 5. მილანი | 29 | 12 | 10 | 7 | 43-25 | 46 |
| 6. სამპდორია | 29 | 13 | 6 | 10 | 41-36 | 45 |
| 7. უდინეზე | 29 | 12 | 8 | 9 | 37-38 | 44 |
| 8. ატალანტა | 29 | 9 | 10 | 10 | 44-43 | 37 |
| 9. ლაციო | 29 | 9 | 10 | 10 | 36-37 | 37 |
| 10. ნაპოლი | 29 | 10 | 6 | 13 | 39-43 | 36 |
| 11. პალერმო | 29 | 9 | 9 | 11 | 37-45 | 36 |
| 12. ჯენოა | 29 | 9 | 9 | 11 | 33-41 | 36 |
| 13. სიენა | 29 | 7 | 11 | 11 | 31-38 | 32 |
| 14. ტორინო | 29 | 5 | 16 | 8 | 30-36 | 31 |
| 15. პარმა | 29 | 6 | 11 | 12 | 35-43 | 29 |
| 16. კატანია | 29 | 6 | 10 | 13 | 24-36 | 28 |
| 17. ლივორნო | 29 | 6 | 10 | 13 | 29-43 | 28 |
| 18. რეჯინა | 29 | 5 | 11 | 13 | 26-42 | 26 |
| 19. ემპოლი | 29 | 6 | 8 | 15 | 23-41 | 26 |
| 20. კალიარი | 29 | 7 | 6 | 16 | 26-45 | 24* |

* - კალიარის დაკლებული აქვს 3 ქულა

ბომბარდირები: 17 - ბორიელო (ჯენოა); 16 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 13 - დი ნატალე (უდინეზე), ტოტი (რომა); 11 - დელ პიერო (იუვენტუსი), კ. დონი (ატალანტა), პანდევი (ლაციო), როკი (ლაციო); 10 - ბელუჩი (სამპდორია), კრუსი (ინტერი), კაკა (მილანი), ტავანო (ლივორნო); 9 - ამაური (პალერმო).

## სერია B

### XXXI ტური

**ალბინოლეფე-აველინო** 3:3

გოლები: 0:1 პელიკორი (31), 1:1 ჩელინი (49-პენ), 1:2 სალგადო (53), 1:3 პელიკორი (56), 2:3 რუოპოლო (67), 3:3 ჩელინი (75)

გაძევება: ჯერვასონი (60. ალბინოლეფე)

**ასკოლი-მესინა** 1:1

გოლები: 1:0 გუბერტი (31), 1:1 დ'ავერსა (45)

**ბრეშა-ლეჩე** 0:0

გაძევება: ბეგა (78. ბარი)

**ფროზინონე-ტრიესტინა** 0:1

გოლი: 0:1 ზგრინია (25)

**პიაჩენცა-პიზა** 4:2

გოლები: 0:1 რაიმონდი (14), 1:1 დედიჩი (27), 2:1 ძამუტო (48), 3:1 დედიჩი (54-პენ), 3:2 ჯემიტი (80-საკ. კარში), 4:2 დედიჩი (90-პენ)

**გროსეტო-მანტოვა** 1:0

გოლი: 1:0 ტერა (36)

**მოდენა-ვიჩენცა** 1:1

გოლები: 0:1 მოროზინი (46), 1:1 ლონგო (66)

**რავენა-კიევო** 1:1

გოლები: 1:0 პეკორარი (14), 1:1 პელისიერი (19)

**რიმინი-სპეცია** 4:2

გოლები: 1:0 ვანტაჯატო (9), 1:1 კამორანი (37), 2:1 ვანტაჯატო (48), 3:1 გრეკო (57), 4:1 გრეკო (70-პენ), 4:2 ძიძარი (86)

გაძევება: ბიანკი (68. სპეცია)

**ტრევიზო-ბოლონია** 0:2

გოლები: 0:1 ადაილტონი (21-პენ), 0:2 ვალიანი (34)

**ბარი-ჩეზენა** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლონია | 31 | 18 | 9 | 4 | 42-19 | 63 |
| 2. კიევო | 31 | 18 | 9 | 4 | 56-34 | 63 |
| 3. ალბინოლეფე | 31 | 18 | 8 | 5 | 51-26 | 62 |
| 4. ლეჩე | 31 | 16 | 11 | 4 | 48-21 | 59 |
| 5. ბრეშა | 31 | 17 | 8 | 6 | 48-25 | 59 |
| 6. პიზა | 31 | 17 | 8 | 6 | 52-34 | 59 |
| 7. რიმინი | 31 | 14 | 8 | 9 | 44-29 | 50 |
| 8. მანტოვა | 31 | 13 | 8 | 10 | 45-37 | 47 |
| 9. ასკოლი | 31 | 11 | 11 | 9 | 40-31 | 44 |
| 10. მესინა | 31 | 11 | 8 | 12 | 29-43 | 41 |
| 11. ფროზინონე | 31 | 11 | 7 | 13 | 41-47 | 40 |
| 12. ტრიესტინა | 31 | 10 | 9 | 12 | 38-47 | 39 |
| 13. პიაჩენცა | 31 | 12 | 3 | 16 | 31-41 | 39 |
| 14. მოდენა | 31 | 8 | 12 | 11 | 44-45 | 36 |
| 15. ბარი | 31 | 8 | 12 | 11 | 39-45 | 36 |
| 16. გროსეტო | 31 | 7 | 13 | 11 | 28-41 | 34 |
| 17. ვიჩენცა | 31 | 5 | 12 | 14 | 28-48 | 27 |
| 18. ტრევიზო | 31 | 6 | 9 | 16 | 28-41 | 26 |
| 19. აველინო | 31 | 6 | 8 | 17 | 30-48 | 26 |
| 20. სპეცია | 31 | 4 | 12 | 15 | 34-51 | 24 |
| 21. ჩეზენა | 31 | 4 | 12 | 15 | 26-47 | 24 |
| 22. რავენა | 31 | 4 | 9 | 18 | 36-58 | 21 |

**ბომბარდირები:** 20 - ჩელინი (ალბინოლეფე), გოდეასი (მანტოვა); 19 - კასტილიო (პიზა); 18 - გრანოკე (ტრიესტინა); 17 - მარაცინა (ბოლონია); 16 - ლოდი (ფროზინონე); 15 - პელისიერი (კიევო); 14 - პოსანცინი (ბრეშა), სუჩი (რავენა).

იუვენტუსი

# მორჩით ამ გადადგომაზე ლაპარაკს!

## რანიერიმ, საკუთარ თავს არ ვჩივიო. ანუ, რა შუაშია ლიპი?



კლაუდიო რანიერი სიმშვიდეს ითხოვს

**კლაუდიო რანიერის** მისი პერსონის გარშემო აგორებული სპეკულაციები ყელში ამოუვიდა. პრესის წინაშე მან ლამის მუშტები აბრახუნა - მორჩით ამ გადადგომაზე ლაპარაკსო! მაგრამ რანიერის გადადგომაზე მარტო ჟურნალისტები არ ლაპარაკობენ, თუმცა "იუვეს" მწვრთნელის რისხვა სწორედ მათკენ იყო მიმართული. ყველას ახსოვს სამი კვირის წინანდელი ამბებიც, როცა "ქალბატონი" შინ "ფიორენტინასთან" დამარცხდა (2:3). მაშინ, ფანებმა რანიერის საწინააღმდეგო ბანერებიც გამოფინეს და უფრო რადიკალური აქციებითაც დაიმუქრნენ...

არის საშიშროება, რომ "იუვენტუსი" ოთხეულში ვერ მოხვდეს. კვარტეტისთვის იბრძვიან "მილანიცა" და "ფიორენტინაც". არადა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა "სინიორასთვის" სასიცოცხლოდ აუცილებელია. ცნობილი მოვლენების გამო, კლუბმა ორი წელი გაფლანგა. ამიტომაც იყო, რომ "ფიატის" მეპატრონეები სერიოზულ სატრანსფერო დანახარჯებზე ვერ და არ წავიდნენ. საამისო გარანტია სწორედ ჩემპიონთა ლიგა უნდა იყოს, ამას კი რანიერისგან ელიან. სხვა შემთხვევაში მწვრთნელი განწირულია. კიდევ ერთი წელი ჩემპიონთა ლიგის გარეშე? ეს სერია B-ზე უარეს კატასტროფადაც კი შეიძლება იქცეს. არ გამორიცხავენ, რომ თუ მართლა ასე მოხდა, **ანიელების** მემკვიდრეებმა კლუბის გაყიდვაზეც იფიქრონ...

მაგრამ რანიერის იმედი აქვს, რომ ზღაპრის ბოლო კეთილი იქნება და მომავალ სეზონში "იუვე" კვლავ შეაღებს ჩემპიონთა ლიგის კარს: *"უნდა დამთავრდეს ეს სპეკულაციები. საკუთარი თავი არ მაღელვებს, მე მშვიდად ვარ და ვისაც რა უნდა, ის თქვას და წეროს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი ნეგატიურად მოქმედებს გუნდზე და გვარიანად გვიშლის ხელს. დარწმუნებული ვარ, "ემპოლისთან" სხვა "იუვენტუსს" ნახავთ (შეგიძლიათ, წუხანდელი შედეგებით დარწმუნდეთ - რედ). ჩვენ ბევრს ვმუშაობთ, ვცდილობთ, პრობლემები დავძლიოთ და უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ. მჯერა, სეზონის ფინიში ყველა ჩვენს გულშემატკივარს გაახარებს".*

ეჭვია, რომ რანიერის გაცხარება უფრო **მარჩელო ლიპის** ფაქტორმა განაპირობა, ვიდრე მისი გადადგომის მოთხოვნამ. რა თქმა უნდა, ეს ერთმანეთთან უშუალო კავშირშია, მაგრამ გასაგებია ისიც, რომ ამაყ რომაელს აღიზიანებს სახელოვანი კოლეგის ჩრდილში ყოფნა. იმასაც ხომ ამბობენ, ლიპი "იუვეში" შეიძლება ტექნიკურ დირექტორად დაინიშნოსო. ეს კი მწვრთნელზე პირდაპირი კონტროლია. უნდა ახლა რანიერის ამგვარი კონტროლი?

### ლემპარდი მთავარი სამიზნეა

გადავიდეთ სატრანსფერო ამბებზე. კვლავ ამოტივტივდა **ფრენკ ლემპარდის** თემა. ჯერჯერობით, "ჩელსის" ლიდერი კლუბთან ახალ ხელშეკრულებას არ აფორმებს. "იუვენტუსისთვის" ეს მთავარი იარაღია. "კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, ლემპარდი ტურინელი ბოსებისთვის სასურველ მოთამაშეთა სიაში პირველ ადგილზეა. ამ ტრანსფერზე ადრეც იყო ლაპარაკი. "სინიორას" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** რამდენჯერმე შეხვდა კიდეც "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ **პიტერ კენიონს**...

ლამპარდი 29 წლისაა. ის ახალი თავგადასვლის ძიებაშია. მისთვის საინტერესო ქვეყნები იტალია და ესპანეთია, იქით "იუვენტუსი", აქეთ "ბარსელონა". მაგრამ ლემპარდისთვის მნიშვნელოვანია **კლაუდიო რანიერის** ფაქტორიც. 2001 წელს, რანიერიმ ის "ვესტ ჰემიდან" "ჩელსიში" გადაიყვანა. "არისტოკრატებთან" მოქმედი კონტრაქტი პრობლემას ვერ შექმნის. ფიფას ახალი წესების თანახმად, 28 წელს ზემოთ ფეხბურთელს უფლება აქვს, საკუთარი ხელშეკრულება დაბალ ფასში გამოისყიდოს.

ლემპარდის ფრონტზე გააქტიურება ორი მიზეზითაა გამოწვეული. **რაფაელ ვან დერ ვაარტისა** და **დიეგოს** ფრონტზე ბრძოლა თითქმის წაგებულია. პირველი, ალბათ, "ჩელსიში" წავა, მეორეს კი გეზი "რეალისკენ" უჭირავს. ასე რომ, ტურინელი ბოსები სერიოზულად უნდა დაფაცურდნენ, რათა ლემპარდმაც სადმე სხვაგან, ვთქვათ, "ბარსელონაში" არ ამოჰყოს თავი...



ფრენკ ლემპარდი ახალი თავგადასავლის ძიებაშია

მილანი

# მზად ვართ, მოვუსმინოთ მილანს

## ბერბატოვის აგენტი როსონერის დაინტერესებას ადასტურებს



დიმიტარ ბერბატოვს მილანი უმიზნებს?

"მილანს" ახალი ფორვარდი ნამდვილად არ აწყენდა. **რონალდო** წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს, **ფილიპო ინძაგის** დრო წავიდა, **ალბერტო ჯილარდინომ** "როსონერიში" თავის ტალანტი ვერ გამოავლინა, ხოლო დაბრუნდება თუ არა **ანდრეი შევჩენკო**, ჯერჯერობით, უცნობია. სურვილი კი არის, მაგრამ მთავარი სხვა რამაა. საერთოდ, სპეკულაციები იმაზე, რომ მომავალი სეზონიდან "მილანი" საგრძნობლად გადახალისდება, მაშინ გამძაფრდა, როცა **კარლო ანჩელოტის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში "არსენალთან" დამარცხდა, მანამდე კი სკუდეტოსთვის ბრძოლის შანსები პრაქტიკულად, ამოწურა. მოკლედ, ამ სეზონში "როსონერი" უტიტულოდ რჩება და ცხადია, **სილვიო ბერლუსკონი** ამას ვერ შეურიგდება. მის სიაში თურმე რამდენიმე საგულისხმო გვარია: **დიდიე დროგბა, კარვალიო ამაური,** რა თქმა უნდა, შევჩენკო და ამას ემატება **დიმიტარ ბერბატოვიც**.

"ტოტენჰემის" მდგომარეობის კვალობაზე 27 წლის ბერბატოვი შესანიშნავ სეზონს ატარებს. აქედან გამომდინარე, კლუბის ფანებში ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ამიტომ, "დეზები" ფრთხილად უნდა იყვნენ. თუმცა ფანებს შორის ბევრი უკვე შეგუებულია იმას, რომ ბულგარელი ამ ზაფხულს ევროპის რომელიმე ტოპ-კლუბში გადავა. ბერბატოვის აგენტი **ემილ დანჩევი** "სეტანტა სპორტთან" საუბარში ამას ირიბად ადასტურებს:

*"კლუბებს შორის კონტაქტი არ ყოფილა, მაგრამ თუ "მილანი" გადაწყვეტს ჩემი კლიენტის შეძენას, რა თქმა უნდა, ჩვენ ნებისმიერ მომენტში მზად ვიქნებით, მათი წინადადება მოვისმინოთ. "როსონერი" ევროპის უდიდესი კლუბია, მაგრამ თითოეული ტრანსფერი მსჯელობის საგანია და ვალდებული ვარ, დიმიტართან ერთად ყველა ეს საკითხი განვიხილო. ამ მომენტისთვის ის "ტოტენჰემზეა" კონცენტრირებული. სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. დიახ, ის "ტოტენჰემში" ბედნიერია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასევე არ იქნება სხვა კლუბში".*

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ბერბატოვის გასაყიდი ფასი 20 მილიონი გირვანქა იქნება. შეელევიან "მამლები" კლუბის თილისმად ქცეულ ბულგარელს? სხვა რა გზა ექნებათ, რო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# იბრა მაგარია? მაგარი არა, ისა...

## რას ფიქრობს ზლატანზე კალჩოს ყოფილი ვარსკვლავი



რატომ არ მოსწონთ ზლატან იბრაჰიმოვიჩი?

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ფორმაშია, მას მუდამ მიკროსკოპით აკვირდებიან, აკრიტიკებენ, უფრო მეტად კი აქებენ... ბოლო ხანებში მან ყურადღება ორი გარემოების გამო მიიპყრო: "ლივერპულთან" პირველი საჩემპიონთალიგო მერვედფინალის შემდეგ, იბრამ ნაგება თანაგუნდელ **მარკო მატერაცის** დააბრალა, რაკი ეს უკანასკნელი, "ენფილდის" მატჩის 30-ე წუთზე, ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს, "ნერაძურიმ" კი თამაში 0:2 დათმო.

ბოლოს კი იყო გაუგებრობა თუ კონფლიქტი **რობერტო მანჩინისთან**, როცა "პალერმოსთან" მატჩში შეცვლის გამო, შვედი ფორვარდი მწვრთნელს საჯაროდ შემოსწყრა. იბრამ მაშინვე განმარტა, მანჩინისთვის ცუდი არაფერი მითქვამსო, მაგრამ მეორე დღეს "ნერაძურის" თავკაცმა პრესას უთხრა, ზლატანმა ბოდიში მოიხადა და ამით ყველაფერი მოგვარდაო. გამოდის, რომ ფორვარდმა მართლა თქვა სიტყვები, რომელიც მავანმა სპეციალისტმა კადრებით გაშიფრა (როგორც ზიდანისა და მატერაცის შემთხვევაში) - იმედი მაქვს, მანჩინი სეზონის ბოლოს მართლა წავაო...

მაგრამ ცხადია, მას უფრო პროფესიული კრიტერიუმების გამო აკრიტიკებენ. იმავე "ლივერპულთან" შეხვედრებში, მატერაცის რომ აბრალებდა წაგებას, გუნდის სასარგებლოდ თავადაც არაფერი გაუკეთებია. სერია A-ს ყოფილი ვარსკვლავი **ალდო აგროპი** მიიჩნევს, რომ იბრაჰიმოვიჩი სულაც არ არის დიდი ფეხბურთელი, როგორადაც ხშირად ნათლავენ.

*"ზლატანი დიდი ფეხბურთელია? ნუ ხუმრობთ ამაზე,* - ამბობს იტალიის ნაკრებისა და "ტორინოს" ექსფეხბურთელი, - *უბრალოდ, შვედი კარგი ფეხბურთელია და მეტი არაფერი. ასეთები კი მრავლად არიან. შესაბამისად, იბრაჰიმოვიჩში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ვან ბასტენი, ფალკაო, რობერტო ბაჯო... სწორედ ისინი იყვნენ დიდი მოთამაშეები. პლატინი ზედიზედ სამჯერ იყო სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი, ამას გარდა, სამჯერ გახდა "ოქროს ბურთის" მფლობელიც. ამიხსენით, რას მიაღწია იბრაჰიმოვიჩმა და რით ჰგავს ის წარსულის ამ ვარსკვლავებს?".*

იბრაჰიმოვიჩს აქვს შანსი, ამ სეზონში გახდეს კალჩოს საუკეთესო სნაიპერი. გუშინდელ ტურამდე, 15 გოლით ის მესამე ადგილზე იყო **მარკო ბორიელოსა** და **დავიდ ტრეზეგეს** (ორივეს 16-16 ჰქონდა გატანილი) შემდეგ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ 15-დან ზლატანმა 8 პენალტით შეაგდო. ისე, პატივცემული აგროპის მიგნება ნამდვილად საინტერესოა...

შერისხული

# მოჯი: მე მალე დავბრუნდები, მაგრამ არა ამ იუვეში

## ...თუმცა მას ისევ მოცდა მოუწევს. რატომ გააქტიურდა ლუჩანონე?


რატომ გააქტიურდა ლუჩანო მოჯი?

ის ფეხბურთიდან გააგდეს, მაგრამ საკუთარი თავი ფეხბურთსგარეთ არასოდეს დაუყენებია. ცოტა ხნით ჩრდილში კი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში **ლუჩანო მოჯი** საეჭვოდ გააქტიურდა და რამდენიმე საყურადღებო კომენტარიც გააკეთა. მაგალითად, ის ამტკიცებდა, **რობერტო მანჩინის** "ინტერიდან" წასვლა რომ უნდოდა, მე უფრო ადრე ვიცოდიო, **მასიმო მორატისთან** ცუდი ურთიერთობა აქვსო... მერე იყო და, "იუვენტუსში" **კლაუდიო რანიერის მარჩელო ლიპი** შეცვლისო, დაიჩემა, ესეც ზუსტად ვიციო და ახსნა კიდეც მიზეზი. ამაზე ორიოდ დღის წინ დავწერეთ და აღარ განვმეორდებით...

მაინც, რას უნდა მივაწეროთ კალჩოს "რუხი კარდინალის" გააქტიურება? ერთი ვერსიით, როგორც ამბობენ, მოჯისა და სხვა პირებს კალჩოში საქმიანობის აკრძალვა, შესაძლოა, ორი წლით შეუმცირდეთ. მეორე გზა ისაა, რომ თავად მოჯის, კარგა ხანია, საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელი, რომელშიც თავისი სიმართლის დამტკიცებას ცდილობს...

2006 წელს ლუჩანონეს 5 წელი აჰკიდეს. 2011 წელს, როცა დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა, ის 74 წლისა იქნება. და რამდენად შეძლებს ამ ასაკში ფეხბურთში დაბრუნებასა და საფირმო ინტრიგების ხლართვას? სწორედ რომ ინტრიგაა, როცა ამბობს - მე დავბრუნდები და იმედი მაქვს, ძალიან მალეო. ესეც მის სტილშია. შეიძლება, მართლა მზადდება კალჩოს დიდი ამნისტია?

*"მზად ვარ, დავბრუნდე და იმედი მაქვს, ეს მოხდება ძალიან მალე, ვიდრე ზოგს ჰგონია,* - თქვა მოჯიმ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში სტუმრობისას, - *მაგრამ ამავე დროს, გამოვრიცხავ, დავბრუნდე "იუვენტუსში", ვიდრე კლუბს ეს დირექტორატი ეყოლება".*

რა გასაკვირია, რომ მას ცუდი ურთიერთობა აქვს "იუვეს" დღევანდელ პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი ჯილისა** და გენერალურ მენეჯერ **ჟანკლოდ ბლანთან**. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ "სინიორას" ახალგაზრდა სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** მისი "გაზრდილია". აქ ის კიდევ ერთხელ ასხამს ცეცხლზე ნავთს:

*"ვიცი, რომ "იუვენტუსის" დღევანდელ ხელმძღვანელობას მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან არ აქვს ჰარმონიული ურთიერთობა. არადა, რანიერი ბრწყინვალედ მუშაობს. რაც შეეხება სატრანსფერო ბაზარს, მიმაჩნია, რომ ამაური "იუვეს" არ გამოადგება. ის არ არის ჩემპიონი, ჩემი აზრით, ტრეზეგე გაცილებით უკეთესია. არ მესმის, რისთვის უნდა "იუვენტუსს" ამაური?".*

მაშ, დავბრუნდებიო... ეტყობა, "ტრანსფერების გურუ" მართლა ემზადება ახალი ნახტომისთვის. ეჭვი არ არის, თუ მართლა ასე მოხდა, სერია A-ს ახალი ინტრიგა შეემატება. მოჯი ხომ ინტრიგის კაცია.

***P.S. გუშინ საარბიტრაჟო სასამართლომ მოჯის საჩივარი არ დააკმაყოფილა...***

რეალი

# ჰუნტელაარი მადრიდელთა ახალი სამიზნეა

## სამეფო კლუბი ვან ნისტელროის თვენახევრით კარგავს



კლაას იან ჰუნტელაარი, მადრიდელთა კიდევ ერთი ჰოლანდიელი სამიზნე

"რეალის" ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის გასაძლიერებლად საჭირო კადრებს კვლავ ინტენსიურად ეძებს. ადრე მოგახსენებდით, რომ მადრიდელები **დიდიე დროგბას** გადაბირებას ფიქრობდნენ, თუმცა ამ კანდიდატურას დირექტორატში მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათი აზრით, აფრიკელი ფორვარდის შეძენა ასაკის გამო რეკომენდირებული არ არის. როგორც ჩანს, ამით გახლავთ განპირობებული, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი** ახალგაზრდა **კლას იან ჰუნტელაარით** დაინტერესდა. აღსანიშნავია, რომ დროგბას ერთ-ერთი უპირველესი მოწინააღმდეგე თავად გენერალური დირექტორი გახლდათ. მიატოვიჩის მტკიცებით, ჰუნტელაარი "რეალს" მრავალი წლის განმავლობაში გამოადგება და არაერთ შთამბეჭდავ სეზონს ჩაატარებს.

მოგეხსენებათ, ჰუნტელაარი "აიაქსის" ღირსებას იცავს. 24 წლის ფორვარდმა ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში 27 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით ერედივიზიონის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად ლიდერობს. მიატოვიჩს სწორედ მისი უხვგოლიანობა ხიბლავს: *"რეალის" ხელმძღვანელობას ჰუნტელაარის კანდიდატურა შევთავაზე. უახლოეს დღეებში დირექტორთა საბჭო შეიკრიბება და ამ წინადადებაზე იმსჯელებს. ბუნებრივია, ბერნდ შუსტერსაც მოვინვევთ და მის მოსაზრებას აუცილებლად გავითვალისწინებთ. დროგბა, რა თქმა უნდა, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, მაგრამ ის 30 წლისაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმაღლეს დონეზე თამაშს კიდევ მაქსიმუმ 2-3 წლის განმავლობაში შეძლებს. სამი წლის შემდეგ კი გუნდი კვლავ ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. მიმაჩნია, რომ გრძელვადიანი ამოცანების შესასრულებლად ახალგაზრდა ფორვარდი გვჭირდება. ჰუნტელაარი 24 წლისაა. მშვენიერი ასაკია, რადგან გამოცდილებაც აქვს და სულ მცირე 8-9 წელი უმაღლეს დონეზე ითამაშებს."*

პრიმერადივიზიონურ ამბებში კარგად გარკვეულ გულშემატკივრებს უდავოდ ემახსოვრებათ, რომ ახალი ფორვარდის შეძენის საკითხი, მას შემდეგ დადგა, რაც **რუუდ ვან ნისტელროიმ** ტრავმა მიიღო. ჰოლანდიელის იძულებითი შვებულების დროს არაერთხელ დავინახეთ, რომ სამეფო კლუბს მისი ღირსეული შემცვლელი არ ჰყავს. ვან ნისტელროი ტრავმებისგან მომავალშიც არ იქნება დაზღვეული. ტრავმებს თავი რომ დავანებოთ, რუუდს ახალგაზრდა ფეხბურთელი ნამდვილად არ ეთქმის. შორს არ არის ის დრო, როცა მას კარიერის დასრულება მოუწევს. მიატოვიჩი ჰუნტელაარს სწორედ ამის გამო ანიჭებს უპირატესობას.

გუშინ, "აიაქსის" ფორვარდი ესპანურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს გამოეხმაურა. ის კარიერის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაგრძელების პერსპექტივით მოხიბლულია. ჰოლანდიელმა პირდაპირ განაცხადა, თუ საქმე საქმეზე მიდგება, წამითაც არ დავფიქრდები და უმალ "რეალში" გადავბარგდებიო.

ეს სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა "დიარიო მარკას" ვებგვერდზე ექსპრეს ინფორმაცია გამოქვეყნდა. მადრიდელი კოლეგები გვამცნობენ, რომ რუუდ ვან ნისტელროი ჰოლანდიაში ოპერაციის გასაკეთებლად წავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "რეალის" საუკეთესო ბომბარდირი ტრავმირებული ტერფის განკურნებას სულ მცირე თვენახევარს მოანდომებს.

ბარსელონა

# ვალენსიას თავს შევაკლავთ

## ეტოო და რონალდინიო განმეორებითი სათასო ნახევარფინალისთვის მზად არიან...

"ვალენსიასთან" განმეორებითი სათასო ნახევარფინალის წინ, **სამუელ ეტოომ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და გულშემატკივრების დამშვიდება სცადა: *"პირობას გაძლევთ, "მესტალიაზე" თავს არ დავზოგავთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა. ვიცით და განვიცდით, რომ ბოლო კვირებში ინჩასებს არაერთხელ გავუცრუეთ იმედი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ესპანეთის სამეფო თასის ფინალში გავიდეთ. პირადად მე, მზად ვარ, ამ მიზნის მისაღწევად მოვკვდე. არ იფიქროთ, რომ ეს ხატოვანი ნათქვამია. სულაც არა. ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ. დარწმუნებული ვარ, ვალენსიაში სულ სხვა ფეხბურთს ვითამაშებთ. რა თქმა უნდა, შეგვწევს იმის უნარი, რომ გავიტანოთ და ფინალში გავიდეთ. ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ძალიან კარგად ვიცი, ჩვენი მასპინძლები ამ შეხვედრას არნახული მოტივაციით ხვდებიან. ესპანეთის თასი მათთვის სეზონის გადარჩენის ერთადერთი შანსია. ეჭვი არ მეპარება, "ღამურები" ბოლომდე დაიხარჯებიან, მაგრამ ამის არ მეშინია. მიზეზი ძალიან მარტივია, "ბარსელონა" "ვალენსიაზე" ძლიერია."*

ნახევარფინალს **რონალდინიოც** მოუთმენლად ელის. გაუჩომ "რადიო მარკას" უჩვეულო ინტერვიუ მისცა. უჩვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ბრაზილიელმა "ბარსას" მთავარ მწვრთნელს პირდაპირი ეთერით მიმართა და გულითადად თხოვა, რომ ძირითად შემადგენლობაში დააყენოს: *"ჩემს მწვრთნელს მთელი გულით ვთხოვ, "ვალენსიასთან" მათამაშოს. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ საკადრისად მომზადებული არ ვარ, მაგრამ შემიძლია, ყველა დავამშვიდო. თავს ნამდვილად არ შევირცხვენ. მზად ვარ, ეტოოს სულისკვეთება გავიზიარო და გამარჯვებისთვის სიცოცხლე დავთმო."*

გაუჩოს ასეთი შემართების მიუხედავად, ესპანურ პრესაში გუშინ საღამოს მისთვის შემაშფოთებელი ინფორმაცია დაიბეჭდა. ითქვა, რომ ბრაზილიელს "მესტალიაზე" თამაშის მინიმალური შანსი აქვს. თითქოს, **რაიკაარდი** მისი მომზადებით უკმაყოფილოა და ეშინია, რომ დაკისრებულ ამოცანებს ვერ გაუმკლავდება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სად მიდის ლუსიო?

## ბრაზილიელი ესპანეთს, ინგლისსა და იტალიას ირჩევს




ლუსიო

"ბაიერნის" ბრაზილიელ მცველ **ლუსიოს** ახალ სამსახურში გადასვლა სურს. მან გერმანელ მიმომხილველებს განუცხადა, რომ სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას ესპანეთში, იტალიაში ან ინგლისში: *"თუ ამ ქვეყნებიდან საინტერესო შეთავაზებები მექნება, სიამოვნებით განვიხილავ. ძალიან გამიხარდება, თუ სარფიანი ტრანსფერი განხორციელდება."* ლუსიო მიუნხენურ გიგანტში 2004 წელს გადავიდა. იქამდე ის ლევერკუზენის "ბაიერში" ასპარეზობდა. ბრაზილიელის კონტრაქტი 2010 წელს იწურება. ის 29 წლისაა. სატრანსფერო კანონმდებლობის თანახმად, მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე, ლუსიოს საკუთარი ხელშეკრულების გამოსყიდვა შეეძლება. "ბაიერნმა" ფეხბურთელს განუცხადა, რომ მასთან თანამშრომლობის გაგრძელების იმედი აქვს. გერმანული სააგენტოები წერდნენ, რომ იანვრის ტრასფერებისას ლუსიოს შეძენა "ბარსელონას" სურდა და თითქოს, 15 მილიონი ჰქონდა გამზადებული.

ინგლისური გაზეთები ლუსიოს პრემიერლიგაში გადასვლას წინასწარმეტყველებენ. ფეხბურთელის შეძენა "ტოტენჰემს" სურს. "დეილი ექსპრესის" ცნობით, ლონდონელები ბრაზილიელს უკვე ესაუბრნენ. **ხუანდე რამოსი** შემადგენლობის გადახალისებას აპირებს. მას დაცვის ცენტრში გამოცდილი ფეხბურთელი სჭირდება.

"ბაიერნის" ვარსკვლავზე "იუვენტუსიც" აცხადებს პრეტენზიას. "კორიერე დელო სპორტი" წერს, რომ "ქალბატონის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** რამდენჯერმე პირადად გაემგზავრა მიუნხენში, რათა ლუსიოს თამაში ენახა. მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ სხვა ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

### ინტერმა გლები უარყო

"ინტერმა" უარყო სპეკულაციები, თითქოს არსენალელი **ალექსანდრ გლების** შეძენა სურდეს. მილანელები უსაფუძვლოს უწოდებენ ინფორმაციას, თითქოს ბელარუს მცველთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდეს. ინგლისური გაზეთების ცნობით, "ინტერის" ემისრები გლებს "მილანისა" და "არსენალის" მატჩის დასრულებისთანავე დაუკავშირდნენ და სარფიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ლონდონიდან აბარგება შესთავაზეს. "ინტერის" წარმომადგენელი იუწყება, რომ ინფორმაცია პირველად იტალიურ გამოცემა ლა სტამპაში დაიბეჭდა. შემდეგ კი ის სხვადასხვა გაზეთებმა, მათ შორის, ინგლისურმა ტაბლოიდებმა აიტაცეს. გლებსა და "არსენალს" კომენტარი არ გაუკეთებიათ. 25 წლის ფეხბურთელი მეთოფეების ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერია და გუნდის შეუცვლელ მოთამაშედ მიიჩნევა. "მეთოფეები" მის გაყიდვას, რა თქმა უნდა, არ აპირებენ.

### რონალდ დე ბური წავიდა

სახელგანთქმულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა **რონალდ დე ბურმა** კარიერა დაასრულა. მან კატარულ "ალ შამალთან" კონტრაქტი განყვიტა და შინ გაემგზავრა. კატარის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური იყო დარჩენილი. რონალდმა ახლახან მოიმუშა ტრავმა და მიიჩნია, რომ თამაშის გაგრძელება აღარ ღირდა. 37 წლის ფეხბურთელმა ჰოლანდიის ნაკრებში 67 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი შეაგდო. ის ორი მსოფლიოსა (1994 და 1998) და ორი ევროპის ჩემპიონატის (1996 და 2000) მონაწილეა. სახელოვანი კარიერის განმავლობაში რონალდს "აიაქსში", "ტვენტეში", "ბარსელონასა" და "რეინჯერსში" უთამაშია. 2004 წელს მან კატარის "ალ რაიანს" მიაწურა, ხოლო 2005 წელს ალ შამალში ჩაირიცხა. მან "აიაქსში" ორჯერ ჰოლანდიის ჩემპიონობა, ორჯერ ქვეყნის თავი და ერთხელ ჩემპიონთა თასი (1995) აქვს მოგებული, ის "ბარსელონასა" და "რეინჯერსში" ამ ქვეყნების ჩემპიონი გახდა.

### ბირმინგემმა პოლიციასთან საქმე დაიჭირა

"ბირმინგემ სიტის" ოფისს პოლიციელები ესტუმრნენ. სამართალდამცველებმა რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი მოითხოვეს. მათ ჟურნალისტებს მშრალი ინფორმაცია მიაწოდეს. პოლიციის განცხადებით, რეიდი ინგლისურ ფეხბურთში განხორციელებული უკანონო ტრანსფერებს უკავშირდება. ბირმინგემელებთან სტუმრობაც ფართომასშტაბიანი საგამოძიებო მოქმედებების ნაწილი იყო. პოლიციას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რომელი ფეხბურთელის ტრანსფერმა აღძრა ეჭვი. "ბირმინგემ სიტის" პრესსამსახურმა საზოგადოებას აუწყა, რომ კლუბის არცერთი მოხელე არ დაუკითხავთ და არც დაკითხვაზე დაუბარებიათ. კლუბის ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ დეტალებს მოგვიანებით გააცნობს. იქამდე მომხდარში ჯერ თვითონ შეეცდება გარკვევას.

მწვრთნელის ბედი

# განდეგილი

## მას ულიმიან, ეფერებიან, ცდილობენ, გაამხიარულონ, მაგრამ თავს მაინც მარტოდ გრძნობს



**მადრიდი. არტურო გრისალესი. 20 მინუტოს**

**ბერნდ შუსტერის** პირადი და პროფესიული ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტ კითხვას იწვევს. ბოლო დროინდელი წარუმატებლობების შემდეგ, "რეალის" მთავარი მწვრთნელი უცნაურად იქცევა. ყველას ძალიან აინტერესებს, რაშია საქმე. შთაბეჭდილება იქმნება, რომ შუსტერი ყველასა და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. გერმანელის უცნაური განწყობა პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის შეხვედრაშიც იგრძნობოდა. მან სრულიად მოულოდნელად რობინიო სათადარიგოთა სკამზე დასვა. ეს არ იყო შემადგენლობაში უცნაური ცვლილებების განხორციელების პირველი შემთხვევა. ამ კაცს აშკარად რაღაც დაემართა. "რეალის" ბაზაზე მისული ნებისმიერი ჟურნალისტი დამერწმუნება, რომ ვარჯიშებზე ფეხბურთელები ყველანაირად ცდილობენ, თავიანთი მთავარი მწვრთნელი გაახალისონ, მაგრამ შუსტერი მათ გაურბის. რატომღაც, თითქმის ყოველთვის მოედნის კიდეზე დგას და დირექტივებს ხმადაბლა იძლევა. ბიჭები მიდიან, ულიმიან, თუმცა მათი ბოსი დეპრესიული გამომეტყველებით დგას და პრაქტიკულად, არ ლაპარაკობს. ადამიანი იფიქრებს, რომ გერმანელს მომავალი ადარდებს. ასეთი სამსახურის დაკარგვა ვის გაახარებს, თუმცა საქმე ის არის, რომ სენიორ ბერნდს უმუშევრობა აშკარად არ ემუქრება. **რამონ კალდერონს** არ აწყობს, პრეზიდენტობის მეორე წელს მეორე მწვრთნელი შეცვალოს. ზუსტად ვიცით, რომ გუნდის ხელმძღვანელობა შუსტერთან თანამშრომლობის გაწყვეტაზე არ ფიქრობს. ეს ინფორმაცია რამდენიმე არხით გადავამოწმეთ. მართალია, დირექტორატში აბსოლუტური ერთსულოვნება არ სუფევს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ შუსტერის მოწინააღმდეგეები დღეს უმცირესობაში არიან. კალდერონმა გერმანელს პირადად უთხრა, არაფერზე არ იდარდო, გაისადაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" იმუშავებო, მაგრამ პრეზიდენტმა ამ სასიამოვნო სიტყვების პასუხად შუსტერის უჟმური მზერა მიიღო.

როგორც ჩანს, "რეალის" მთავარ მწვრთნელს რამდენიმე გარემოება არ მოსწონს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბოლოდროინდელი წარუმატებლობები უნდა ვახსენოთ. გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, არადა, ის სწორედ ამ ტიტულის მოსაგებად ჩაიყვანეს. რამდენიმე დღის წინათ სამეფო კლუბმა "რიასორზე" სამარცხვინო შეხვედრა ჩაატარა. მადრიდელებს "დეპორტივოს" კართან ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ და პეპეს ავტოგოლის გამო შინ ნული ქულით დაბრუნდნენ. არ უარვყოფთ, ასეთი უსახური თამაშის ნებისმიერ თავმოყვარე მწვრთნელს შერცხვებოდა და უბედურად იგრძნობდა თავს, თუმცა როგორც უკვე მოგახსენეთ, შუსტერს განწყობას მხოლოდ ეს ერთი მიზეზი არ უფუჭებს. ზემოთ გითხარით, რომ გერმანელ სპეციალისტს დირექტორატში მოწინააღმდეგეები ჰყავს. მერე რა, რომ ისინი უმცირესობაში არიან. ჰერ ბერნდს პატივმოყვარე ადამიანად იცნობენ და როგორც ჩანს, ძალიან ღიზიანდება, როცა დირექტორთა გარკვეული ნაწილი მთავარი მწვრთნელის გადაყენებას ითხოვს. მას სურს, რომ ყველა ენდობოდეს და არავინ აკრიტიკებდეს.

რამდენიმე დღის წინ ვალდებებასის ბაზაზე, ეგრეთ წოდებული, მეგობრული ნადიმი გაიმართა. ხელმძღვანელობამ სადილზე გუნდის მთელი პერსონალი დაპატიჟა. კალდერონს შუსტერმა პირში მიახალა, კლუბში არსებული სიტუაცია ძალიან არ მომწონსო. სუფრის ბევრმა წევრმა გვითხრა, რომ კალდერონს ხასიათი იმდენად გაუფუჭდა, რომ დარბაზი დატოვა და უკვალოდ გაუჩინარდა...

ცალკე საუბრის თემაა პრესა და შუსტერის ჟურნალისტებთან დამოკიდებულება. ჩვენზე კარგად ვის ეცოდინება, რომ სენიორ ბერნდი კრიტიკულ სტატიებს ჭკუიდან გადაჰყავს. თავისუფალი პრესის მიზანი ადამიანის განადგურება სულაც არ არის. უბრალოდ, ჟურნალისტები ჩვენ საქმეს ვაკეთებთ. ხალხის კონსტიტუციური უფლებაა, ინფორმაცია მიიღოს. სამწუხაროა, რომ შუსტერს პრესის მუშაობა ზიანს აყენებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერაფრით დავეხმარებით. უკანონოს არაფერს ვაკეთებთ, როცა "რეალი" იგებს და კარგად თამაშობს, მატჩს დადებითად ვაფასებთ, ხოლო "რიასორზე" ჩატარებულ შეხვედრას, რა თქმა უნდა, კრიტიკულად გამოვეხმაურეთ. ვითარება რომ შევაჯამოთ, მოდით ვთქვათ, რომ შუსტერი ცხოვრებას თავად ირთულებს. ჯერჯერობით ამ კაცს ცხვირ-პირს არავინ უწევს. პირიქით, ყველა ულიმის და თავს ევლება, მაგრამ გერმანელი ამ სიკეთეს უჟმური გამომეტყველებით პასუხობს. არადა, არანაირი აუცილებლობა არ არსებობს იმისთვის, რომ ეს კაცი განდეგილივით ცხოვრობდეს. ცოდნა და გამოცდილება გვკარნახობს, რომ ასე დიდ ხანს არ გაგრძელდება. რატომღაც ვფიქრობ, რომ შუსტერს მადრიდში დიდი დრო არ დარჩა. წარმოუდგენელია, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას თვითმგვემ ადამიანთან თანამშრომლობის სურვილი დიდ ხანს გაჰყვეს. განდეგილობით დიდი წარმატებები არ მიიღწევა...

### მეათე ფიესტას დრო სჭირდება

ასეა თუ ისე, "რეალი" ცხოვრებას აგრძელებს. გუნდს ერთადერთი ტიტულის მოპოვების შესაძლებლობა დარჩა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ გულშემატკივრები "რომასთან" ნაგებულ შეხვედრას დღემდე ვერ ივიწყებენ. **პრედრაგ მიატოვიჩმა** საზოგადოებრივ ინტერესს გვერდი ვერ აუარა და საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. გენერალური დირექტორი "დიარიო ასის" ფურცლებით საკუთარ შეხედულებას გაგაცნობთ: "რომასთან" ნაგების შემდეგ ბევრი დრო გავიდა, თუმცა ტკივილი არ განელებულა. პირად გრძნობებზე არაფერს მოგახსენებთ. ეს ჩემი ტკივილია და არ მინდა ვინმეს თავზე მოვახვიო. მირჩევნია იმ ხალხის შესახებ მოგახსენოთ, რომელთანაც ხშირი ურთიერთობა მაქვს. თითქმის ყოველ დღე მირეკავენ და წარუმატებლობის მიზეზს მეკითხებიან. დარწმუნებული ვარ, ეს კითხვა ჩვენი გუნდის უკლებლივ ყველა გულშემატკივარს აწუხებს. ჩემი აზრით, წარუმატებლობის მიზეზი შუსტერში ან რომელიმე ფეხბურთელში არ უნდა ვეძებოთ. დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი ფიასკო წინა წლების შედეგების გაგრძელებაა. მოდით ვაღიაროთ, მრავალწლიანმა წარუმატებლობამ დაღი დაგვასვა. მესმის, რომ ინჩასებს უდიდესი ამბიციები აქვთ და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას ითხოვენ. ამბიციები ჩვენც არ გვაკლია, მაგრამ საკუთარ თავს უნდა გამოვუტყდეთ, რომ მეათე თასის მოპოვებას დრო და თავდაუზოგავი მუშაობა სჭირდება. რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, მაინც უნდა ვთქვა, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშებიდან ჩვენი გამოვარდნა სავსებით ლოგიკურია."

შეუძლებელია, მიატოვიჩის ამ განცხადებას დიდი სჯა-ბაასი არ მოჰყვეს. გამოჩნდება ხალხი, რომელიც იტყვის, რომ პედია კაპიტულანტია და გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არ უნდა მუშაობდეს. თუმცა ისეთებიც გამოყოფენ თავს, რომლებიც მიატოვიჩს დაუჭერენ მხარს და მწარე სიმართლის თქმისთვის მადლობასაც გადაუხდიან.

მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



გერმანიის თასი. ნახევარფინალი

# ბორუსია ბერლინში მიდის!

## პირველად 19 წლის შემდეგ: დორტმუნდელები გერმანიის თასის ფინალში ითამაშებენ

**ბორუსია (დ)–კარლ ცაისი 3:0**

**ბორუსია (დ):** ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, ვიორნსი, დედე, კელი, ტინგა (79. ჰუმელსი), ბაკლი (69. კრინგე), ფედერიკო, ფრაი (69. კლიმოვიჩი), პეტრიჩი.

**კარლ ცაისი:** ხამუტოვსკი, მაული, რ. მიულერი, ომოდიაგბე, ვერნერი, ციგნერი, ჰანზენი, შტეგმაიერი, შიმაკი, პეტერსენი (84. საკა), შიდი (73. ამრაინი).

*ილია კანდელაკი განაცხადში იყო*

**გოლები:** 1:0 ტინგა (13), 2:0 კლიმოვიჩი (70), 3:0 პეტრიჩი (87).

**გაძევება:** შიმაკი (51. კარლ ცაისი).

**გაფრთხილება:** 2-1.

**მაყურებელი:** 80 708.

*"ბერლინი, ბერლინი, ჩვენ ბერლინში მივდივართ!"* – მღეროდა „ვესტფალენშტადიონი" საფინალო სასტვენის შემდეგ. 80 708 ადამიანის („ბორუსიის" არენა ტრადიციულად გადაჭედილი გახლდათ) ხმაშეწყობილი სიმღერა ხუმრობა როდია...

მართალია, ვესტფალიური კლუბის საშინაო თამაშზე სტადიონი პირთამდე რომ გაივსო, ეს სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც: დასწრების მხრივ ეს იყო ყველა დროის ყველაზე უხვმაყურებლიანი მატჩი გერმანიის თასის ისტორიაში. და რა გასაკვირია, რომ „შავ-ყვითლებმა" მეორე ბუნდესლიგის უიმედო აუტსაიდერს დიდი ანგარიშით, 3:0 მოუგეს.

ყველაზე საინტერესო და პარადოქსული კი ის გახლავთ, რომ დორტმუნდულმა კლუბმა ბოლო 19 წლის (!) განმავლობაში პირველად შეძლო გერმანიის თასის ფინალში გასვლა. მართალია, დღეს (და აგერ უკვე რამდენიმე წელია) „ბორუსიას" ცუდი დროება უდგას, მაგრამ 90-იან წლებში კლუბს ნამდვილი ზეობა ჰქონდა, როცა გერმანიის ჩემპიონიც ხდებოდა და ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, მაგრამ მაშინაც კი, ვესტფალიელები თასის ფინალში არ გასულან. ახლა კი, დიდი შანსი აქვთ, რომ ჯერ ერთი, თასი მოიგონ, რაც უდავოდ მიღწევა იქნება და მეორეც: შანსი აქვთ, რომ უეფას თასზე გავიდნენ, რაც ბუნდესლიგაში შექმნილი სიტუაციის გამო (მე-13 ადგილი) სხვა მხრივ წარმოუდგენელია.

დორტმუნდელმა ქომაგებმა **ტინგას, დიეგო კლიმოვიჩისა და მლადენ პეტრიჩის** გოლები იზეიმეს.

მე-13 წუთი: იენელთა მეკარე **ხამუტოვსკიმ პეტრიჩის** თავური დარტყმა შესანიშნავ ნახტომში მოიგერია, მაგრამ ბურთი პირდაპირ **ტინგას** დაუგდო, რომელმაც სამი მეტრიდან გახსნა ანგარიში – 1:0.

70-ე წუთი: „კარლ ცაისის" კარისკენ ამჯერად **ფლორიან კრინგემ** გაისროლა და ხამუტოვსკიმ ისევ ივარგა, მაგრამ ბურთის ხეირიანად მოგერიება ამ შემთხვევაშიც ვერ შეძლო, დამატებაზე კი კლიმოვიჩი იდგა ფხიზლად, რომელმაც სხვაობა ორამდე გაზარდა. არგენტინელი მოედანზე 2 წუთის შესული გახლდათ და აღსანიშნავია, რომ ეს გოლი მისთვის შეცვლაზე შესვლის შემდეგ გატანილებში რიგით მეექვსეა მიმდინარე სეზონში. ასე რომ, კლიმომ ჯოკრის სტატუსი მიიღო. იენელთა წვალებას წერტილი პეტრიჩმა 87-ე წუთზე დაუსვა, როცა 7 მეტრიდან გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

რაც შეეხება „კარლ ცაისს". ამ გუნდისთვის ნახევარფინალში გასვლაც უდიდესი მიღწევაა, მით უმეტეს, რომ იენელებს მესამე ბუნდესლიგაში (გაისად მესამე ბუნდესლიგა შეიქმნება) დაქვეითება ემუქრებათ და პრინციპში, ცალი ფეხით უკვე იქ არიან. „კარლ ცაისმა" ნახევარფინალამდე გერმანიის თასის მოქმედი მფლობელი „ნიურნბერგი", მერე კი ბილეფელდის „არმინია" და მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტი" გააგდო. ასე რომ, იენელებს სასაყვედურო არაფერი აქვთ. ფინალში გასვლა და მით უმეტეს, უეფას თასზე მოხვედრა კი, გვაპატიეთ, მაგრამ ამ გუნდისთვის ნამეტანი იქნებოდა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართველთა გუნდს (**კანდელაკი, ონიანი, სეთურიძე** - განაცხადში მხოლოდ კანდელაკი იყო) თაკი არ დაუზოგავს – „კარლ ცაისი" იბრძოდა და ალბათ მაქსიმუმიც გაიღო, მაგრამ მეტი არც შეეძლო – როგორც აღვნიშნეთ, რასაც მიაღწია, საამაყოდ ისიც კმარა. ყოველ შემთხვევაში, სანამ იენელები კაცნაკლულნი არ დარჩნენ, ფინალში გასვლის იმედი ჰქონდათ. ეს კი 51-ე წუთზე მოხდა, როცა **იან შიმაკი კელს** სასტიკად ეუხეშა და წითელი ბარათი სავსებით სამართლიანად დაიმსახურა. არადა, შიმაკი „კარლ ცაისის" ლიდერია. სწორედ მისი გაგდების შემდეგ გახდა ცხადი, რომ „დორტმუნდს" წინ ველარაფერი დაუდგებოდა. ისე, მე-80 წუთზე მსაჯ **მანუელ გრეფეს** იენელთა მეკარის გაძევებაც შეეძლო – ხამუტოვსკიმ ხელით საჯარიმოს გარეთ ითამაშა, მაგრამ არბიტრმა „კარლ ცაისი" დაინდო და ამაზე თვალები დახუჭა. პრინციპში, ამით არც არაფერი დაშავებულა...

**თომას დოლი** (ბორუსიის მთავარი მწვრთნელი): *„ბედნიერები ვართ, თუმცა ჩემი ბიჭებისგან უფრო მეტს ველოდი. ვფიქრობ, 3:0-ს არ ვიმსახურებდით და უფრო გამართლებული 2:0 იქნებოდა, რადგან მეტოქე ასე ძლიერაც არ დაგვიჯაბნია. ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო თამაში ჩავატარეთ, მაგრამ გამარჯვება უმნიშვნელოვანესია. ბერლინში მივდივართ! თუმცაღა, დღეს ბევრი რამ არ მომეწონა..."*

**ჰენინგ ბიურგერი** (კარლ ცაისის მთავარი მწვრთნელი): *"ძალიან სამწუხარო მარცხია. ვფიქრობ, თამაშის ბედი შიმაკის გაძევებამ გადაწყვიტა. ახლა მთელ აქცენტს დარჩენილ მატჩებზე გადავიტანთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მეორე ბუნდესლიგიდან არ გავვარდეთ."*

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხორხე ვალდანო



# საფეხბურთო ისტორიები

(დასაწყისი №41)

## გაბნეული ტალანტები ლაუდრუპი: ჯადოსნური ბუცები

გეჩვენება, რომ მისი ბუცები აბრეშუმისგან არის შეკერილი, მაგრამ მათი მეშვეობით ის ბეტონის კედლებში იკვლევს გზას. ასეთი იყო დანიელი **მიკაელ ლაუდრუპი** სცენაზე თავისი ბოლო გამოსვლების დროს. სამწუხაროდ, დრო ყველას ამარცხებს, იმათაც კი, ვინც სხვებისგან გამორჩეულია. კარიერის მიწურულს, დაგვამახსოვრდა მისი სოლო-გარღვევები მინდვრის ნეიტრალურ ზონებში, სადაც მაგიური რეფლექსებისთვის დიდი ფიზიკური ძალა და მობილურობა საჭირო არ იყო. როგორც კი ბურთი მის ფეხზე დასასვენებლად მოკალათდებოდა, მიკაელი მაშინვე თავს აწევდა, საპირისპირო მხარეს დაზვერავდა და ფიქრობდა, საით გაეგზავნა თავისი ერთგული მეგობარი. სწორედ ასეთ მომენტებში გვახსენებდა, რომ მისი ბუცები არაჩვეულებრივი მატერიისგან იყო შეკერილი. ეს მატერია აბრეშუმისა და ფანტაზიის ნაზავი გახლდათ.

## მიატოვიჩი: ნამდვილი ფორვარდი

იუგოსლაველი **პრედრაგ მიატოვიჩი** ნახევარმცველისთვის დამახასიათებელი მოედნის ხედვით გამოირჩევა, მაგრამ ის ნამდვილი ფორვარდია. შეტევის მთელ ფრონტზე გადაადგილდება, თითქოს ელექტროკვების წყაროზე იყოს მიერთებული. ასეთი თვისება კი, მხოლოდ დიდ ფორვარდებს გამოარჩევთ. არაჩვეულებრივი აზარტის მოთამაშე, ორივე მხრიდან ასრულებს დრიბლინგს, ფლობს კარგად დაყენებულ დარტყმას. მისი მოქმედება გამოსადეგია როგორც გუნდურ თამაშში, ასევე ინდივიდუალური ავანტიურების დროს. მიატოვიჩის შეჩერება ძალიან რთულია, მასზე დაკვირვება კი, სასიამოვნო.

## კოლერი: სრულფასოვანი გიგანტი

ჩემი სიმაღლეა 187 სანტიმეტრი და სანამ ვთამაშობდი, საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ჩემი, როგორც ფეხბურთელის ნაკლი ზედმეტი სანტიმეტრებიდან მომდინარეობდა. ერთხელ, **მარკო ვან ბასტენი** საპირისპიროს მიმტკიცებდა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ მისნაირი გენიოსები გამონაკლისები იყვნენ. ბოლოს კი, ძალიან დამაფიქრა 202 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ჩეხმა **იან კოლერმა**. სწორედ მან დაამსხვრია ჩემი თეორია, რომელიც მანამდე ასე მქონდა ჩამოყალიბებული: *"ფეხბურთელის ერთ-ერთი პრობლემა - ტვინსა და ფეხებს შორის დიდი დისტანციაა"*.

ფეხბურთში ყველაფერს მხოლოდ დარტყმა რომ წყვეტდეს (ჰოლანდიასთან 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის სადებიუტო შეხვედრაში, მან უძლიერესი დარტყმა ძელს მოახვედრა, ხოლო საჰაერო დუელში მცველ **იაპ სტამს** ნარბი გაუხეთქა და სერიოზული ტრავმით ექიმებთან გაამგზავრა), ჩემს თეორიას ბოლომდე დავიცავდი, მაგრამ დავინახე სწრაფი, კოორდინირებული, სიღრმიდან შეტევის (ოდნავ დაუხვეწავის) უნარის მქონე ფეხბურთელი. მოკლედ, კოლერი ცოტათი უცნაური ფეხბურთელია, მაგრამ უამრავი ღირსება გააჩნია. სწორედ მან დაჭმუჭნა და სანაგვე ყუთში ჩაუძახა ჩემს თეორიას იქამდე, სანამ მას ქაღალდზე გადავიტანდი.

## ჰაჯი: არტისტი

რუმინელი **გეორგე ჰაჯი** - არტისტია, რომელსაც ერთხელ უკვე გამოვემშვიდობე, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში კიდევ შევხვდები. ჰაჯი - არისტოკრატია. ის რუმინული ფეხბურთისთვის იმდენს ნიშნავდა, რომ ისლა რჩებოდა, ფეხბურთი თეთრ ცხენზე ამხედრებულს ეთამაშა. ასეთი დარტყმითა და თამაშის ხედვით, მას კარიერის გახანგრძლივება 100 წლამდე შეეძლო, მაგრამ პრაქტიკოსი არისტოკრატები უხერხულობას გრძნობენ: მათ პარტნიორები აიძულებენ დაამახინჯონ თავიანთი თამაში ბურთის ზედმეტი გაცემით.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე, მან მაგნიტივით მიიწება რუმინეთის ნაკრების თამაშის მთელი დინამიკა, არადა, გუნდმა თავისი საუკეთესო მომენტები ჰაჯის გარეშე წარმოგვიდგინა (ინგლისთან მატჩში). იტალიელებთან მეოთხედფინალში, რუმინელმა პრაქტიკულად, წერტილი დაუსვა თავის მონუმენტალურ კარიერას: ძელს გაარტყა ბურთი, მუხლში საშინელი დარტყმა მიაყენა **კონტეს**, პენალტის სიმულირება გადაწყვიტა და მოედნიდან გაძევებულმა, გასახდელში ჩასვლის წინ, სინანულის გამომხატველი სიტყვები ესროლა კამერას. ეს ყველაფერი ძალიან ცუდია, მაგრამ შემამსუქებელი გარემოებაც არსებობს: ფეხბურთში გატარებული ბრწყინვალე 20 წელი.

## ოლსენი: ბეტონის კედელი

ნორვეგიის ნაკრები - "ფიზიკაზე" აქცენტირებული გუნდი. როცა მისი ფეხბურთელების დახასიათება გჭირდება, მხოლოდ მათ სიმაღლესა და წონას გეუბნებიან. ხოლო თუ შეფასება ძმებ **ფლოებს** (სამი გიგანტი) უკავშირდება, ფრაზა, უბრალოდ, სასაცილოდ ჟღერს: *"ჩვენ ექვსი მეტრი ფლო გვყავს"*.

ეს ნაკრები ბეტონის კედელივითაა. ყოფილმა მეკარემ და ამჟამად მწვრთნელმა, **ფროდე ოლსენმა** თქვა - ჩემთვის ბრაზილიის ნაკრები რომ ჩაებარებინათ, ეს გუნდი არასოდეს დამარცხდებოდაო. სავსებით შესაძლებელია, რომ მას მართლაც არ დაეკარგა ერთი ქულაც კი და ეს უსასრულობამდე გაგრძელებულიყო, მაგრამ მსოფლიო დაკარგავდა ბრაზილიას, რომელიც ცემენტის კიდევ ერთ ბლოკად იქცეოდა. არა, სჯობს ოლსენმა თავის გუნდთან ერთად გააგრძელოს გამარჯვებები.

## შინგამოზრდილი ორტეგა

**არიელ ორტეგა** - ყველაზე ნატურალიზირებული არგენტინელია არგენტინის ნაკრებში, რომელთან ერთადაც, მან მსოფლიოს ბოლო სამ ჩემპიონატში ითამაშა. თავის მოქმედებით ის ერთგვარად გვახსენებს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. მისი მოძრაობები ისეთი უშუალოა, თითქოს ეს ყველაფერი მისი სახლის კუთხეში ხდებოდეს. მომავალი ფინტის პირველი მასალა ცრუმოძრაობაა, შემდეგ აჩქარება, დამუხრუჭება და ბოლოს იმ პოზიციაზე გასვლა, რომელსაც სითამამე და ინსტინქტი გკარნახობს. მიზანი - ვინმეს წინააღმდეგობის გადალახვაა: თუ ეს გამოსდის, წინ დიდი სივრცე იხსნება, თუ გარღვევას შეაწყვეტინებენ, ამასაც სასარგებლო გამოვლინებები აქვს: ჯარიმა, პენალტი, ყვითელი ბარათი. ხოლო თუ ბურთი იკარგება, უნდა გაუძლო "ყოველთვის მართალი" პუბლიკის წყევლას. ორტეგას შეუძლია ყველაფერი ამის შესახებ მთელი ენციკლოპედია შეადგინოს.

მირჩევნია, ის თავდამსხმელის როლში ვიხილო, რადგან მოედნის ცენტრში აკეთებს იმას, რაც წესით უნდა გააკეთოს კიდეც, არიელი კი, იმ მოთამაშეებს ეკუთვნის, რომლებიც იმას აკეთებენ, რასაც გრძნობენ. ის იმაზე უფრო სწრაფია, ვიდრე გეჩვენება, ბურთს მოხერხებულობის და არა ძალის წყალობით ინარჩუნებს, მოძრაობს მექანიკისა და ფიზიკის ყველანაირი კანონის დარღვევით, მორალური უფლება აქვს, ყოველთვის მოითხოვოს გადაცემა და იმის უნარი გააჩნია, რომ მხნედ გადაიტანოს უხეშობა. მეტოქის მოტყუების შემდეგ, მას შეუძლია ხიფათი შექმნას, მაგრამ იმის გამო, რომ ზუსტ პასს არ ფლობს, ორტეგას კეთილი განზრახვა ხშირად ტრიბუნების ამოოხვრით სრულდება. მისი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობები და ფიგურებისადმი ზედმეტი თაყვანისცემის ეს არგენტინული ვირუსი, ევროპაში ადაპტაციას უშლის ხელს. ამიტომაც, მას მუდმივად გული მშობლიური "რივერ პლეიტისკენ" მიუწევს, თუმცა ესპანეთის "ვალენსიაშიც" ბევრი ითამაშა და თურქეთის "ფენერბაჰჩეშიც".

## სალასი - მატადორი

მის ძარღვებში მაპუჩის ტომის ინდიელთა სისხლი ჩქეფს. ჩილელი **მარსელო სალასი** ევროპაში მთავარი შესასვლელიდან მოხვდა. ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა იტალიურ "ლაციოსთან". მინდორზე იშვიათად ჩნდებოდა, მაგრამ გოლის წყურვილის ფანტასტიკური გრძნობა გააჩნდა. სპარტანული სტილის თამაში, ყოველგვარი გაფორმებების გარეშე, მძლავრი მუსკულატურა, ნათელი იდეები, სწრაფი გადაწყვეტილებები და კარგი დარტყმა. მცველების ზურგზე ამხედრებულს შეუძლია მეკარესთან პირისპირ გასვლა. შეუჩერებელია ცენტრიდან გარღვევებისას. ამ დროს ამოცანას ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, ძალითა და ზეწოლით აგვარებს. მოკლედ მატადორია!

**გია თვალაბეიშვილი**

(გაგრძელება იქნება)



მიკაელ ლაუდრუპი

ტოტენჰემი

# კინი მაინც დაისჯება

### მამლების უმსხვილესმა აქციონერმა დიდი ფული დაკარგა, მაგრამ ლონდონელებს არაფერი ემუქრებათ...

**რობი კინი** ჯარიმას ვერ გადაურჩება. მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ბოლო ტურში, "მანჩესტერ სიტისთან" მატჩისას (1:2) ინციდენტი მოხდა. **ხუანდე რამოსმა** ირლანდიელი თავდამსხმელი (რომელმაც ანგარიში გახსნა) 67-ე წუთზე შეცვალა. კინი გაცოფდა. ბოლო ექვს შეხვედრაში მას მეხუთედ არ დაამთავრებინეს თამაში. ამიტომ როდესაც მინდვრიდან გასვლისას სავარჯიშო კოსტუმი მიაწოდეს, გვერდზე მოისროლა. ნამატჩევს რამოსს მის საქციელზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს. მწვრთნელმა მომხდარის დრამატიზება ზედმეტად მიიჩნია. "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ფეხბურთელის დასჯას არ აპირებდა. მაშ, ვისლა უნდა სურდეს კინის პასუხისგებაში მიცემა? როგორც ირკვევა, სენიორ რამოსს, იმ რამოსს, რომელმაც ჟურნალისტების თანდასწრებით, შეგირდის შესახებ ერთი კრიტიკული განცხადებაც კი არ გააკეთა, მაგრამ როგორც კი ფეხბურთელთან მარტო დარჩა, მას მაშინვე მოახსენა, რომ ასეთი საქციელის მოთმენას არ აპირებს და დირექტორატისგან ფორვარდის დასჯა მოითხოვა. რობის 120 ათას გირვანქას ჩამოაჭრიან. ეს ფეხბურთელის ორი კვირის ხელფასია.

ფეხბურთელს მსგავსი უსიამოვნება სამი წლის წინაც შეემთხვა. მაშინ "მამლების" დამრიგებელი **მარტინ იოლი** იყო. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ის ნაადრევად გაიყვანა მინდვრიდან. კინმა სათადარიგოთა სკამზე სკანდალი მოაწყო, რის გამოც სოლიდური ჯარიმა გამოუწერეს. იოლი, ისევე, როგორც რამოსი, წესრიგისა და დისციპლინის მოყვარული იყო. რობი პირველი არ არის, რომელსაც სენიორ ხუანდეს რისხვა დაატყდა თავს. ლიგის თასის ფინალის შემდეგ ორი კვირის ხელფასი ჩამოაჭრეს ფრანგ მცველ **პასკალ შიმბონდასაც**. არც მას მოეწონა ნაადრევად შეცვლა და სკამზე დაჯდომისას მანაც კოსტუმი მოისროლა. მწვრთნელს სტადიონზე არცკი შეუმჩნევია მისი საქციელი, მაგრამ მეორე დღეს შიმბონდასაც ლექცია წაუკითხა. რამოსი არ აპირებს, მოითმინოს ის, რომ რომელიმე შეგირდმა ტაქტიკა და გუნდის დაკომპლექტების წესი ასწავლოს.



რობი კინი

აქვე გეტყვით, რომ "ტოტენჰემის" უმსხვილესმა აქციონერმა **ჯო ლიუისმა** ერთ-ერთი ამერიკული ბანკის გაკოტრების შედეგად ნახევარი მილიარდი გირვანქა დაკარგა. უცნობია, მოახერხებს თუ არა ის ამ თანხის თუნდაც ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგრამ ამ წუთას ლიუისი ნახევარი მილიარდით ღარიბია. მიმომხილველებმა გამოთქვეს შიში, რომ შესაძლოა, მისი ფინანსური პრობლემები კლუბის კეთილდღეობაზე ასახულიყო. ისიც ივარაუდეს, რომ ბიზნესმენი "ტოტენჰემის" აქციებს გაყიდდა, მაგრამ ლიუისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისტერ ჯო გუნდიდან წასვლას არ აპირებს. "მამლების" ხელმძღვანელობამ კი ასევე განაცხადა, რომ ლიუისთან სატელეფონო საუბარი ჰქონდათ და მიიღეს გარანტიები, რომ მომხდარი უსიამოვნება არანაირად არ აისახება კლუბის საქმეებზე.

## იაასკელაინენის ახალი კონტრაქტი?

**იუსი იაასკელაინენს** ზურგის ტრავმა აქვს. ფინელმა გოლკიპერმა სეზონი ნაადრევად დაასრულა. მიმომხილველების ვარაუდით, მან არა მხოლოდ სეზონი, არამედ ბოლტონური კარიერაც დაასრულა. 32 წლის გოლკიპერს კონტრაქტი ივნისში უმთავრდება, რის შემდეგაც შესაძლოა, უკეთეს სამსახურს მიაშუროს. დაინტერესებულთა ვინაობა უცნობია. იაასკელაინენს ინგლისური და შოტლანდიური კლუბები ეპატიჟებიან. ფეხბურთელის დაშავება "ბოლტონის" ისტორიაში ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. **გარი მეგსონის** შეგირდები პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან. ბოლო ტურში გუნდმა "ნიუკასლთან" 1:1 ითამაშა. მის კარს ომანელი გოლკიპერი **ალი ალ ჰაბსი** იცავდა. მართალია, კონტრაქტი მთავრდება, მაგრამ იაასკელაინენი "ბოლტონში" დარჩენას არ გამორიცხავს. მას ამ კლუბში 11 სეზონი აქვს გატარებული. მეგსონს ფეხბურთელის შენარჩუნება სურს. ახალ კონტრაქტზე საუბარი მას მერე გაადვილდება, რაც გაირკვევა, რომ ბოლტონი გაისადაც პრემიერლიგაში ითამაშებს.

## დეფო რეკორდს უმიზნებს

**ჯერმეინ დეფო** "პორტსმუთის" რეკორდს უმიზნებს. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ამ კლუბში იანვრის ტრანსფერებისას გადავიდა. ის მხოლოდ ექვსი კვირაა, "ფრეტონ პარკზე" თამაშობს, მაგრამ უკვე გუნდის ლიდერი გახდა. 25 წლის დეფომ შინ ჩატარებულ ოთხივე შეხვედრაში გაიტანა გოლი. და რეკორდიც სწორედ აქ იმალება. დებიუტისას, ზედიზედ ოთხ საშინაო თამაშში **ალან ბაილიმ** გაიტანა. ის "პორტსმუთის" ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. ბაილი "ფრეტონ პარკზე" 1980-იან წლებში "ევერტონიდან" გადავიდა. დეფომ მისი შედეგი უკვე გაიმეორა და ახლა 29 მარტსა და "ვიგანთან" კალენდარულ თამაშს ელოდება. მორიგი გოლის შემთხვევაში, ჯერმეინი ბაილის უკან ჩამოიტოვებს.

## ჟო სიტიში 20 მილიონად?

რუსული სააგენტოების ცნობით, "მანჩესტერ სიტის" მოსკოვის ცსკას ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჟო** სურს. ის მზადაა, სოლიდური თანხა გადაიხადოს. საუბარია 20 მილიონ ევროზე, თუმცა ინფორმაცია ოფიციალურ პირებს არ დაუდასტურებიათ. გარიგების შემთხვევაში, მოსკოველებს თანხის 70 პროცენტი ერგებათ. დანარჩენ 30 პროცენტს კომპანია MSI მიიღებს, რადგან ჟოს სატრანსფერო უფლებების სწორედ ამდენი პროცენტი ეკუთვნის და მისი რუსეთში მოწყობაც მისი დამსახურებაა. ჟომ არმიულ კლუბში მესამე სეზონი დაიწყო. ცსკას პრეზიდენტ **ევგენი გინერს** ფეხბურთელის გაყიდვა არ სურს და მას უფრო ძვირად აფასებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. კოტე მახარაძის სახელობის ტურნირი

# ორი სანიკიძე, ერთი შერმადინი და მახარაძის თასი თბილისში დარჩა!

თბილისი, სპორტის სასახლე, 1500 მაყურებელი
ფინალი
**მაკაბი–ბუდიველნიკი (უკრ) 87:81**
21:15, 23:21, 22:25, 21:20

| მაკაბი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი. ბერიშვილი | 36 | 4 | 1 | 6 | 0 | 0 | 3 | 3 |
| გ. შერმადინი | 40 | 31 | 8 | 3 | 2 | 2 | 3 | 5 |
| ტულუში | 30 | 11 | 3 | 6 | 0 | 0 | 4 | 2 |
| სანიკიძე | 38 | 15 | 11 | 4 | 1 | 0 | 1 | 3 |
| დ. ბარბაქაძე | 36 | 13 | 6 | 4 | 2 | 0 | 3 | 2 |
| ს. შერმადინი | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ნიკოლაძე | 18 | 9 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 |

| ბუდიველნიკი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიანცევი | 25 | 9 | 6 | 1 | 3 | 0 | 3 | 1 |
| ნერუში | 18 | 4 | 2 | 4 | 1 | 0 | 2 | 2 |
| სტეფანიშინი | 29 | 16 | 4 | 5 | 2 | 0 | 2 | 4 |
| გორბენკო | 12 | 12 | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 |
| ბალაშოვი | 18 | 10 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 3 |
| ზაბირჩენკო | 18 | 4 | 2 | 6 | 1 | 0 | 1 | 1 |
| ორლენკო | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 5 | 1 |
| იაილო | 21 | 13 | 0 | 3 | 0 | 0 | 4 | 1 |
| კოვალენკო | 32 | 7 | 11 | 2 | 0 | 1 | 4 | 6 |
| კრავეცი | 17 | 4 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 |

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ი. ბაგიშოვი



**მე-3 ადგილისთვის**
**პაკოელი (ისრ)–დევონი (აზერ) 82:85**
19:17, 20:16, 20:26, 23:26

პაკოელი: გ. ბარბაქაძე (1ქ, 5მ), ლევი (20ქ, 9მ), კობლანცი (2ქ), ბიტონი (6ქ, 6პ), ლისიცკი (6ქ), ჩლაიძე (8ქ), ნეშაისი (23ქ, 6პ), იონა (11ქ, 8მ), აიდანი (5ქ)

ნტდ-დევონი: ტურკნასი (5ქ), გაჯიევი (1ქ), ფაშაევი (31ქ, 8მ, 5პ), სარიევი (14ქ), ნიფტალიევი (13ქ, 7მ, 6პ), დანიდზადე, აბულაძე (3ქ), ხამზაევი (3ქ), ბახშიევი (15ქ, 8მ, 5პ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

**21-Ე საუკუნეში თბილისში გამართული პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართული გუნდის, "მაკაბის" გამარჯვებით დასრულდა. მართალია, შეჯიბრებაში ორ-ორი განსხვავებული ძალის კლუბი მონაწილეობდა, მაგრამ ყველაფერი ლოგიკის ჯაჭვს მიჰყვა და კოტე მახარაძის თასის ფინალში ტურნირის ორი საუკეთესი გუნდი დაუპირისპირდა - "მაკაბი" და "ბუდიველნიკი".**

ამ გუნდების პაექრობას ბევრი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი: საქართველის ჩემპიონატის ნარჩევი კალათბურთელები უკრაინის საშუალო დონის გუნდთან შედარებით უკეთესნი არიან, თუ - პირიქით? უცხოელთა მეურვეობას როგორ გაართმევდა თავს საქართველოდან პირდაპირ ამერიკულ დრაფტზე მიმავალი გიორგი შერმადინი? დანარჩენ კითხვაბს თავის პასუხებიანად უშუალოდ მიმოხილვისას წაიკითხავთ.

**ჯამლეტ ხუხაშვილმა** ნახევარფინალისეული ხუთეული არ შეცვალა. უკრაინელთა წინააღმდეგ ბერიშვილი, ტულუში, სანიკიძე, ბარბაქაძე და გიორგი შერმადინი გაიყვანა. პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა, რომ ქართველები ფარქვეშიდან შეეცდებოდნენ მეტოქის კალათისთვის გასალების მორგებას. ამისთვის უკრაინელებიც მზად აღმოჩნდნენ, **გიორგი შერმადინს** მჭიდროდ იჭერდა კიეველი "არწივიძე" - ორლენკო, რომელმაც პირველივე მეოთხედში მოაგროვა 3 პერსონალური შენიშვნა, ხოლო 5 ფოლის გამო მოედანზე სულ 10 წუთი გაატარა. ტანმაღალი ორლენკოს შემცვლელი უკრაინელებს კიდევ ორი ჰყავდათ, გიორგი შერმადინის წინააღმდეგ ხან ნაკრების გამოცდილი ნევრი იაილო ირჯებოდა, ხან - კოვალენკო. საბოლოოდ მათ შერმადინს 31 ქულის ჩაგდების უფლება მისცეს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. გიორგი ქართველთა მხრიდან ფინალის საუკეთესო კალათბურთელად დამსახურებულად დასახელდა და საჩუქრად მობილური ტელეფონი მიიღო. ასე რომ, შერმადინის გარჯის შემდეგ მივიღეთ დადებითი პასუხი კითხვაზე: არის თუ არა იგი საერთაშორისო მასშტაბის კალათბურთელი.

"ბუდიველნიკის" მხრიდან ფინალის საუკეთესოდ **სტეფანიშინი** გახდა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო. იგი არა მხოლოდ თმის სიგრძითა და თავწაკრულობით, ფიზიკური აღნაგობითაც ვიქტორ სანიკიძეს ჰგავდა და ლოგიკური იყო, რომ უკრაინელი და ქართველი სანიკიძეები ერთმანეთს მეურვეობდნენ. ვიქტორმა მატჩი ჩვეული ეფექტურობით გახსნა - სამქულიანიც ჩააგდო და არაერთი დრიბლინგით დაგვამახსოვრა თავი, მეორე ტაიმში კი იგი აშკარად დაილალა (ტრავმა ხომ ახალი მოშუშებული აქვს), გუნდისთვის სასარგებლო კი იყო, მაგრამ ჩვეულ დრიბლინგებს ვეღარ ახორციელებდა. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში უკრაინელმა "სანიკიძემ" გაგვახსენა ტრამვამდელი ვიქტორი. სწორედ სტეფანიშინის ზუსტი თამაშის წყალობით კიეველებმა ანგარიშში 10-ქულიანი ჩამორჩენა ერთქულიან უპირატესობად აქციეს - 70:69. სტუმრებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, პირველად მეოთხე პერიოდის მეხუთე წუთზე გადაგვასწრეს. ამის შემდეგ სიტუაცია ერთი-ორად დაიძაბა, უკრაინელები მსაჯის ყოველ სასტვენს ღიმილით აპროტესტებდნენ, ჩემ უკან მჯდომმა გულშემატკივარმა ისიც თქვა ახლა მართლა მრცხვენია ქართველი რომ ვარო, მაგრამ მსაჯი ხომ ყოველთვის მართალია, ალბათ ასე იყო სწორი...

ბოლო წუთებზე "მაკაბის" დაღლილმა კალათბურთელებმა, ბერიშვილმა, ნიკოლაძემ, ტულუშმა, სანიკიძემ და ბარბაქაძემ ძალები მოიკრიბეს და დაგვარწმუნეს, რომ საქართველოს ჩემპიონატში მიღებული გამოცდილება "ბუდიველნიკის" დონის გუნდების დასამარცხებლად სრულიად საკმარისია. ფარქვეშიდან ბურთებს ყრიდნენ ბარბაქაძე და შერმადინი, ხოლო პერიმეტრიდან მათ ნიკოლაძე და სანიკიძე დაეხმარნენ. ნიკოლაძის სამქულიანმა საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე ჩვენს სასარგებლოდ 86:77 დააფიქსირა. "ბუდიველნიკის" მწვრთნელმა ამის შემდეგ განზრახ ჯარიმების ტაქტიკას არ მიმართა, არც გამოცდილი იაილო ჩართო თამაშში და საბოლოოდ 79:87 წააგო.



ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა თავადაც აღარ გაგიჭირდებათ. ახლა მწვრთნელების მატჩისშემდგომ კომენტარებს შემოგთავაზებთ:

შეიძლება არ დავეთანხმოთ "მაკაბის" მწვრთნელ **ჯამლეტ ხუხაშვილს,** რომელმაც მისი გუნდის წარმატება სენსაციად მონათლა: *"ამ გამარჯვებს ყველას ვულოცავ. ეს ნამდვილი სენსაცია იყო და მაკაბელთა მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვფიქრობ, გავახარეთ დარბაზში მოსული ქართველი გულშემატკივარი, რომელიც ერთგულად გვქომაგობდა. სასიხარულოა, რომ ეს ტურნირი ჩვენი გამარჯვებით დაიწყო, იმედი მაქვს რომ ასევე გაგრძელდება."*

ძალიან მორიდებული კაცი ჩანდა უკრაინელთა თავკაცი **ევგენი მურზინი:**

"კოტე მახარაძეს პირადად ვიცნობდი. ამიტომ ჩემთვის მისი სახელობის ტურნირზე მიწვევა დიდი პატივი იყო. საქართველოში ჩამოსვლას დაუფიქრებლად დავთანხმდი. ამასთან, მაინტერესებდა როგორ შეიცვალა თბილისი მას შემდეგ, რაც აქ არ ვყოფილვარ და რა დამოკიდებულებას გამოიჩენდნენ ქართველები ჩვენდამი. საბოლოოდ აქედან კმაყოფილი მივდივარ. დღევანდელ მატჩზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. სამ დღეში უკრაინის ჩემპიონატის საპასუხისმგებლო შეხვედრა გველოდა და თბილისურ თამაშს სპარინგად განვიხილავდით. მოვახერხეთ ის, რომ მატჩს ინტრიგა ბოლო წამებამდე შევუნარჩუნეთ და, ვფიქრობ, მაყურებელმა ისიამოვნა. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული - ასეთი ტურნირი და ასეთი თამაში, ასე ცოტა მაყურებელს არ იმსახურებდა."

**ვაჟა სიმონიშვილი**

ულების თასი

# მანუს სამქულიანი მიზანს ასცდა, კიევი ნახევარფინალს

უკრაინულმა "კიევმა" ულების თასის მეოთხედფინალის მეორე მატჩი სტუმრად ჩეხეთში პოლონურ "ტუროვთან" 67:58 მოიგო, მაგრამ ნახევარფინალში მაინც ვერ გააღწია. შეგახსენებთ, რომ მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელებს სერიის პირველი შეხვედრა შინ 59:71 ჰქონდათ წაგებული.

ჩეხეთში გამართულ შეხვედრაში "კიევმა" პირველივე მეოთხედში მოიპოვა უპირატესობა და მეოთხე პერიოდს 7-ქულიანი ფორით შეხვდა - 52:45. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკური ჩანდა 11 და მეტი ქულის სხვაობით მოგება. მეოთხედფინალის გმირის სტატუსის მოპოვება მანუჩარს შეეძლო, მაგრამ საფინალო სირენამდე წამით ადრე მისმა სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია. "კიევს" ნახევარფინალში გასასვლელად სწორედ სამი ქულა დააკლდა, ხოლო ოვერტაიმამდე - 2.

ქართველ ფორვარდს 4 ჯარიმის გამო მხოლოდ კრიტიკულ მომენტებში უხდებოდა მოედანზე გამოსვლა და საბოლოოდ 8 წუთი მოუგროვდა, 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულას 1 ჩაჭრა მიამატა. უკრაინელთაგან სნაიპერობა გამთამაშებელმა **პუხ ჯეტერმა** იკისრა, რომლის ანგარიშზე 23 ქულაა.

ასე და ამგვარად, **გიორგი ცინცაძე** ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია, რომლის კოლექციაში ულების თასის ოქროს მედალია. მან ეს ტურნირი 2006 წელს მოსკოვის "დინამოსთან" ერთად მოიგო. მანუჩარ მარკოიშვილს კი თაროზე ფიბას თასის ოქრო უდევს - 2004 წელს გერმანულ "მიტელდოიჩერთან" ერთად შეჯიბრების ფინალში სანიკიძე-ნაცვლიშვილის "დიჟონი" დაამარცხა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



მანუჩარ მარკოიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი, U-18

# რუსი ჩვენია!

**საქართველოს თვრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა იტალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მორიგ შეხვედრაში რუსეთის ნაკრები 25:6 (15:6) დაამარცხა და ელიტაში ადგილი დაიბევა.**

როგორც ნაკრების მენეჯერმა **დიმიტრი ობოლაძემ** გუშინ ტელეფონით გვითხრა: *"რომ არა სრულიად ელემენტარული შეცდომები ანგარიშში სხვაობა ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო"*. პატარა ბორჯღალოსნებმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს-ისინი **ვასილ კვერნაძის, ლევან თხელიძის, დავით ბარბაქაძისა და ზაზა სინაურიძის** ანგარიშზე. ამ უკანასკნელმა რუსებს ერთი ძალიან ეფექტური არეკნიც გაუტანა. **უშანგი მჭედლიშვილმა** კი ოთხი გარდასახვიდან მხოლოდ ერთხელ გაიტანა.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს ნაკრები 22 მარტს, მე-5 ადგილისთვის მატჩში, კიდევ ერთი ტრადიციული მეტოქის, რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, რომელმაც, თავის მხრივ, ესპანეთის გუნდს სძლია 24:12.

ევროპის ჩემპიონატზე ტრადიციული ფინალი საფრანგეთი-ინგლისი ამჯერად აღარ შედგება. ეს უკანასკნელი ირლანდიელებმა უშეღავათო ბრძოლაში 8:3 დაამარცხეს და ფრანგებს ფინალში სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან.

ფრანგებს თავის მხრივ ძალზედ გაუჭირდათ მასპინძლების, იტალიელების დამარცხება, თუმცა მიზანს მაინც მიაღწიეს 22:15.

| 22 მარტი |
|---|
| მე-7 ადგილისთვის<br>რუსეთი-ესპანეთი |
| მე-5 ადგილისთვის<br>საქართველო-რუმინეთი |
| მე-3 ადგილისთვის<br>ინგლისი-იტალია |
| ფინალი<br>საფრანგეთი-ირლანდია |

სპორტის აკადემია

# არადა, იუბილეს უნდა ვზეიმობდეთ...



როგორც ვწერდით, 17 მარტს სპორტის აკადემიის შენობის წინ რამდენიმე კარავი გაიშალა და გამოიფინა ყველასთვის კარგად ცნობილი მოთხოვნები ამ უმაღლესი სასწავლებლის ბედთან დაკავშირებით.

შარშანდელი აგვისტოდან სპორტის აკადემია, რომელსაც შემოდგომაზე დაარსებიდან საიუბილეო 70 წელი უსრულდება, მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. მშობლიური შენობიდან გამოსახლების შემდეგ ჯერ არმიის სპორტულ კლუბსა და სპორტკომპლექს "ქარიშხალას" ბინადარი გახდა, ახლა ქართული ენციკლოპედიის ჭერქვეშაა შეფარებული. მაგრამ მთავარი ის არის, რომ არსად ყოფილა და არ არის მაღალკვალიფიციური სპორტული კადრების მომზადებისთვის არათუ სრულყოფილი, მინიმალურ მოთხოვნებსაც მიახლოებული პირობებიც კი.

აქციის მონაწილეები მოითხოვენ აღდგეს სპორტის აკადემიის სტატუსი და სასწავლებელს დაუბრუნდეს თავის კუთვნილი შენობა. ამ საქმეში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის **ნიკა ვაჩეიშვილის** თანადგომის დიდი იმედი აქვს სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს **ირაკლი დოლაბერიძეს.**

**თენგიზ თომაშვილი**

# გამარჯვება იოლად არ მოდის



ფანცულაია-ჯობავას პარტია

| | |
|---|---|
| ლევან ბრეგაძე-მიხეილ მჭედლიშვილი | 0,5:0,5; 0:1=0,5:0,1. |
| დავით ბენიძე-ხვიჩა სუპატაშვილი | 0,5:0,5; 0,5:0,5=1:1 |
| დავით არუთინიანი-მიხეილ კეკელიძე | 1:0; 0:1=1:1 |
| გიორგი მარგველაშვილი-ლევან აროშიძე | 0,5:0,5; 0,5:0,5=1:1 |
| ლევან ფანცულაია-ბეგლარ ჯობავა | 1:0; 0:1=1:1 |
| დავით ჯოჯუა-ზურაბ სტურუა | 0:1; 1:0=1:1 |
| დავით მაღალაშვილი-თამაზ გელაშვილი | 0,5:0,5; 0,5:0,5=1:1 |
| კონსტანტინე შანავა-ივერი ჭიღლაძე | 1:0; 0,5:0,5=1,5:0,5 |

**მერვედფინალის მეორე პარტიები ისე დასრულდა, უამრავი კითხვის ნიშანი დატოვა. რვა წყვილიდან შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ორმა მოახერხა გასვლა, არადა, გუშინ ქულით დაწინაურებული ოთხი იყო; დანარჩენებსაც ჰქონდათ დიდი შანსი, განსაკუთრებით მათ, ვინც თეთრი ფერით თამაშობდა, მაგრამ პროგნოზები თავდაყირა დადგა დღეს, როცა ტაი-ბრეიკები დაიწყება, მაყურებლის მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლება.**

ვიდრე შედეგებს გამოიცნობდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მერვედფინალებიდან ორგანიზატორებმა სპეციალური ოთახი გამოყვეს, სადაც ოთხი პარტიის დემონსტრირება ხდება. ამ ოთახში ჭადრაკიც მრავლად არის და მსურველს თავის შექცევაც შეუძლია.

როგორც პირველ პარტიაში, მეორეშიც ყველაზე სწრაფად **სუპატაშვილ-ბენიძის** პარტია დასრულდა. ორივე მხარე ეცადა გამარჯვებას, მაგრამ არ გამოვიდა და ყაიმზე შეთანხმდნენ.

**მიხეილ კეკელიძემ** შავებით წინა დღით წააგო და ცხადია, თეთრებით რევანშის აღებას ეცდებოდა, მაგრამ ასე სწრაფად თუ მოუმთავრებდა საქმეს მეტოქის მეფეს, ალბათ თავადაც არ ელოდა. **დავით არუთინიანი** ტურნირის ფავორიტია, საქართველოს ნაკრების წევრიც და ამბიცია უფრო მეტი აქვს, ვიდრე კეკელიძეს; ესეც რომ არა, შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და რენომეს შენარჩუნება უნდა. ვნახოთ, 25 წუთიან პარტიებში აჯობებს თუ არა უფროს კოლეგას არუთინიანი.

ნამდვილად მოულოდნელი იყო და ქებას იმსახურებს **დავით ჯოჯუას** გარჯა. დავითმა პირველი პარტია თეთრებით წააგო **ზურაბ სტურუასთან** და ასეთ გამოცდილ მეტოქეს შავებით მოუგო გადამწყვეტი პარტია, ურთულესი საქმეა. თავიდან თითქოს თეთრებს არც არაფერი ჰქონდათ სავიშვიშო - დებიუტი ნორმალურად გაითამაშეს და მცირე პოზიციური უპირატესობაც მიიღეს, მაგრამ შემდეგ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა სტურუამ და მეტოქემ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. ამათი დაპირისპირებაც ერთ-ერთი თვალსასეირო ბრძოლა იქნება.

შავებით არა, მაგრამ თეთრებით კი მოიგო და მოულოდნელ შედეგთა რიგში ჩადგა **ბეგლარ ჯობავა**. მისი მეტოქე **ლევან ფანცულაია** იყო. ბეგლარმა დებიუტიდანვე კარგად ითამაშა, შუაწელში კი ისეთი მანევრი განახორციელა, რისი პასუხიც ლევანს არ აღმოაჩნდა: ჯერ პაიკი წააგო, შემდეგ კი პარტიაც დათმო. სწრაფ ჭადრაკში ლევანს ბევრიც ვერ გაეტოლება, თუმც ჯაბანი არც ბეგლარია და ცხადია, მაყურებლის ინტერესი აქეთაც ექნება.

იმარჯვა **მიხეილ მჭედლიშვილმაც**, რომელსაც **ლევან ბრეგაძე** უწევდა ოპონირებას. პირველში ყაიმის შემდეგ მეტი შანსი მჭედლიშვილს შერჩენოდა: თეთრებით თამაშობდა და კლასითაც უფრო მეტია დღეისთვის, ვიდრე ბრეგაძე. სწორედ კლასის ხარჯზე შეძლო სადებიუტო უპირატესობის გამოყენება და როცა იერიში შეუქცევადი გახდა, ბრეგაძემ უიმედობის გამო მარცხი აღიარა.

ყაიმი დაფიქსირდა **მარგველაშვილი-აროშიძის** პარტიაში. მეტად რთული შეხვედრა იყო. თეთრებით აროშიძე უტევდა და თითქოს უკეთესი პოზიციაც ჰქონდა და ენდშპილში უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გიორგიმ კარგად დაიცვა თავი და ყაიმს მიაღწია. ესენიც ტაი-ბრეიკში გაარკვევენ ურთიერთობას.

**მაღალაშვილმა** და **გელაშვილმაც** ქულა გაიყვეს, თუმცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინენ ერთმანეთს. წინა პარტიაში მაღალაშვილს აკლდა პაიკი და მოახერხა გაყაიმება, გუშინ კი გელაშვილი დარჩა უპაიკოდ და სიმართლე ითქვას, რომ არა ცაიტნოტი, შავებს ალბათ უნდა მოეგოთ. დავითმა მისდა სამწუხაროდ, მოსაგები გზები ვერ იპოვა და ისღა დარჩენოდა ყაიმს დაყაბულებულიყო. სხვა შემთხვევაში, ანუ თუკი პარტიას გაამწვავებდა და ზედმეტი პაიკის რეალიზაციისკენ გადაიტანდა ყურადღებას, შესაძლო იყო სულაც წაეგო - მეტოქის ლაზიერი და მხედარი მის მეფეს სახიფათოდ ემუქრებოდნენ...

**ჭიღლაძე-შანავას** პარტიაც ყაიმით მორჩა, მაგრამ ამათ პირველი შეხვედრა შანავას გამარჯვებით დასრულდა და შემდეგ ეტაპზეც კონსტანტინე გავიდა.

როგორც ნახეთ, 8 წყვილიდან მხოლოდ ორში გამოვლინდა გამარჯვებული, - მიხეილ მჭედლიშვილი და კონსტანტინე შანავა. დღეს, ადრე თუ გვიან, მეოთხედფინალისტები ყველა შემთხვევაში გამოვლინდებიან. ვინც არ უნდა შეძლოს გამარჯვება, შემდეგი ეტაპი კიდევ მეტ საინტერესოს გვპირდება...

მერვედფინალური.

**ზვიად შათირიშვილი**

# ნაწილობრივი რეაბილიტაცია

**სტამბოლის** სუპერტურნირში გუშინ ბოლოსწინა, მერვე ტურის პარტიები გათამაშდა. მეშვიდე ტურში **ლელა ჯავახიშვილი** აუტსაიდერ **ილდიზთან** მარცხმა ბევრად აზარალა და სამეულშიც ველარ შევა, თუმც პრესტიჟის საქმე იყო, დარჩენილ ორ პარტიაში ღირსეულად ესპარეზა. ამის გაკეთება ძალიან რთული იყო - მერვე ტურში ერთ-ერთ ლიდერს და ფავორიტ შვედ **პია კრამლინგს** ხვდებოდა, ბოლოში კი - ასევე ლიდერს - ჩინელ **ჰოუ იფანს**. ლელამ ჩვენდა გასახარად ნაწილობრივ მოახერხა რეაბილიტაცია და 2004 წლის ევროპის ჩემპიონი თეთრებით დაამარცხა.

ქართველს ოთხი ქულა გაუხდა და მეხუთე საფეხურზე აღზევდა. მერვე ტურში, ჰოუ იფანი და ჯავახიშვილი ალბათ იოლად შეთანხმდებიან ყაიმზე, რადგანაც ჩინელმა გუშინ გაიმარჯვა და უახლოეს მდევარს, ეს კი სწორედ კრამლინგია, ერთი ქულით გაუსწრო. შესაბამისად დღეს მას ნახევარი ქულაც ჰყოფნის პირველი ადგილის დაბევებისთვის და როგორც წესი, ასეთ დროს მოჭადრაკეები ყაიმს აფორმებენ ხოლმე. ტურნირის მეორე რეიტინგის მფლობელთან ყაიმი ჯავახიშვილისთვის ყოველმხრივ სასარგებლო იქნება - ცხრილშიც წაადგება მეხუთე ადგილის შენარჩუნებისთვის და დაბალრეიტინგიან ილდიზთან მარცხსაც გააბათილებს. ამას გარდა მეხუთე ადგილი 1200 დოლარ პრიზსაც ითვალისწინებს.

სხვათა შორის, გუშინ ყველა შეხვედრა შედეგიანად დასრულდა, რაც მეორედ მოხდა მიმდინარე შეჯიბრებაში, - პირველად პირველ ტურში არ დაინდეს ერთმანეთი მეტოქეებმა. **ჭუ ჩენმა**, რომელსაც ცუდი სტარტი ჰქონდა, ინდოელი **ჰარიკა დრონავალი** დაამარცხა; **ჭაო სიუმ** ამერიკელ **ირინა კრუშს** აჯობა; ჰოუ იფანის მსხვერპლი **ეკატერინა ათალიკი** გახდა; უკრაინელმა **ანა უშენინამ** კი თურქი ქემრე ილდიზს მიუჩინა რეიტინგით განკუთვნილი ადგილი...

მეშვიდე ტური: **ჭუ ჩენი (2548)-ჰარიკა დრონავალი (2455) - 1:0; ირინა კრუში (2473)-ჭაო სიუ (2517) - 0:1; ეკატერინა ათალიკი (2408)-ჰოუ იფანი (2527) - 0:1; ლელა ჯავახიშვილი (24700-პია კრამლინგი (2524) - 1:0; ანა უშენინა (2484)-ქემრე ილდიზი (2207) - 1:0.**

ბოლო ტურში: **ქემრე ილდიზი-ჭუ ჩენი; პია კრამლინგი-ანა უშენინა; ჰოუ იფანი-ლელა ჯავახიშვილი; ჭაო სიუ-ეკატერინა ათალიკი; ჰარიკა დრონავალი-ირინა კრუში.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ჰოუ იფანი (ჩინ) - 6,5; 2. პია კრამლინგი (შვედ) - 5,5; 3. ეკატერინა ათალიკი (თურ) -5; 4. ჭაო სიუ (ჩინ) - 4,5; 5. ლელა ჯავახიშვილი (საქ) - 4; 6. ჰარიკა დრონავალი (ინდ) - 3,5; 7. ირინა კრუში (აშშ) - 3; 8. ჭუ ჩენი (ყატ) - 3; 9. ანა უშენინა (უკრ) - 2,5; 10. ქემრე ილდიზი (თურ) - 2,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

ზარი რედაქციაში

# გაასწორეთ ბორჯღალი!



გუშინ, კინოდრამატურგი, საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის წევრი, **იოსებ ჩახნაშვილი** რედაქციაში ტელეფონით შეგვეხმიანა და მოწიწებით გვთხოვა, ყურადღება გავამახვილოთ ერთ შეცდომაზე, რომლის გამოსწორების დაყოვნება აღარ შეიძლება.

*"ნებსით თუ უნებლიეთ, ბორჯღალი, რომელშიც ჩვენმა წინაპრებმა დიდი სიბრძნე ჩადეს, ზოგიერთმა სპორტულმა ორგანიზაციამ თავის სიმბოლოდ აიღო და ეს მისასალმებელია, თუმცა დაშვებულია დასანანი შეცდომა - ბორჯღალი ზოგან პირუკუა გამოსახული. ეს იგივეა ჯვარი ამობრუნებულად დაიხატოს"*, - გვითხრა ბატონმა იოსებმა.

ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი

# თავისუფალს ელენე გახსნის



ელენე გედევანიშვილი

გეტებორგის „სკანდინავიუმარენა“ ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. გუშინდელი დღე ძალზე წარუმატებელი გამოდგა 18 წლის **ელენე გედევანიშვილისთვის** – მან კინაღამ ვერ მოიპოვა თავისუფალი პროგრამის შესრულების უფლება, რაც ელენეს კარიერაში არ მომხდარა.

ელენე გედევანიშვილი ყინულზე 36-ე გამოვიდა, ის პირველივე ელემენტის შესრულებისას დაეცა, თუმცა მხოლოდ ეს არ იყო უჩვეულოდ დაბალი შეფასების მიღების მიზეზი. ქართველმა სპორტსმენმა, რომლის საუკეთესო პირადი მაჩვენებელი მოკლე პროგრამაში 60,19 ქულაა, სულ 44,06 ქულა მიიღო. გედევანიშვილი პირველი დღის მერე 23-ე ადგილზეა, თავისუფალ პროგრამას კი 24 საუკეთესო სპორტსმენი შეასრულებს. ტექნიკურ ელემენტებში ელენეს 23,69 ქულა დაუწერეს, ხოლო პროგრამულში – 21,37. ელენეს, ალბათ, ძალზე გაუჭირდება მსოფლიო ჩემპიონატებზე საუკეთესო მიღწევის გამეორება, 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი მე-14 იყო.

პირველმა დღემ ევროპელთა მოულოდნელი ტრიუმფით და ამერიკელთა წარუმატებლობით ჩაიარა. პირველ ადგილზე ევროპის ჩემპიონი იტალიელი **კაროლინა კოსტნერია** 64,28 ქულით. მან სულ ცოტათი აჯობა ტურნირის ფავორიტს, იაპონელ **მაო ასადას** (64,10). მესამე ადგილზეც იაპონელია – **იუკარი ნაკანო** (61,10). ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კიდევ ხუთი სპორტსმენი შეიძლება ჩაერიოს.

დღეს ელენე გედევანიშვილი პირველ ჯგუფში იასპარეზებს. კენჭისყრამ მას თავისუფალი პროგრამის გახსნა არგუნა. ის „სასიყვარულო ისტორიების“ მუსიკის ფონზე შეასრულებს თავისუფალ პროგრამას. კენჭისყრაში არ გაუმართლდა კაროლონა კოსტნერს, ყველა მისი უახლოესი კონკურენტი მის შემდეგ გამოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

16-23 მარტი. გეტებორგი (შვედეთი)

| ქალები. მოკლე პროგრამა | |
|---|---|
| 1. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 64,28 |
| 2. მაო ასადა (იაპონია) | 64,10 |
| 3. იუკარი ნაკანო (იაპონია) | 61,10 |
| 4. კიირა კორპი (ფინეთი) | 60,58 |
| 5. იუ-ნა კიმი (კორეა) | 59,85 |
| 6. ჟანი როშეტი (კანადა) | 59,53 |
| 7. სარა მაიერი (შვეიცარია) | 59,49 |
| 8. მიკი ანდო (იაპონია) | 59,21 |
| 9. კიმი მაისნერი (აშშ) | 57,25 |
| 10. ბეატრისა ლიანგი (აშშ) | 52,81 |
| ...23. ელენე გედევანიშვილი (საქარ.) | 44,06 |

რაგბი. ინტერვიუ დავით ქუბრიაშვილთან

# ელიტის დებიუტანტი

**გასულ უქმეებზე საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა პირველხაზელის, დავით ქუბრიაშვილის დებიუტი შედგა. დუდუმ "მონპელიეს" შემადგენლობაში გასვლით შეხვედრაში "პერპინიანთან" ითამაშა. პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებების გასაზიარებლად და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ ქუბრიაშვილს მონპელიეში დავუკავშირდით.**

- ელიტაში პირველი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მართალი გითხრათ, მეტოქის შერკინების მხრიდან მეტ წინააღმდეგობას, მეტ სირთულეებს ველოდი. ცხადია, ვნერვიულობდი, მაგრამ მაღალ დონეზე თამაში არც ისე ძნელი ყოფილა.

**- მატჩის შემდეგ მწვრთნელმა როგორ შეაფასა თქვენი თამაში?**

- ცუდი არაფერი უთქვამს. ნორმალურად იყო ყველაფერიო. შერკინებაში ნორმალურად ვიდექი, ღია თამაშშიც ბევრი ვიმოძრავე, რაც ადრე ძალიან მიჭირდა.

**- მეორე ტაიმში რატომ შეგცვალათ?**

- პირველ ნახევარში ერთ-ერთ ეპიზოდში, რაკში თამაშისას, მოწინააღმდეგე მუხლზე დამეცა და ვიტკინე. მეორე ტაიმის ოცი წუთი ტკივილს კი გავუძელი, მაგრამ მეტის ატანა ველარ შევძელი და შემცვალა.

**-უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო მატჩშიც ითამაშებთ?**

- მომდევნო თამაში "კლერმონთან" გვაქვს. ვფიქრობ, არ მათამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, ოცდაორკაციანი შემადგენლობა უკვე დასახელებულია და ჩემთვის არავის უთქვამს, განაცხადში ხარო.

**- რა არის ამის მიზეზი?**

- ვერ გეტყით. ალბათ, ის, რომ გუნდის დატოვებას ვაპირებ. ამჟამად გია ლაბაძის "ტულონთან" ვაწარმოებ მოლაპარაკებას. "მონპელიეს" ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ წინა კვირაში უნდა ეთქვათ პასუხი მიშვებენ თუ არა, მაგრამ ჯერაც არაფერი უთქვამთ.

**- წლეულს ეროვნულ ნაკრებში ყველა შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა. ერთა თასზე ორ მომდევნო შეხვედრაში ჩეხებთან და რუსებთან თუ ხართ გამოძახებული?**

- გამოძახებული ორივე თამაშზე ვარ, მაგრამ ვეჭვობ, ჩეხებთან სათამაშოდ ჩამოსვლას ვერ მოვახერხებ. ვინაიდან ჯერ ერთი სატრანსფერო საკითხები მაქვს გასარკვევი და ამ თამაშს ეს პერიოდი ცუდად დაემთხვა. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ როგორც იცით, "მონპელიეს" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობ საფრანგეთის ჩემპიონატში და ლიდერები ვართ. მომდევნო შეხვედრა 30 მარტს გვაქვს უშუალო კონკურენტ "ტულონთან" სტუმრად. თუ მოვიგებთ, ჩემპიონები გავხდებით. ამიტომ ესეც მაფერხებს.

რაც შეეხება რუსეთთან თამაშს, მე და მამუკა გორგოძემ დიდი ხნის წინათ გავაფრთხილეთ გუნდის ხელმძღვანელები, რომ ამ თამაშზე ყოველ მიზეზგარეშე მივდივართ.



დავით ქუბრიაშვილი

**ბესიკ ჯანგავაძე**

სუმო. მარტის ბაშო

# ერთი დღით უმაღლესში



კოკაი (მარცხნივ)

დღეს, სუმოს ისტორიაში პირველად უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში ორი ქართველი იჭიდავებს – **ლევან ცაგურია** (კოკაი) და **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი). ლევან გორგაძე 20 წლისაა, მაკუუჩიში მასზე ახალგაზრდა მხოლოდ ერთი რიკიშია. მას ჯერ არ გაუნაღდებია დივიზიონის საგზური, უბრალოდ, ტრავმიანობის გამო მაკუუჩის დივიზიონში მონაწილეთა რიცხვი კენტია. სწორედ ამიტომ დღევანდელ ბაშოს ტოჩინოშინისა და მე-15 მაეგაშირა **ვაკაკირინის** ორთაბრძოლა გახსნის. მოგება თუ წაგება, გორგაძეს, ჩვეულებრივ, ძურიოში მიეთვლება. სხვათა შორის, ჩვენებურისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ბრძოლაა. წარმატება მას მაკუუჩის ნაღდ საგზურთან ძალიან მიაახლოებს (შეიძლება, გაუნაღდოს კიდეც), თავად დადებით ბალანსს დაიბევებს, მეტოქეს კი მაკუუჩიდან გააგდებს, რითაც ერთით მეტ ადგილს გამოათავისუფლებს. ერთადერთი რაც გვალელვებს, ტოჩინოშინის ბოლოდროინდელი ფორმა და მტკივანი ზურგია.

გუშინ, ოსაკას ბაშოს მე-11 დღეს კოკაიმ დადებითი ბალანსი გაინაღდა. მან ლიდერ დიდ ჩემპიონებს მე-12 მაეგაშირა **ტოჩიოძანი** ჩამოაცილა, რომელსაც იორიკირით ბაშოზე მეორე მარცხი აგემა. კოკაის 8-3 ბალანსი აქვს, წინ კიდევ ოთხი ბრძოლაა და, ვინ იცის, იქნებ კომუსუბის ტიტულიც დაიბრუნოს. ამისთვის მან დღეიდანვე უნდა იზრუნოს, ჯერ 21 წლის **გოეიდო** (7-4) უნდა დაამარცხოს, რომელსაც არასოდეს შეხვედრია ბაშოზე.

ბაშოზე დიდი ჩემპიონი **ასაშორიუს** დამარცხება ჯერ ვერავინ მოახერხა. გუშინ სენსაციასთან ახლოს ჩემპიონი (ოძეკი) **ჩიოტაიკაი** იყო, თუმცა მონღოლმა წარმოუდგენლად რთული სიტუაციიდან დაიძვრინა თავი და ეფექტური გდებით მე-11 მოგება ჩაიწერა. ასაშორიუს კვალში მეორე დიდი ჩემპიონი, იმპერატორის თასის მფლობელი **ჰაკუჰო** უდგას 10-1 ბალანსით.

ლევან გორგაძემ ძურიოს დივიზიონში პირველად წააგო ზედიზედ მეორედ და წაგებათა რიცხვი ბაშოზე პირველად გაუხდა ოთხი. ტოჩინოშინი **კიოკუნანკაის** შეხვდა და საყვარელი ილეთით, იორიკირით წააგო. ლევანს 7-4 ბალანსი აქვს. მიმომხილველები ტოჩინოშინის წარუმატებლობას ზურგის ტრავმას აბრალებენ.

დღეს მესამე დივიზიონ მაკუშიტაში **თეიმურაზ ჯუღელს** (გაგამარუ) შეუძლია დადებითი ბალანსი დაიბევოს. ამისთვის გაგამარუმ (3-2) **ჰაიასეგავა** (3-2) უნდა დაამარცხოს. გაგამარუ მაკუშიტას 27-ე ნომერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
9-23 მარტი, ოსაკა (იაპონია)

**მაკუუჩი**

XI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოჩიოძანი 1:0 (იორიკირი), ჰაკუჰო-ამა 1:0, ასაშორიუ-ჩიოტაიკაი 1:0, კაიო-ტოკიტენკუ 1:0, კოტომიცუკი-ვაკანოჰო 1:0, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ 1:0, კისენოსატო-ასასეკირიუ 1:0, მიაბიამა-ტაკეკაძე 1:0, კაკურიუ-ვაკანოსატო 1:0, ტოიონოშიმა-დეჯიმა 1:0, კიოკუტენჰო-ტაკამისაკარი 1:0, გოეიდო-როჰო 1:0, ბარუტო-ჰომაშო 1:0, ჰოკუტორიკი-კასუგაო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 11-0: ასაშორიუ (იოკოძუნა). 10-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 9-2: ბარუტო (მაეგაშირა 7), ტოჩიოძანი (მ 12). 8-3: კაიო (ოძეკი), კიოკუტენჰო (მ 4), კოკაი (მ 5), ჰოკუტორიკი (მ 7), ტაკამისაკარი (მ 11), ჰომაშო (მ 13).

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-გოეიდო, ტოჩინოშინი-ვაკაკირინი, ასაშორიუ-კოტოშოგიკუ, ჰაკუჰო-ჩიოტაიკაი, კოტომიცუკი-კიოკუტენჰო, კაიო-ვაკანოჰო, ასასეკირიუ-ამა, ტაკეკაძე-კაკურიუ, კისენოსატო-მიაბიამა, ტოიონოშიმა-ამინიშიკი, ტოკიტენკუ-დეჯიმა, ტოჩინონადა-ვაკანოსატო, ტამაკასუგა-როჰო, ჰოკუტორიკი-ტოჩიოძანი, ბარუტო-ფუტენო.

ძურიო. XI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-კიოკუნანკაი 0:1 (იორიკირი), ტოსანოუმი-მოკონამი 1:0, ჰაკურიოძანი-ჩიოჰაკუჰო 1:0, ტამავაში-კორიუ 1:0, კოტოკასუგა-კასუგანიშიკი 1:0, შიმოტორი-ჰაკუბა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 9-2: კიტატაიკი (ძურიო 10). 8-3: ტოსანოუმი (ძ 1), ტამანოშიმა (ძ 5). 7-4: კოტოკასუგა (ძ 3), ტოჩინოშინი (ძ 4), მასაცუკასა (ძ 9), საგაცუკასა (ძ 14).

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ჰოშიჰიკარი-ჩიოჰაკუჰო, ტოსანოუმი-კიტატაიკი, კორიუ-მოკონამი, ჰაკურიოძანი-ჰაკუბა, კოტოკასუგა-ტამანოშიმა.

ჩოგბურთი

# ქართული დუელი კალაშნიკოვასია

სანქტპეტერბურგში „ნევის თასის“ (25 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** (404). სოფიომ რუსული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავ 16 წლის **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** (308) წააგო. პირველი სეტი შაფათავამ ტაი-ბრეიკში 7:2 მოიგო, შემდეგ კი ინიციატივა ხელთ პავლიუჩენკოვამ იგდო – 7:6, 4:6, 1:6. შაფათავა წყვილთა თანრიგში რუს **არინა როდიონოვას** (277) შეუწყვილდა. ეს დუეტი ორგანიზატორებმა მე-4 ნომრად განთესეს. პირველ წრეში შაფათავამ და როდიონოვამ იოლად დაამარცხეს **კოტელნიკოვას** და **ჟარკოვას** რუსული დუეტი – 6:1, 6:3. შაფათავამ და როდიონოვამ მეორე ეტაპიც გაიარეს, რუსი **ნარცისოვას** და ბელარუსი **იემიალიანავას** დუეტს აჯობეს – 4:6, 6:3: 10:5. „ნევის თასის“ წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში შაფათავა და როდიონოვა მე-2 ნომრად განთესილ ჩეხურ-რუსულ წყვილს (**ფრანკოვა, პავლიუჩენკოვა**) დაუპირისპირდება.

**მაკა ჩახნაშვილი** (199) ამერიკულ რედინგში (25 ათასი დოლარი) ასპარეზობს. პირველ წრეში ის სლოვაკ **იარმილა გაიდოშოვას** (160) ხვდებოდა. პირველ სეტში ანგარიში 4:0 იყო მაკას სასარგებლოდ, როცა სლოვაკმა ჩოგბურთელმა ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვა. მერვედფინალში მაკა მეორე ნომრად განთესილ ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკას** (94) შეხვდება. ჩახნაშვილი წყვილთა თანრიგშიც წინ მიდის, უნგრელ **კირა ნადისთან** ერთად მეოთხედფინალშია.

ეგვიპტის ქალაქ სუეცში 10-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში საინტერესო დაპირისპირებას ველოდით, მე-6 ნომრად განთესილი **მანანა შაფაქიძე** თანამემამულე **ოქსანა კალაშნიკოვას** ხვდებოდა. კალაშნიკოვამ ორ წრეში იმარჯვა – 6:4, 6:1. მერვედფინალში ოქსანას მეტოქე იტალიელი **მარია ბარბიერია**. შაფაქიძე კი წყვილთა თანრიგიდანაც გავარდა, სადაც რუს **ციბიშევასთან** ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი.

პორტო რაფტიში (10 ათასი დოლარი) პირველივე წრეში დამარცხდა **სოფიო ქვაცაბაია**. მან სლოვაკ **მონიკა კოჩანოვასთან** წააგო – 4:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ყველაფერს აქვს დასასრული

"ჰიუსტონ როკეტსის" 22-მატჩიანი მოგებათა სერია რეგულარულის საუკეთესო გუნდმა, "ბოსტონმა" შეწყვიტა. **გარნეტისა და პირსის** (რეი ალენს ისევ არ უთამაშია) "სელტიქსმა" "რაკეტების" ისტორიული გარღვევა მეტოქის მოედანზევე შეაჩერეს და თან როგორ - სტუმრებმა 20 ქულის სხვაობით, 94:74 გაიმარჯვეს.

ჰიუსტონელებს 27 იანვრის შემდეგ არ ჰქონდათ წაგებული და მათი ბრწყინვალე სერია სიგრძით მეორეა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში. ამის შესახებ უკვე ბევრჯერ დავწერეთ, ის კი არ გვითქვამს, რომ "როკეტს" 2 იანვარის შემდეგ სულ რალაც ოთხი წაგება დაუგროვდა.

*"ჩვენს სახელებს დიდების დარბაზის წევრთა გვარების გვერდით მოიხსენიებენ. ასე რომ, ჩვენი შვილიშვილებისთვის სიბერეში მოსაყოლი ნამდვილად გვექნება"*, - ამბობს "როკეტსის" მცველი **რაფერ ელსტონი**.

გუშინ, მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს შეტევების ცუდ რეალიზაციას და ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ "კელტების" დაცვა სპეციალურად **ტრეისი მაკგრეიდის** გარშემო იყო აწყობილი, შესაბამისად, "როკეტსის" ლიდერმა ზედიზედ მეორე მატჩი ჩააგდო. ტი-მაკმა 11-დან 7 სროლა ააცილა და რვა ქულა დააგროვა.

*"არც კი მწყენია. უბრალოდ არ ვიცი, რა ვთქვა მეტოქის შესახებ. მათ იოლად დაგვამარცხეს. ასეთი დაცვა ცხოვრებაში არ მინახავს. თუ ისინი ასე გააგრძელებენ, NBA-ის ნებისმიერ გუნდს სერიოზული პრობლემები შეექმნება. ეს დაცვის ეტალონი იყო"*, - ამბობს მაკგრეიდი.

"ჰიუსტონის" დანარჩენი მოთამაშეები რალაცის შეცვლას კი ცდილობდნენ, მაგრამ აღმოსავლეთის ლიდერთან მათი მონდომება ამაო გამოდგა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ "ჰიუსტონმა" მეორე ტაიმში მხოლოდ 34 ქულა დააგროვა, რაც ამ სეზონში გუნდისთვის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

*"ყველაზე ძალიან გულშემატკივრების გამო დამწყდა გული. ფანები ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ. ხვალ მორიგი მატჩი გველის "ნიუ ორლეანთან" და აუცილებლად გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ"*, - განაცხადა ჰიუსტონელმა **შეინ ბატიემ**.

**გია თვალაბეიშვილი**

**საკრამენტო-გ. სტეიტი 122:105**

29:31, 32:26, 40:25, 21:23

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (34 ქ. 7 მ), არტესტი (26 ქ), მური (19 ქ. 10 მ), ბ. მილერი (14 ქ. 13 მ), ე. ჯონსონი (13 ქ. 13 პ. 6 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (24 ქ. 8 პ), ბიედრინსი (13 ქ. 8 მ), აზუბუიკე (12 ქ. 8 მ), მ. ელისი (11 ქ), ე. ჰარინგტონი (10 ქ).

**დალასი-ლეიკერსი 100:102**

21:28, 17:31, 27:18, 35:25

**დალასი:** ნოვიცკი (35 ქ. 11 მ. 5 დ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ), ტერი (19 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29 ქ. 7 პ. 3 ჩ), რადმანოვიჩი (21 ქ. 10 მ), ოდომი (17 ქ. 17 მ), ტურიაფი (11 ქ. 4 დ. 3 ჩ).

**დეტროიტი-დენვერი 136:120**

34:25, 39:26, 27:38, 36:31

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (24 ქ), რ. უოლასი (21 ქ. 6 პ), მაქსიელი (18 ქ. 7 მ), ჯ. ჰეიესი (17 ქ), ბილაპსი (14 ქ. 10 პ), პრინსი (13 ქ. 9 პ), სტაკი (11 ქ. 6 პ).

**დენვერი:** კ. ენტონი (27 ქ. 3 ჩ), აივერსონი (20 ქ. 11 პ), კენიონ მარტინი (16 ქ. 4 ჩ), კემბი (15 ქ. 11 მ. 6 პ).

**ჰიუსტონი-ბოსტონი 74:94**

22:21, 18:19, 16:32, 18:22

**ჰიუსტონი:** სკოლა (15 ქ. 8 მ), ალსტონი (12 ქ), მ. ჰარისი (12 ქ. 6 მ), ბრუქსი (10 ქ), მაკგრეიდი (8 ქ. 8 პ. 7 მ).

**ბოსტონი:** გარნეტი (22 ქ. 11 მ), პოუ (21 ქ), პირსი (20 ქ).

**პორტლენდი-ფინიქსი 98:111**

27:28, 22:29, 27:30, 22:24

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (31 ქ. 8 მ), ტ. აუთლო (13 ქ), ჯეკი (12 ქ), ფრაი (12 ქ), ბლეიკი (10 ქ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 7 მ), ნეში (22 ქ. 8 პ), შ. ონილი (16 ქ. 15 მ).

**მილუოკი-მაიამი 106:112**

26:24, 24:20, 27:26, 29:42

**მილუოკი:** რედი (27 ქ), მო უილიამსი (26 ქ. 11 პ), ჩ. ბელი (15 ქ), რუფინი (14 ქ. 16 მ), ვილიანოვა (10 ქ. 7 მ).

**მაიამი:** ჯ. უილიამსი (21 ქ. 10 პ), ქუინი (17 ქ), ბარონი (16 ქ), რ. დევისი (14 ქ. 10 პ), დ. კუკი (12 ქ).

**ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 112:96**

29:26, 29:8, 21:34, 33:28

**ჩიკაგო:** დენგი (20 ქ. 9 მ), გუდენი (19 ქ. 11 მ. 4 დ), გორდონი (17 ქ. 6 პ), ჰიუზი (16 ქ. 4 ჩ), ჰაინრიხი (14 ქ. 8 პ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (22 ქ), რ. ჯეფერსონი (21 ქ), მარკუს უილიამსი (16 ქ).



მაკგრეიდი ბოსტონმა დაამწუხრა

კალათბურთი. ორი ვარსკვლავის საუბარი

# რასელი გარნეტზე და პირიქით



კევინ გარნეტი და ბილ რასელი

**მე-20 საუკუნის "ბოსტონ სელტიქსის" ცოცხალი ლეგენდა, NBA-ის 11-გზის ჩემპიონი ბილ რასელი ხშირად ჩადის ბოსტონში და თავისი საყვარელი გუნდის თამაშებს ესწრება. გარდა ამისა, ლეგენდარული კალათბურთელი ხელიდან არ უშვებს "კელტების" ახალ ლიდერთან, კევინ გარნეტთან გასაუბრების შემთხვევას. ერთ-ერთი ასეთი საუბარი NBA.com-მა ჩაიწერა და მის ფრაგმენტებს ახლა გთავაზობთ.**

## რასელი გარნეტის შესახებ

- ქეი-ჯეი მაშინ გავიცანი, როცა სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა. კევინი სასიამოვნო ახალგაზრდა იყო, ოპტიმიზმით სავსე, ბევრი ვარჯიში და ახალი რალაცეების გაგება უნდოდა. პირველი სეზონიდან მოყოლებული დღემდე, ენერგიულად, ძლიერად და დიდი სიამოვნებით თამაშობს - იმისთვის, რომ დიადი მოთამაშე იყო, სწორედ ასე თამაშია საჭირო. მას უკვე დიდი ხანია ვიცნობ და ვაფასებ საკალათბურთო ოსტატობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გამო. მთავარი მინდა აღვნიშნო: ის კალათბურთელი არ არის. ისევე როგორც მე, ადამიანია, რომელიც კარგად თამაშობს კალათბურთს.

## რასელი კევინის გაჩემპიონებაზე

- უნდა ვაღიარო, რომ ამ საკითხში სუბიექტური ვიქნები. კევინში ჩემპიონის სული ბუდობს. ტიტულის მოგება მისთვის კიდევ ერთი მიღწევა იქნება, მაგრამ მას არ სჭირდება ჩემპიონობა მხოლოდ იმისთვის, რომ დიად მოთამაშედ აღიარონ. ბევრი დიდი კალათბურთელი არასოდეს გამხდარა ჩემპიონი.

## გარნეტი რასელთან ურთიერთობაზე

- ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთს. შეიძლება, ეს ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ბოლო დროს უფრო მეტად დავმეგობრდით, რადგან, რაც "სელტიქსში" გადავედი, ბილს უფრო ხშირად ვხვდები. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი რამ გადავილე...

## თანაგუნდელები რომ ყოფილიყვნენ

**გარნეტი:** "თამაში იოლზე იოლი იქნებოდა".

**რასელი:** "ცენტრისა და მძიმე ფორვარდის ადგილებზე რომ გვეთამაშა, სეზონში მხოლოდ 5 მატჩს წავაგებდით".

## ურთიერთმსგავსებაზე

**რასელი:** "ორივენი მაღლები ვართ, შავები, მაგრამ მე მეტი თმა მაქვს".

**გარნეტი:** "გააჩნია, რას შევადარებთ (იცინის). ბევრი რამით ვგავართ. ორივენი სამხრეთიდან ვართ. დაცვაში თამაშით თითქმის არ განვსხვავდებით".

**რასელი:** "ერთადერთი, რაც ვერ შევძელი ისაა, რომ თამაში იდეალური სტატისტიკით ვერ დავასრულე. უნდა მქონოდა მინიმუმ 25-35 მოხსნა, 10 პასი, 12 დაფარება, 12 გარღვევა... ამასთან, მოწინააღმდეგე თამაშიდან უნდა გამომეთიშა და პარტნიორებთან ურთიერთობისას კონსტრუქციული უნდა ვყოფილიყავი".

**გარნეტი:** "როცა თამაშს ვიწყებდი, მეგონა, რომ დაცვაში მოქმედება სხვებზე მეტად გამიადვილდებოდა. მაგრამ აზრი შემეცვალა. დაცვა - ეს მუდმივი დაძაბულობაა, მძიმე სამუშაო. მირჩევნია, 50 ტყორცნა ავაცილო და ამდენჯერვე ბურთი მოედნის გარეთ გადავუშვა, ოღონდ დაცვაში თამაში გამომივიდეს. ასე მგონია, რომ შეტევაში ყოველთვის კარგი ვერ ვიქნები, მაგრამ დაცვაში გუნდს არასოდეს დავალალატებ. თუ ფარს იგებ და მეტოქის ტყორცნებს ბლოკავ, ე. ი. თამაში შენი კარნახით მიდის".

**რასელი:** "ერთხელ თამაშიდან 13-ივე სროლა გავაფუჭე, მაგრამ 35 მოხსნა და 10 ბლოკ-შოტი მივითვალე".

**გარნეტი:** "მორიგი დაფარების შემდეგ მოწინააღმდეგისთვის არ გითქვამს: "აქ ფეხი აღარ შემოდგა!"?

**რასელი:** "არა, რადგან მეტოქეს უნდა ეფიქრა, რომ მოგვიანებით შეძლებდა ჩემს მოტყუებას".

■ ■ ■

**რასელი:** "ჩვენს მწვრთნელს, რედ აუერბახს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა თამაშზე. მისი ხელმძღვანელობით 10 წელი ვითამაშე და არასოდეს უთქვამს ჩემთვის, რა უნდა გამეკეთებინა. ის თვლიდა, რომ ჩვენ სწორედ ასეთი მიდგომა გვჭირდებოდა. დღემდე, სწრაფ გარღვევაზე ისე კარგად ვერავინ მიდის, როგორც ამას ბობ კოუზი აკეთებდა".

**გარნეტი:** "რა გრჯიდა ამდენი ტიტულის მოგებას?"

**რასელი:** "ყოველ წელს ჩნდებოდა იმის მიზეზი, რომ ჩემპიონობისთვის გვებრძოლა".

**გარნეტი:** "მაშინ კარგი სათადარიგოები გყავდათ?"

**რასელი:** "დიახ, მაგრამ რედმა უარი თქვა ახალი კალათბურთელების აყვანაზე. მან გამოაცხადა: "სხვა რატომ უნდა ვეძებოთ, როცა უკვე ვიცი რისი გაკეთება გვსურს ახალ სეზონში".

**გარნეტი:** "როგორ უნდა დავეხმარო უკეთ პოლ პირსს, რეი ალენსა და ჩემს სხვა თანაგუნდელებს?"

**რასელი:** "ჩემი აზრით, კარგი პასის მიცემა ყველაზე სასარგებლო თვისებაა. ცენტრის პოზიციიდან 11 ტიპის გადაცემის გაკეთება შეგიძლია. მე ეს იაო მინს ვუთხარი და მან გიჟად ჩამთვალა".

■ ■ ■

**რასელი:** "მე მგონია, რომ მინიმუმ ორ ან სამ ტიტულს მოიგებ. თუ არა, ერთ ჩემსას დაგითმობ. თუ ძველებურად საკუთარ თავს მთლიანად თამაშს მიუძღვნი, ჩემპიონობა გარანტირებული გექნება. ამისთვის რამდენიმე თანაგუნდელის დახმარება დაგჭირდება, მაგრამ ნუ მოიკიდებ მათ ზურგზე, უბრალოდ, ხელები ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და მხიარულ მოგზაურობაში გაემგზავრეთ".

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# ტოდტი დირექტორი აღარ არის

სკუდერიას ყოფილი ხელმძღვანელი **ჟან ტოდტი**, რომელსაც 2006 წლის ოქტომბრიდან დღემდე კომპანია "ფერარის" გენერალური დირექტორის პოსტი ეკავა, თანამდებობიდან გადადგა. თუმცა, ცნობილი სპეციალისტი დირექტორთა საბჭოს წევრად დარჩება და "ფერარის" წარმომადგენელი იქნება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოზე. გარდა ამისა, ტოდტი სკუდერიას სპორტულ განყოფილებაშიც იმუშავებს.

*"კომპანიის მიმართ ყველა ვალდებულება პირნათლად შევასრულე და ახლა ჩემი ცხოვრების ახალი ფაზა იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ პირადი ცხოვრებისთვის და სხვა ინტერესებისთვის მეტი დრო დამრჩება*, - განაცხადა ტოდტმა და იქვე დაამატა. - *ბუნებრივია, "ფერარი" ბოლომდე არ დამიტოვებია და იმ მოვალეობებს შევასრულებ, რასაც ლუკა დე მონტეძემოლო მანდობს"*.

**გიორგი თვალია**

# ფორმულა რუსულ არაყს დალევს



ვის დარჩება ტორო როსო?

ავტოსპორტის სამყაროში მორიგი ცვლილება იგეგმება. ამ დღეებში, შვეიცარიელმა მილიარდერმა **დიტრიხ მატეშიცმა** გამოაცხადა, რომ მის მფლობელობაში მყოფი ორი საჯინიბოდან ("რედ ბული" და "ტორო როსო") ერთ-ერთის გაყიდვას აპირებს. რა თქმა უნდა, მატეშიცი არ გულისხმობდა "რედ ბულს", რომელშიც **დევიდ ქულთარდი** და **მარკ უებერი** გამოდიან, არამედ ამ გუნდის კლონს, მოკრძალებულ "ტორო როსოს".

მატეშიცს ამ გადაწყვეტილების მიღება იმ წესმა აიძულა, რომელიც 2010 წლის სეზონიდან შევა ძალაში. მისი მიხედვით, ორი წლის შემდეგ ჩემპიონატში მხოლოდ ის გუნდები დაიშვებიან, რომლებსაც საკუთარი კონსტრუქტორთა ბიურო ექნებათ. ასეთი ცვლილებებისთვის კი, შვეიცარიელი ბიზნესმენი მზად არ არის. *"სწორედ ამიტომ მინდა, რომ მხოლოდ ერთი გუნდი მყავდეს*, - ახსნა გადაწყვეტილების მოტივი მატეშიცმა. - *"ტორო როსოს" გაყიდვას 2008 წელს არ ვგეგმავთ, მაგრამ ეს გაისად აუცილებლად მოხდება"*.

"ტორო როსოს" სავარაუდო მყიდველთა სიაში პირველ ადგილზეა რუსი ბიზნესმენი **რუსტამ ტარიკო**, რომლის უკან კომპანია "რუსული სტანდარტი" დგას. 2005 წელს, თავის კომპანიონთან, ფორმულა 1-ის ყოფილ ვიცე-ჩემპიონთან **ედი ირვინთან** ერთად, ტარიკო ფორმულას გუნდის შეძენას შეეცადა. მაგრამ კრიზისში მყოფი "ჯორდანი" სხვის ხელში აღმოჩნდა. ამ წლის დასაწყისში კი, "რუსული სტანდარტის" ინტერესთა სფეროში იაპონური საჯინიბო, "სუპერ აგური" მოექცა. როგორც ცნობილია, ამ გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს.

ახლა კი, ტარიკოსა და ირვაინის მორიგი სამიზნე "ტორო როსო" გახდა. სხვათა შორის, ეს წყვილი გასულ უიქ ენდზე, ავსტრალიის გრან-პრის სტუმარი იყო. სპეციალისტების ვარაუდით, "ტორო როსო" დაახლოებით 120 მილიონი დოლარი ღირს, რუსი ბიზნესმენის ქონება კი, 4.6 მილიარდად არის შეფასებული.

**გიორგი თვალია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. ევროპის ჩემპიონატი

# მასპინძლებმა რეკორდით დაიწყეს



ჰოლანდიელთა რეკორდსმენი ოთხეული

ჰოლანდიის ქალაქ აინდჰოვენში მიმდინარეობს მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის პირველ დღესაც ჰოლანდიელ ქალთა კვარტეტმა, 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში, ოქროს მედლები მსოფლიოს რეკორდის დამყარებით მოიპოვეს.

**ინგე დეკერმა, რანომი კრომოვიჯოხომ, ფემკე ჰეემსკერკმა და მარლეენ ფელდჰუისმა** დისტანცია სამ წუთსა და 33.62 წამში გაცურეს და თითქმის წამნახევრით გააუმჯობესეს გერმანელების მიერ ორი წლის წინათ დამყარებული რეკორდი (3:35.22). გამარჯვებულებს შვიდ წამზე მეტით ჩამორჩა იტალიის ნაკრები.

ჰოლანდიელთაგან პირველმა ასპარეზობა დეკერმა დაიწყო, ვინც თავისი მუხლის მიწურულს, რეკორდის გრაფიკს წამით აჯობა. მისგან ესტაფეტა 17 წლის კრომოვიჯოხომ მიიღო, რომელმაც ტემპი შეინარჩუნა, თუმცა მისი გაზრდა არ გამოუვიდა. ყველაზე სუსტად ჰეემსკერკმა იასპარეზა, ვისაც დისტანციის მიწურულს დაღლა დაეტყო და ეს მასპინძელთა კვარტეტის გრაფიკზეც აისახა - როცა წყალში ფელდჰუისი გადაეშვა, ჰოლანდიელთა ნაკრები რეკორდის გრაფიკს მხოლოდ 0.06 წამსლა უგებდა. მაგრამ გამოცდილმა ფელდჰუისმა არათუ შეინარჩუნა მაღალი ტემპი, შედეგი კიდევ უფრო გააუმჯობესა და თავისიანებს ორმაგი გამარჯვება მოაპოვებინა.

*"მოკლე აუზში მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ, მიზნად გრძელ აუზშიც იგივეს გაკეთება დავისახეთ. რა თქმა უნდა, დარწმუნებული არ ვიყავით, რომ ეს გამოგვივიდოდა. მით უმეტეს, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ რეკორდს ამდენს მოვაკლებდით. მოკლედ, ოთხივემ ფანტასტიკურად ვიცურავეთ"*, - ნაფინიშევს განაცხადა ფელდჰუისმა.

4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ოქროს მედლებს შვედი მოცურავეები დაეუფლნენ. მათ დისტანცია 3 წუთსა და 15.41 წამში გაცურეს და მცირედით აჯობეს იტალიელებს. მესამე ადგილზე ჰოლანდიის ნაკრები გავიდა, რომელთა შორისაც, წყალში ბოლოს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **პიტერ ვან დენ ჰოოგენბანდი** გადახტა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჰოგი გაციებული ყოფილა, რამაც კარგი შედეგის ჩვენებაში ხელი შეუშალა. უფრო მეტიც, მან 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჰიტებში მონაწილეობისგან თავი შეიკავა და გამორიცხული არაა, რომ ჩემპიონატზე საერთოდაც აღარ იასპარეზოს.

400 მეტრზე შერეული ინდივიდუალური სტილით ცურვაში ოქროს მედალს იტალიელი **ალესია ფილიპი** დაეუფლა, რომელმაც რუს **იანა მარტინოვას** აჯობა. არადა, მარტინოვა პირველ ნახევარში ძალიან სწრაფი იყო და მსოფლიო რეკორდის გრაფიკს 2.5 წამითაც კი სჯობდა, მაგრამ შემდეგ დაიღალა, ფილიპიმ კი ტემპის შენარჩუნება შეძლო, რითაც ჯერ მესამე მუხლზე ლიდერობა იგდო ხელთ, შემდეგ კი, თავისუფალი სტილით კარგა შორს მოიტოვა რუსი მეტოქე, რომელსაც ფინიშამდე უნგრელმა **კატინკა ჰოსუმაც** გაასწრო.

ალსანიშნავია, რომ ფინალში გასვლა ვერ შეძლო ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უკრაინიდან **იანა კლოჩკოვამ**, ვისაც სიდნეისა და ათენის ოლიმპიადებზე ოქროს მედლები 200 და 400 მეტრზე შერეული ინდივიდუალური სტილით ცურვაში აქვს მოპოვებული. ალსანიშნავია, რომ კლოჩკოვას ათენის ოლიმპიადის შემდეგ პრაქტიკულად, აღარ უვარჯიშია, მაგრამ მოგვიანებით პეკინისთვის მომზადება გადაწყვიტა.

რუსი და იტალიელი მოცურავეების დაპირისპირებით აღინიშნა 400 მეტრზე თავისუფალი სტილიც, რომელშიც გამარჯვება რუს **იური პრილუკოვს** დარჩა. აქ სტარტიდან სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, იტალიელი **მასიმილიანო როსოლინო** დაწინაურდა, მაგრამ დისტანციის დასკვნით ნაწილში მას დაღლა დაეტყო, რითაც რუსმა კარგად ისარგებლა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

**მანჩესტერ იუნ-ბოლტონი 2:0**

**მანჩესტერ იუნ:** კუშჩაკი, ო'ში, ვიდიჩი (58. ბრაუნი), ხერარდ პიკე, დ. ფლეტჩერი, ჰარგრივზი, რონალდო, ნანი, ანდერსონი (70. სქოულზი), საა (70. რუნი), ტევესი.

**ბოლტონი:** ალ-ჰაბსი, ე. ო'ბრაიენი, მეიტე (46. ჰანტი), სტეინსონი, ჯ. ო'ბრაიენი,მ. ტეილორი, გარდნერი, მაკკანი, გატრი (82. იანაკოპულოსი), კ. დევისი, დიუფი.

**გოლები:** 1:0 რონალდო (9), 2:0 რონალდო (19)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 19(11)-12(10); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 10-13; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 75 476

**ტოტენჰემი-ჩელსი 4:4**

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ვუდგეიტი, კინგი (68. ბენტი), შიმბონდა, ჰატონი, ჯენასი (46. ჰადლსტოუნი), მალბრანკი, ზოკორა, ლენონი, კინი, ბერბატოვი.

**ჩელსი:** კუდიჩინი, ე. კოული, ტერი, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა (90. შევჩენკო), ჯ. კოული (82. ბალაკი), ლემპარდი, ესიენი, მაკელელე, დროგბა, კალუ (71. ალექსი).

**გოლები:** 0:1 დროგბა (3), 1:1 ვუდგეიტი (12), 1:2 ესიენი (20), 1:3 ჯ. კოული (52), 2:3 ბერბატოვი (61), 3:3 ჰადლსტოუნი (75), 3:4 ჯ. კოული (80), 4:4 კინი (88)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 9(8)-10(8); **კუთხური:** 9-2; **თამაშგარე:** 4-6; **ჯარიმა:** 10-16; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 36 178

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 30 | 22 | 4 | 4 | 61-15 | 70 |
| 2. არსენალი | 30 | 19 | 10 | 1 | 58-22 | 67 |
| 3. ჩელსი | 30 | 19 | 8 | 3 | 53-22 | 65 |
| 4. ლივერპული | 30 | 16 | 11 | 3 | 55-21 | 59 |
| 5. ევერტონი | 30 | 17 | 5 | 8 | 47-25 | 56 |
| 6. პორტსმუთი | 30 | 14 | 8 | 8 | 44-31 | 50 |
| 7. ასტონ ვილა | 30 | 13 | 10 | 7 | 52-39 | 49 |
| 8. მანჩ. სიტი | 30 | 13 | 9 | 8 | 36-34 | 48 |
| 9. ბლეკბერნი | 30 | 12 | 10 | 8 | 39-37 | 46 |
| 10. ვესტ ჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 33-36 | 43 |
| 11. ტოტენჰემი | 30 | 9 | 9 | 12 | 58-51 | 36 |
| 12. ვიგანი | 30 | 8 | 7 | 15 | 27-42 | 31 |
| 13. მიდლსბრო | 30 | 7 | 10 | 13 | 27-44 | 31 |
| 14. ნიუკასლი | 30 | 7 | 8 | 15 | 31-57 | 29 |
| 15. რედინგი | 30 | 8 | 4 | 18 | 35-57 | 28 |
| 16. ბირმინგემი | 30 | 6 | 9 | 15 | 34-46 | 27 |
| 17. სანდერლ. | 30 | 7 | 6 | 17 | 26-48 | 27 |
| 18. ბოლტონი | 30 | 6 | 7 | 17 | 28-45 | 25 |
| 19. ფულჰემი | 30 | 4 | 11 | 15 | 27-49 | 23 |
| 20. დერბი | 30 | 1 | 7 | 22 | 14-64 | 10 |

#### ესპანეთი

1/2 ფინალი. I მატჩი

რასინგი-ხეტაფე 1:1

#### გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

ფორტუნა-დინამო (დ) 1:2
ემდენი-ესენი 0:0

#### გერმანიის თასი

1/2 ფინალი

ბაიერნი-ვოლფსბურგი 2:0

#### საფრანგეთის თასი

1/8 ფინალი

ბორდო-ლილი დ.დ. 2:0
ამიენი-არლი პენ. 4:2
ლორიანი-მეცი 0:1
კარკეფუ-მარსელი 1:0

#### ჰოლანდია

აინდჰოვენი-აიაქსი 0:0

#### ჰოლანდიის თასი

1/2 ფინალი

ჰერაკლესი-როდა პენ. 3:5

#### ბელგიის თასი

1/2 ფინალი

ანდერლეხტი-ბეერსხოტი 1:0

#### შოტლანდია

II დივიზიონი

ეირდრი-ეირი 0:2

III დივიზიონი

ელჯინი-ისტ სტირლინგი 3:0

#### შოტლანდიის თასი

1/4 ფინალი. გადათამაშება

რეინჯერსი-პარტიკი 1:1

#### დანია

ჰორსენსი-ოლბორგი 1:2
ესბერგი-კოპენჰაგენი 2:1

#### ფინეთი

ლიგის თასი

კუოპიო-ჰონკა 0:2
კტპ-ვაასა 2:2

#### ავსტრია

ალტახი-შტურმი 1:2
ლინცერი-ტიროლი 3:3
რიდი-მატერსბურგი 0:0
ავსტრია (კ)-ზალცბურგი 0:0

#### შვეიცარია

ბაზელი-გრასჰოპერსი 2:1
ტუნი-არაუ 1:1
ციურიხი-სიონი 2:1

ჩელენჯლიგა

ლოკარნო-ვოლენი 2:0
დელემონი-ლოზანა 1:2
ფონდსი-კრინსი 1:1
ლუგანო-ჩამი 3:1
შაფჰაუზენი-კიასო 0:0
ვილი-ივერდონი 1:0
სერვეტი-ვადუცი 3:1

#### საბერძნეთის თასი

1/4 ფინალი

ლარისა-ტრასივულოსი 1:3
ოფი-ატრომიტოსი 2:1
ირაკლისი-ოლიმპიაკოსი 2:2

#### თურქეთის თასი

1/2 ფინალი

გენჩლერი-გალათასარაი 1:0

#### კვიპროსის თასი

აპოლონი-ომონია 1:1
ეთნიკოსი-ნეა სალამინა 1:3

#### უკრაინის თასი

1/2 ფინალი

ჩერნომორეცი-შახტარი 1:2
დინამო-მეტალურგი (დ) 2:1

#### პოლონეთი

ლიგის თასი

ლეგია-ვისლა 1:1

#### ხორვატია

მედიმურიე-ზადარი 2:3
ზაგრები-დინამო 0:0
შიბენიკი-რიეკა 0:0
ინკერი-სლავენი 0:0
ოსიეკი-სიბალია 2:1
ვარტექსი-ჰაიდუკი 4:0

#### სერბეთის თასი

1/4 ფინალი

ჩუკარიჩკი-ცრ. ზვეზდა პენ. 0:3
ოფკ-იავორი პენ. 5:4
ზემუნი-ბანატი 1:0
პარტიზანი-შინდიელიჩი 5:1

#### უნგრეთი

1/4 ფინალი

ინტეგრალ დიორი-ვაშაში 0:1
ფეჰერვარი-დებრეცენი 2:1
დირმოტი-კაპოშვარი 2:4

#### რუმინეთი

დაჩა-ოცელული 1:0
ვასლუი-პოლი ტიმიშოარა 3:0
გლორია (ბის)-უნივერსიტ (კლ) 2:0
დინამო-პოლიტეხნიკა 2:1
პანდური-ჩახლაული 1:0
კლუჟი-ფარული 2:1

#### ბულგარეთი

ლოკომოტივი (პ)-ლევსკი 1:0
ბელასიცა-ლიტექსი 1:2
ბერიოე-ჩერნო მორე 0:0
ლოკომოტივი (ს)-ბოტევი 2:2
პირინი-ჩერნომორეცი გადაიდო
სპარტაკი-ვიჰრენი 0:1
ვიდიმა-ცსკა 0:0

### კალათბურთი

#### ევროლიგა

არისი-ლეტუვოს რიტასი 83:74
მონტეპასკი-ეფესი 80:67
პარტიზანი-პანათინაიკოსი 82:73
ფენერბაჰჩე-ტაუგრესი 75:59

#### ULEB-ის თასი

1/8 ფინალი

ვალენსია-ზადარი 93:70

#### ესპანეთი

კახასოლი-მენორკა 75:77

### ჰოკეი

#### რუსეთი

მეტალურგი (მ)-დინამო 5:0

#### სლოვაკეთი

ტრენჩინი-სლოვანი 3:1

#### ფინეთი

იოკერიტი-პელიკანსი ო.ტ. 4:5
კერპეტი-ილვესი 6:3
კიეკო-ჰიფკ 4:1
ტაპარა-იუვიასკიულა 4:1

#### ჩეხეთი

სლავია-ლიბერეცი 2:2

### ჩოგბურთი

#### ATP. ინდიან უელსი

ვავრინკა-ლი 6:1, 5:7, 6:4

#### WTA. ინდიან უელსი

კუზნეცოვა-ა. რადვანსკა 6:2, 6:4

## TV სპორტი

### 20 მარტი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბოლტონი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 90 წუთი - ტოქ-შოუ.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:10 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. უნ. კატოლიკა (ჩილე)-რივერ პლეიტი (არგენტინა).
21:55 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. რასინგი-ხეტაფე.
23:40 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ატლანტა.
09:58 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:11 მინი-მოედანი.
10:24 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
10:53 სპორტდოსიე.
11:23 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ინტერი.
13:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
14:57 ფეხბურთი. Barca TV.
15:04 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
20:26 ფეხბურთი. Barca TV.
20:34 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:38 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. VI ტური. ბარსელონა-ცსკა (LIVE).
22:47 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:45 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).
01:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:22 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. VI ტური. ოლიმპიაკოსი-რეალი.
04:02 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ინტერი.
05:47 სპორტდოსიე.
06:13 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.

#### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 სანყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია.
13:00 სანყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 1 მ. მამაკაცები. ჰოლანდია.
13:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
20:15 სანყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 1 მ. ქალები. ჰოლანდია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 სანყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია (LIVE).
23:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
01:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ვალენსია (ესპანეთი)-ზადარი (ხორვატია).
14:00 ექსტრემალური სპორტი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კოლორადო.
19:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ჩეხეთი.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 ახალი ამბები.
00:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ტუროვი (პოლონეთი)-კიევი (უკრაინა).
01:00 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
03:15 ახალი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ჟუსტინის მეექვსე გრძნობა



ჟუსტინს საკუთარი აკადემია ექნება

ამერიკის ქალაქ ორლანდოს გარეუბანში ახალი საჩოგბურთო აკადემია იხსნება. პროექტის ავტორი მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენია**, რომელმაც თავის პირმშოს "მეექვსე გრძნობა" დაარქვა. აკადემიის გახსნა რამდენიმე დღეშია დაგეგმილი.

ბელგიელი ჩოგბურთელი პირდაპირ აცხადებს, რომ მისი სკოლა სულაც არ არის იმისთვის მოწოდებული, რომ კონკურენცია გაუწიოს **ნიკ ბოლეტიერის** საქვეყნოდ ცნობილ აკადემიას. "მეექვსე გრძნობაში" მხოლოდ მცირე რაოდენობის სტუდენტები ისწავლიან.

თავად ანენი საკუთარი აკადემიის იშვიათი სტუმარი იქნება. როგორ ჟუსტინი ამბობს, ის თავის პირად მწვრთნელ **კარლოს როდრიგესთან** ერთად, დრო და დრო ჩავა ორლანდოში და იქ საწვრთნელ შეკრებებს ჩაატარებს.

გიორგი **თვალია**

# დიეგომ სტარაჩეს მოუბოდიშა

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ, **დიეგო მარადონამ** ოფიციალურად მოუხადა ბოდიში იტალიელ ჩოგბურთელს, **პოტიტო სტარაჩეს**. შეგახსენებთ საქმის არსს: ბუენოს აირესში ჩატარებული ტურნირის დროს, სტარაჩე არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანს** ეთამაშებოდა. მარადონა ამ დროს ტრიბუნაზე იჯდა და აქტიურად ქომაგობდა თავის თანამემამულეს, ხოლო იტალიელის მისამართით, რამდენიმე უხამსი ფრაზა ისროლა.

მატჩის შემდეგ, სტარაჩემ გამოაცხადა, რომ "ნაპოლის" დიდი გულშემატკივარია, იმ გუნდისა, რომელშიც დიეგო წლების განმავლობაში თამაშობდა. მარადონას მიმართ დიდი პატივისცემა მქონდა, მაგრამ ახლა ის ჩემს თვალში არარაობად გამოჩნდაო - განაცხადა მაშინ სტარაჩემ.

გუშინ, არგენტინელი ლეგენდა პირადად შეხვდა ჩოგბურთელს და ბოდიშის მოხდის შემდეგ, მას საკუთარი ავტოგრაფით დამშვენებული მაისურა აჩუქა.

გიორგი **თვალია**

# ქველმოქმედი მაკინროი

მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდამ, **ჯონ მაკინროიმ** Kennedy Funding Invitational-ის საქველმოქმედო ტურნირში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. მინი-ჩემპიონატი 9-13 ივლისს, ნიუ იორკში გაიმართება. სხვათა შორის, ვეტერანებთან ერთად, ტურნირში ამერიკული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავებად მონათლული **სემ კუერი, ჯასტინ გიმელსტობი** და **მაიკლ რასელიც** ითამაშებენ. ნიუ იორკი ამ ტურნირს ზედიზედ მესამე წელია მასპინძლობს.

შარშან, ორგანიზატორებმა 625 ათასი დოლარი შეკრიბეს და ეს თანხმა ერთ-ერთ საქველმოქმედო ფონდში გადარიცხეს.

■■■

ამასობაში, ჯონ მაკინროის ძმამ, დევისის თასზე აშშ-ის ნაკრების კაპიტანმა **პატრიკ მაკინროიმ** აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციას აცნობა, რომ არ აპირებს პეკინის ოლიმპიადაზე გამგზავრებას და იქ ამერიკელი ჩოგბურთელების მწვრთნელობას.

*"ოლიმპიადაზე ერთხელ უკვე ვიმუშავე და საკმარისი გამოცდილებაც მივიღე. გარდა ამისა, 8 წელია ნაკრების კაპიტანი ვარ. ასე რომ, დროა ამ როლში ვინმე სხვამაც სცადოს ბედი"*, - აცხადებს პატრიკ მაკინროი.

აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაცია უკვე გამოეხმაურა მაკინროის გადაწყვეტილებას და ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელად **ჯეი ბერგერი** დანიშნა. შეგახსენებთ, რომ ორი დღით ადრე, პეკინში გამგზავრებაზე უარი განაცხადა ამერიკელთა ლიდერმა **ენდი როდიკმა**.

გია **თვალაბეიშვილი**



მაკინროი დღესაც პოპულარულია

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერი გამოსწორდა

როგორც ჩანს, გლანდების მორჩენის შემდეგ, **როჯერ ფედერერმა** პრობლემებიც წარსულს დაუტოვა და ახლა ისევ ძველებურად ათამაშდა. ყოველ შემთხვევაში, ინდიან ველსის მეოთხე წრეში თამაშის უფლება უკვე მოიპოვა. სამაგიეროდ, ტურნირს გამოეთიშა რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**, ვინც ტურნირის მიღმა დარჩენილ ჩოგბურთელებს შორის, ყველაზე მაღალი (მეოთხე) განთესვის ნომრით თამაშობდა.

დავიდენკომ პირწმინდად წააგო შეხვედრა ამერიკელ **მერდი ფიშთან**, რომელიც მეოთხე წრეში ტურნირის ორგზის ჩემპიონს, ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს** დაუპირისპირდება. სხვათა შორის, მეოთხე წრეში გასასვლელად, ოზმა ჩოგბურთელმაც რუსი მეტოქე - **მიხაილ იუჟნი** დაამარცხა.

*"ვფიქრობ, კარგად ვითამაშე. თავიდანვე შემტევი სტილი ავირჩიე და ამან გაამართლა. აქცენტი ძლიერ მოწოდებასა და ბადესთან გასვლებზე გავაკეთე, რითაც მას საკუთარი რიტმის პოვნის საშუალება არ მივეცი. როცა შეცდომებს ნაკლებად ვუშვებ, ასეთი აგრესია ყოველთვის ამართლებს ხოლმე და ამჯერადაც ასე იყო"*, - განაცხადა ფიშმა, ვინც ამჟამად რეიტინგში 98-ე ადგილზე იმყოფება.

რაც შეეხება ფედერერს, ვისაც ტრიბუნაზე უამრავი ქომაგი ჰყავს, საათიც არ დასჭირვებია ფრანგი **ნიკოლა მაიუს** დასამარცხებლად. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ვისაც ამ სეზონში მხოლოდ ორ ტურნირზე აქვს ნათამაშები, პირველ სეტში მეტოქის მოწოდება ორჯერ აიღო. მეორეში კი მისი უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. შედეგად, სამი ბრეიკი მოიპოვა და მეოთხე წრის საგზურსაც დაეუფლა.

*"კარგა ხანია, ასე კარგად არ მითამაშია. ყველაფერი გამომდიოდა, ბურთს იდეალურად ვგრძნობდი, კომბინაციების გათვლასაც ძველებურად ვახერხებდი. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ასეც გავაგრძელებ"*, - განაცხადა 26 წლის შვეიცარიელმა, ვინც შეხვედრის დროს ცხრა ეისი მოაწოდა და 24 პირველი მოწოდებიდან მხოლოდ ერთი ვერ მოიგო.

ფედერერმა, ვისაც 2004 წლიდან მოყოლებული, ინდიან ველსი ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული, მიმდინარე ტურნირზე პირველი ორი შეხვედრა ისე მოიგო, მხოლოდ შვიდი გეიმი დაუთმო მეტოქეებს.

*"ასე კარგად ავსტრალიის ღიას პირველ შეხვედრებშიც ვთამაშობდი, მაგრამ მაშინ მართლაც ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. ახლა კი ვიცი, რომ ავადმყოფობა მოვირჩინე და სრული დატვირთვით თამაში შემიძლია"*, - დასძენს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ვისაც მეოთხე წრეში მეტოქეობას ხორვატი **ივან ლიუბიჩიჩი** გაუწევს.

ქალების ბადეში უკვე გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები. ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა, სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ** ინდოელ **სანია მირზას** მოუგო, ტურნირის ყოფილ ჩემპიონს (2006 წელი), რუს **მარია შარაპოვას** კი სამი სეტი დასჭირდა უკრაინელი **ალონა ბონდარენკოს** დასამარცხებლად.

შარაპოვა თავისი არასტაბილური თამაშით უკმაყოფილო დარჩა - ხანდახან ისეთ ქულებს ვიგებ, სიამაყით ვივსები, მერე კი ზედიზედ სამ ისეთ ქულას ვაგებ, ახალბედასაც კი არ ეკადრებაო, - სწუხს ავსტრალიის ღიას ჩემპიონი.

ჰანტუხოვამ პირველი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ მეორეში მირზამ გაბრძოლება სცადა და ლამის მიზანსაც მიაღწია, მაგრამ სეტი ტაიბრეიკზე მაინც დათმო. შეგახსენებთ, რომ სლოვაკმა ჩოგბურთელმა თავის კარიერაში პირველი გამარჯვება სწორედ ინდიან ველსზე (2002 წელს) მოიპოვა, შარშან კი ეს მიღწევა გაიმეორა.



როჯერ ფედერერი

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 589 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:1, 6:1; **მარდი ფიში (აშშ, 31)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:3, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 7)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 29) 7:6 (1), 0:6, 7:6 (6); **ენდი მარეი (ბრიტ, 11)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 20) 7:6 (7), 6:7 (3), 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 24)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 13) 7:5, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 23)**-ტომი რობრედო (ესპ, 15) 6:3, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22)**-მარიო ანჩიჩი (ხორ) 7:5, 4:6, 7:6 (7); **ტომი ჰაასი (გერ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 30) 7:6 (5), 4:6, 6:1.

**1/8 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (10)-ლუბიჩიჩი (23); მარეი (11)-ჰაასი; ჰიუიტი (24)-ფიში; ნალბანდიანი (7)-ფერერო (22); ლოპესი-ვავრინკა; ჯოკოვიჩი (3)-კანასი; გასკე (8)-ბლეიკი (9); ნადალი (2)-ცონგა (17).

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერ, 1)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 13) 2:6, 7:5, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-კაროლინ ვოზნიაკი (დან) 6:2, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (3)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 20) 6:3, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 15) 6:2, 5:7, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 5)**-სანია მირზა (ინდ, 21) 6:1, 7:6 (4); **ლინდსი დავენპორტი (აშშ, 24)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 6) 6:2, 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 10)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 4:6, 6:2, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 12)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:7 (5), 6:0, 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ივანოვიჩი (1)-ზვონარევა (12); იანკოვიჩი (3)-დავენპორტი (24); ჰანტუხოვა (5)-შარაპოვა (4); კუზნეცოვა (2)-ა. რადვანსკა (10).

ჩოგბურთი. სკანდალი

# საიდუმლო პარიზში გამჟღავნდება

პარიზში გასამართი საფრანგეთის ღია პირველობა, ჩოგბურთში კორუფციასთან ბრძოლის საეტაპო მომენტად უნდა იქცეს. სწორედ როლან გაროსის მსვლელობის დროს, სკოტლენდ-იარდის ყოფილი დეტექტივები საჩოგბურთო ბოსებს თავიანთ დასკვნას გააცნობენ და იმ ფაქტების შესახებ მოყვებიან, რომელიც მათ გამოძიების დროს აღმოაჩინეს.

**ბენ განმა** და **ჯეფრი რიზმა** იანვარში ახალი საგამომძიებლო განყოფილება შექმნეს. ამ კანტორის ჩამოყალიბება "დიდი სლემის" ტურნირების ორგანიზატორების და ATP-სა (მამაკაცთა ტური) და WTA-ს (ქალთა ტური) უფროსობის ხელშეწყობით მოხდა. განმა პოლიციაში 25 წელიწადი იმუშავა, რის შემდეგაც დოლებზე უკანონო ფსონებით დაინტერესდა. რიზი კი, სკოტლენდ-იარდის დატოვების შემდეგ, კრიკეტში არსებული კორუფციით დაკავდა.

სამი თვის განმავლობაში, დეტექტივები ტურნირებზე მოგზაურობდნენ და მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და ოფიციალურ პირებს კითხავდნენ. ახლა ისინი ლონდონში დასკვნის დასაწერად დაბრუნდნენ.

შეგახსენებთ, რომ ჩოგბურთში ჩაწყობილი თამაშების სკანდალი 2007 წლის აგვისტოში აგორდა. ამის მიზეზი გახდა რუსი **დავიდენკოსა** და არგენტინელი **ვასალო-არგელოს** შეხვედრა. ტოტალიზატორ Betfair-ში რუსი ფავორიტის საწინააღმდეგოდ უამრავი ფსონი გაკეთდა, რის გამოც საბუკმეიკერო კანტორამ განგაში ატეხა. სხვათა შორის, ის მატჩი სწორედ არგენტინელმა მოიგო.

გია **თვალაბეიშვილი**

## ჰოკეი. NHL. რეგულარული

**აილენდერსი-ტორონტო 1:3**

1:0, 0:0: 0:3

**გოლები:** 1:0 დევისონი-1, 1:1 უელვუდი-7 (ა. სტინი-25, პონიკაროვსკი-13), 1:2 კუბინა-10 (ტ. კაბერლე-43, უელვუდი-11), 1:3 პონიკაროვსკი-17 (ა. სტინი-26, მური-26).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 5:2**

2:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 1:0 შ. ეივერი-14 (იაგრი-42, როზივალი-23), 2:0 კალეჰანი-8 (დრური-27, სტრაკა-21), 2:1 ი. რუუტუ-3 (რაიან უიტნი-24, სიდორი-11), 2:2 ჯორდან სტაალი-11 (დუპუი-12, მარიან ჰოსა-32), 3:2 სოოსტრომი-12, 4:2 შ. ეივერი-15 (ჟირარდი-18, დუბინსკი-23), 5:2 სტრაკა-13 (დრური-28).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჯ. ტორნტონი-20 (პაველსკი-15, მარლო-23), 0:2 რისმილერი-8 (ტ. მიტჩელი-10), 1:2 ვიშნოვსკი-7 (დ. არმსტრონგი-23).

**კოლამბუსი-კალგარი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ნეში-37 (ფრიტშე-11, კლესლა-11), 2:0 მალორტა-9 (ნეში-26, პეიდა-13), 3:0 მალორტა-10 (ფრიტშე-12, ნეში-27).

**მონრეალი-სენტ ლუისი 3:4 (ბ)**

1:1, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ტკაჩუკი-22 (ე. ჯონსონი-24, კარია-41), 1:1 ჰიგინსი-22 (ს. კოსტიცინი-15, გრაბოვსკი-5), 2:1 ს. კოივუ-16 (ჰიგინსი-25, რაიდერი-15), 2:2 ე. მაკდონალდი-15 (ბრიუერი-20, ლეგასი-2), 2:3 ბოიესი-38 (კარია-42, ტკაჩუკი-29), 3:3 გრაბოვსკი-2 (ს. კოსტიცინი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** ბოიესი (სენტ ლუისი).

**ედმონტონი-ფინიქსი 8:4**

3:2, 1:1, 4:1

**გოლები:** 0:1 დ. მორისი-7 (იორკი-8), 1:1 გილბერტი-11 (სემ განიე-34, რ. ნილსონი-27), 1:2 დოუნი-25 (დ. მორისი-13, ეინიკი-12), 2:2 სემ განიე-10 (პიტკანენი-15, ჰემსკი-42), 3:2 რ. ნილსონი-10 (ჰემსკი-43, გილბერტი-17), 4:2 ბროძიაკი-12 (კოლიანო-25, გილბერტი-18), 4:3 ეინიკი-11 (პ. მიულერი-28, დოუნი-44), 4:4 პ. მიულერი-22 (დ. მორისი-14, დოუნი-45), 5:4 პენერი-20 (სემ განიე-35, ჰემსკი-44), 6:4 გლენკროსი-10 (სტორტინი-8), 7:4 გლენკროსი-11 (პუიო-4, ბროძიაკი-13), 8:4 სტოლი-12.

**ფილადელფია-ატლანტა 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ტორბურნი-5 (კოვალჩუკი-33, კლიატკოვსკი-5), 1:1 მ. რიჩარდსი-25 (ლუპული-23, ტორესენი-4), 2:1 ჯ. კარტერი-28 (კ. ტიმონენი-34, ლუპული-24), 3:1 პროსპალი-31 (ბრიერი-37, ჰარტნელი-17), 3:2 კოვალჩუკი-50 (პოლიკა-17, ვაიტ. კოზლოვი-21).

**ნეშვილი-ვაშინგტონი 2:4**

0:3, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 სიომინი-22 (ოვეჩკინი-43, მ. გრინი-30), 0:2 ბექსტრომი-12 (ოვეჩკინი-44), 0:3 ბრედლი-6 (ლეიჩი-12), 1:3 დუმონი-28 (შ. უებერი-12, ჰამჰუისი-22), 2:3 არნოტი-26 (ელავაჩი-18, ერატი-32), 2:4 ოვეჩკინი-58.